



Funded by
the European Union

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

სსო მეტრი

ქმედება უკეთესი გარემოსთვის

საქართველო 2024

ქვეყნის ანგარიში

თბილისი





Funded by
the European Union



CIVIL
SOCIETY
INSTITUTE



European Center for
Not-for-Profit Law



სსო მეტრი 2024: საქართველო ქვეყნის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: იანვარი - ნოემბერი 2024

ავტორები: იოსებ ედიშერაშვილი (GYLA), თეონა ტურაშვილი (IDFI), და ნინა ფიჩხაია (CSI).

კონსულტანტი: ვაჟა სალამაძე (CSI).

კონტრიბუტორები: ლევან ფანიაშვილი, ზურაბ მენაღარიშვილი და ნათია აფხაზავა.

მრჩეველთა საბჭო: იოსებ ედიშერაშვილი (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გიორგი კლდიაშვილი (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი), ქრისტინე კანდელაკი (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი), ვახტანგ ნაცვლიშვილი (დამოუკიდებელი ექსპერტი), დავით ლოსაბერიძე (ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი), თამარ ტატიშვილი (დამოუკიდებელი ექსპერტი), ირმა პავლიაშვილი (დია სივრცე კავკასია), ნინა ხატისკაცი (დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი), ანა ჯიქია (დამოუკიდებელი ექსპერტი), და ეკატერინე დანელია (დამოუკიდებელი ექსპერტი).

ავტორები გულწრფელ მადლობას უხდიან ანგარიშის შექმნაში მონაწილე პირებს, მათ შორის ჰაბის წარმომადგენლებსა და მრჩეველთა საბჭოს წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ფოკუს ჯგუფის სესიებში, სხვა გამოკითხულ პირებსა და საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილეობითაც შეგროვდა ანგარიშის შექმნისას გამოყენებული ინფორმაცია.

ანგარიში მომზადდა ააიპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, ააიპ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციაა. 1996 წლიდან ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და დემოკრატიის გაძლიერებას, დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის გზით. CSI ასევე მუშაობს სხვადასხვა აქტორების შესაძლებლობების განვითარებისა და სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდის კუთხით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერების კუთხით. CSI-ის ექსპერტები კონსულტაციას უწევენ იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამავდროულად, სიესაის აქვს გამოცდილება სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგის მიმართულებით და შემუშავებული აქვს არაერთი ანგარიში. 1996 წლიდან დღემდე CSI-იმ ტრენინგი ჩაუტარა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის რამდენიმე ათას წარმომადგენელს.

არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL Stichting) არის წამყვანი ევროპული რესურს და კვლევითი ცენტრი, რომელიც მუშაობს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე. ECNL ქმნის ცოდნას, მხარს უჭერს პარტნიორებს და ეხმარება მათ იმ სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რომლებიც ქმნიან, იცავენ და განავრცობენ სამოქალაქო თავისუფლებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს.

პროექტს „CSO მეტრი: ხელსაყრელი გარემოსა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეგზური“ ახორციელებს არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL) მის პარტნიორებთან ერთად, მათ შორის: საერთაშორისო გამჭვირვალობის ანტიკორუფციული ცენტრი სომხეთში; შპს MG Consulting აზერბაიჯანში; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი საქართველოში; პრომო-LEX ასოციაცია მოლდოვაში და ISAR Ednannia უკრაინაში.

სსო მეტრი 2024 წლის ანგარიშის მომზადებაში ასევე წვლილი შეიტანა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

ეს ინიციატივები ერთად ხაზს უსვამს ერთობლივ მისწრაფებას, გაძლიერდეს სამოქალაქო საზოგადოების როლი საქართველოში და უფრო ფართო რეგიონში, რათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კვლავ დარჩნენ დემოკრატიული განვითარების, ანგარიშვალდებულებისა და მდგრადობის აუცილებელ მამოძრავებელ ძალად.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე ცალსახა პასუხისმგებლობა ეკისრება მის ავტორებს და დოკუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველ დოკუმენტად.

საავტორო უფლება © 2024 ECNL Stichting-ისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ. ყველა უფლება დაცულია

სარჩევი

აკრონიმები და აბრევიატურები	6
I. მოკლე მიმოხილვა	8
II. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები	22
III. ძირითადი მიგნებები	24
3.1 გაერთიანების თავისუფლება	24
3.2 თანასწორი მოპყრობა	33
3.3 დაფინანსების ხელმისაწვდომობა	36
3.4 მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება	39
3.5 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება	49
3.6 გამოხატვის თავისუფლება	57
3.7 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	61
3.8 სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება	67
3.9 სახელმწიფო მხარდაჭერა	71
3.10 სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა	77
3.11 ციფრული უფლებები	80
IV. ძირითადი პრიორიტეტები	88
V. მეთოდოლოგია	90
VI. ბიბლიოგრაფია	93

აკრონიმები და აბრევიატურები

AI - ხელოვნური ინტელექტი

AML- ფულის გათეთრების საწინააღმდეგო

AYEG - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

CEC - ცენტრალური საარჩევნო კომისიის მრჩეველთა ჯგუფი

CSI – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

CSO – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ECNL - არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი

FATF - ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი

GDP - მთლიანი შიდა პროდუქტი

GDPR - მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია

GNCC - საქართველოს კომუნიკაციათა ეროვნული კომისია

GOG - საქართველოს მთავრობა/ხელისუფლება

GYLA- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

HCOJ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

IDFI-ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

IRI - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი

ISFED - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ISP - ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელი

ITU-საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი

LEPL - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LGBTQIA+- ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი/გამორკვევის ეტაპზე

მყოფი, ინტერსექსუალი, ასექსუალი ან/და მათი მხარდამჭერი პირები

LLC – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

NDI - დემოკრატიის ეროვნული ინსტიტუტი

NGO – არასამთავრობო ორგანიზაცია

NELE – არაკომერციული იურიდიული პირი

NIS - კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემები

NPO- არაკომერციული ორგანიზაციები Non-Profit Organizations

OGP - ღია მმართველობის პარტნიორობა

OTA - ოპერაციულ-ტექნიკური სააგენტო

TIG - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

VAT – დამატებითი ღირებულების გადასახადი

I. მოკლე მიმოხილვა

ადგილობრივი კონტექსტი და ძირითადი ტენდენციები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების გარემოსთვის

ანგარიშში შესული „მიგნებების“ თავი ძირითადად იკვლევს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გარემოსთან დაკავშირებულ მოვლენებს 2024 წლის იანვრიდან ოქტომბრის თვის დასასრულის ჩათვლით. პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია სამოქალაქო საზოგადოებაზე და კიდევ უფრო მეტად გააუარესა სამოქალაქო სივრცე, კვლავ გაგრძელდა და უფრო ინტენსიური გახდა 2024 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კვალდაკვალ. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში შესული მოკლე მიმოხილვის თავი მოიცავს ოქტომბრის შემდგომ განვითარებულ ძირითად მოვლენებს და ეს მოვლენები გათვალისწინებულია ანგარიშის რეკომენდაციებსა და ძირითად პრიორიტეტებში, „მიგნებების“ თავი შესაძლოა სრულად არ მოიცავდეს ამ პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებს. აღნიშნული მოვლენები სრულად იქნება განხილული CSO Meter-ის 2025 წლის ანგარიშში.

2024 წელს საქართველომ დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეგრესი განიცადა. ეს პერიოდი ხასიათდება საკანონმდებლო მხრიდან გადაჭარბებული ჩარევით, განსხვავებული აზრის ძალადობრივი ჩახშობით, ადამიანის უფლებების დარღვევითა და ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციით. საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო), რომლებიც ისტორიულად საქართველოს დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ, უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან ხელისუფლებამ მიიღო რეპრესიული კანონები, დაიწყო განსხვავებული აზრის მქონე პირებს სტიგმატიზაცია და შეზღუდა თავისუფლებები.

ქვეყანამ 2024 წელს გადამწვეტ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვების შემდეგ, საზოგადოების მოლოდინი ყოვლისმომცველი რეფორმების მიმართ გაიზარდა, თუმცა საქართველოს მთავრობის ქმედებებმა ეს იმედები სწრაფადვე გააქარწყლა. წლის განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო და პოლიტიკურმა ნაბიჯებმა აჩვენა მთავრობის სისტემატური ძალისხმევა ძალაუფლების კონცენტრაციის, სამოქალაქო თავისუფლებების შელახვისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების როლის შესუსტების მიმართულებით.

2024 წლის აპრილისა და მაისის თვეებში, საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება, რომელსაც არაფორმალურად

მოიხსენიებენ, როგორც „რუსული კანონი“ ან „უცხოელი აგენტების კანონი“ და რომელიც ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს უცხოეთიდან იღებენ, „უცხოური გავლენის მატარებლებად“ მოიხსენიებს, იყო მთავრობის მიერ არჩეული კურსის ადრეული გამოხატულება. აღნიშნული კანონმდებლობა აქტიურად გააკრიტიკეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დაინტერესებულმა მხარეებმა უცხოური ორგანიზაციების სტიგმატიზაციისა და მათი საქმიანობის შეზღუდვის გამო. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწრაფად მობილიზდნენ შემოთავაზებული კანონის წინააღმდეგ. კანონის წინააღმდეგ მიმართული ადვოკატირების კამპანიებით ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ კანონი შესაძლოა მომხდარიყო დამოუკიდებელი ხმებისა და სამოქალაქო ჩართულობის კრიმინალიზება. საერთაშორისო აქტორებმა, მათ შორის ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დაგმეს აღნიშნული კანონი იმაზე მითითებით, რომ ის არღვევდა საერთაშორისო ნორმებს და წარმოადგენდა მნიშვნელოვან საფრთხეს საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის.

ქვეყანაში პოლიტიკური გარემო კიდევ უფრო დაიძაბა კანონის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების გამო. 2024 წლის აპრილსა და მაისში გამართული საპროტესტო აქციების დროს მშვიდობიანი შეკრების უფლების უხეში დარღვევის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ სისტემატური ძალადობის შემთხვევები, მაღალი თანამდებობის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ძალადობის წაქეზება და საპროტესტო აქციის მონაწილეების დასაშინებლად სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება. აქტივისტები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, ასევე მათი ოჯახის წევრები დაშინების, ფსიქოლოგიური ძალადობისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი გახდნენ. პოლიტიკური გარემო ასევე გაუარესდა 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდშიც. 2024 წლის მაისში კანონის მიღებამ მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობების გაუარესება გამოიწვია, რის გამოც ბევრმა წამყვანმა სამოქალაქო ორგანიზაციამ შეწყვიტა მთავრობის მიერ ორგანიზებულ პლატფორმებში მონაწილეობა, მათ შორის, 2024 წლის ივნისში, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს ფორუმში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღება და ამოქმედება. ეს კანონმდებლობა კრძალავს ერთსქესიან წყვილთა ქორწინებასა და ლგბტქ+ პირების მიერ ბავშვების შვილად აყვანას და ახდენს არაპეტერონორმატიული ურთიერთობების „საჯარო გამოხატვის“ კრიმინალიზაციას. ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფების თანახმად კანონი მიმართულია დისკრიმინაციის ინსტიტუციონალიზაციისკენ და აკანონებს ძალადობას ლგბტქ+ პირების მიმართ.

ამავე პერიოდში, საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „აირჩიე ევროპა“ გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად მიიჩნია. შედეგად, ამ ორგანიზაციებს აეკრძალათ საარჩევნო დამკვირვებლებად რეგისტრაცია, 2024 წლის საარჩევნო კამპანიის მონიტორინგი და საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება. ანტიკორუფციულმა ბიურომ აღნიშნული გადაწყვეტილება,

საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად მიჩნევისა და შედეგად საარჩევნო დამკვირვებლად რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ, პრემიერ მინისტრის, ირაკლი კობახიძის მიმართვის შემდეგ მალევე შეცვლა.

2024 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც სავარაუდო დარღვევების, ამომრჩეველთა დაშინებისა და მანიპულაციების გამო კრიტიკის ობიექტი გახდა, საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური არასტაბილურობა დაფიქსირდა. არჩევნებში გამარჯვებულად მმართველი პარტია - „ქართული ოცნება“ გამოცხადდა, თუმცა აღნიშნული შედეგები სადავო გახდა ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვისაც. შედეგად დაიწყო მასობრივი საპროტესტო აქციები, მათ შორის ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა 28 ოქტომბერს თბილისში, რათა მოეთხოვათ ახალი არჩევნები და დაეგმოთ მთავრობის ავტორიტარული პოლიტიკა. პროტესტის მონაწილეებს მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა საპროტესტო აქციები, სადაც მოქალაქეები საარჩევნო რეფორმებსა და ანგარიშვალდებულებას ითხოვდნენ. ამ პროცესში, აქციის მონაწილეთა მისამართით დარღვევების დოკუმენტირებასა და დაკავებული მომიტინგეებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევის თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. პარალელურად ამისა, მთავრობამ მტრულად უპასუხა და კიდევ უფრო გააძლიერა განსხვავებული აზრის მქონე პირთა დევნა.

ოპოზიციური პარტიების ბოიკოტისა და პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, ქართული ოცნების პარლამენტი 25 ნოემბერს შეიკრიბა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა გაამწვავა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის არსებული გამოწვევები, გამოკვეთა შემფოთებები დემოკრატიული მმართველობის, საარჩევნო კეთილსინდისიერებისა და შეზღუდული სამოქალაქო სივრცის შესახებ და გაამწვავა დამაბულობა სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის.

2024 წლის 28 ნოემბერს, მართველმა პარტიამ, ქართულმა ოცნებამ გამოაცხადა ევროკავშირთან გაერთიანების წევრობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გახსნის საკითხის დღის წესრიგში დაუყენებლობის შესახებ, რის მიზეზადაც ევროკავშირის ოფიციალური პირების მხრიდან სავარაუდო „შანტაჟი და მანიპულირება“ დასახელდა. ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოვიდა საქართველოს დიდი ხნის კონსტიტუციურ ვალდებულებას ევროპული ინტეგრაციის შესახებ, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე უარყოფითი რეაქცია. მართველი პარტიის გადაწყვეტილებამ გამოიწვია ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო აქციების გამართვა, რა დროსაც დემონსტრანტები მოითხოვდნენ ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გაგრძელებას და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩანიშვნას. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი, ათასობით მოქალაქე შეიკრიბა, რომლებიც სკანდირებდნენ მმართველი პარტიის წინააღმდეგ ლოზუნგებს და მოქალაქეებს მოუწოდებდნენ ევროპული გზის მტკიცე ერთგულებისკენ.

ძალოვანი უწყებები მშვიდობიან დემონსტრაციებს გადამეტებული ძალით დაუპირისპირდა. სპეცრაზმმა შეკრებილი მოქალაქეების დაშლისთვის ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და სხვა სპეციალური საშუალებები გამოიყენა. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის დარბევა იყო „უკანონო“ და „არაპროპორციული“, გამოყენებული ფიზიკური ძალა კი წამებას უტოლდებოდა. დეკემბრის დასაწყისისთვის 400-ზე მეტი მომიტინგე დააკავეს, რა დროსაც, ხშირ შემთხვევაში დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობაც. აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები დააფიქსირა, რაც ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ სერიოზულ შემფოთებას იწვევს.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა, რომელმაც არ აღიარა საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა, ასევე გააკრიტიკა ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერებაც, რამაც გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი და გამოიწვია ერთგვარი კონსტიტუციური ჩიხი. დამაბულობა კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც მმართველმა პარტიამ პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი წარადგინა, თუმცა არსებულმა პრეზიდენტმა მოქმედმა პრეზიდენტმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ახალი კანდიდატის არჩევის ლეგიტიმურობა, რამაც კონსტიტუციური კრიზისი პერსპექტივა გააჩინა.

2024 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯარიმები, შემოღებულ იქნა ახალი დანაშაულები და გაფართოვდა ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძვლები. აღნიშნული ცვლილებები გახდა შემფოთების მნიშვნელოვანი საბაზი, გამომდინარე ფუნდამენტურ უფლებებზე, მათ შორის გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებებზე ამ ცვლილებების არაპროპორციული ზემოქმედების გამო. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები გულისხმობს ახალი სამართალდარღვევების შემოღებას, როგორცაა მანიფესტაციის დროს სახის ნიღბით დაფარვა და ლაზერული ან სინათლის გამოსხივების მოწყობილობების ფლობა, რაც თითოეულის შემთხვევაში 2000 ლარის ოდენობის ჯარიმით ისჯება. საგულისხმოა, რომ ეს დებულებები მიზნად ისახავს მომიტინგეების დევნასა და პოლიციის მიერ ჩხრეკისა და ნივთების კონფისკაციის სამართლებრივ გამართლებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პოლიციის ან სამხედრო ფორმის (ან მსგავსი ტანსაცმლის) უნებართვო ტარება 2000 ლარის ოდენობის ჯარიმას და ნივთების კონფისკაციას იწვევს. ცვლილებებით ასევე გაფართოვდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი, რაც მოიცავს ჯარიმებს არასრულწლოვანი დემონსტრანტების მშობლების ან მეურვეების წინააღმდეგ. აკრძალულ ადგილებში დემონსტრაციების გამართვისთვის ან გზის გადაკეტვისთვის ორგანიზატორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა 5000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო გზის გადაკეტვის ორგანიზება სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით 1000-ლარიან ჯარიმასა დამართვის უფლების I-წლიანი ვადით ჩამორთმევას გულისხმობს. გარდა ამისა, საჯარო ან მუნიციპალური ქონების გრაფიკით ან პლაკატებით დაზიანებისთვის, ჯარიმები მკვეთრად გაიზარდა და მერყეობს 1000 ლარიდან 3500 ლარამდე და დამოკიდებულია დაზიანების სიმძიმითა და ადგილმდებარეობის მიხედვით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე უფრო მაღალი ჯარიმები გამოიყენება.

სამართალდამცავი ორგანოები, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტრო, აქტიურად იყენებენ აღნიშნულ ცვლილებებს მომიტინგეების წინააღმდეგ, სასამართლო კი ამართლებს ამ ზომების გამოყენებას სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების დაცვის გარეშე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიმსახურა კრიტიკა მომიტინგეების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენების გამო.

საპროტესტო აქციების დროს, მოვლენების გაშუქებისას, მრავალი ჟურნალისტი დააკავეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. რადიო „თავისუფალი ევროპის“/„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი, თბილისში, საქართველოს პარლამენტის მახლობლად, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა სცემეს და დააკავეს. მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ჟურნალისტი ანტი-სამთავრობო აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების დროს დააკავეს. „ტვ ფორმულა“-ს ჟურნალისტმა საპროტესტო აქციების დროს პოლიციის მიერ ცემის შემდეგ მძიმე მოტეხილობები მიიღო, მათ შორის დაუზიანდა სახისა და ლავიწის ძვლები სახალხო დამცველის თანახმად, პოლიცია თავს დაესხა „პუბლიკას“ ჟურნალისტსაც, რის შედეგადაც მან ცხვირის მოტეხილობა მიიღო. მნიშვნელოვანია, რომ ეს თავდასხმები არ იყო იზოლირებული ინციდენტები, არამედ დამოუკიდებელი მედიის დაშინებისა და ჩახშობის სისტემატური ძალისხმევის ნაწილი იყო. ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმის თანახმად, 2024 წლის 28-29 ნოემბერს, პოლიციამ და სპეცრაზმმა სასტიკად დაარბიეს მედიის თანამშრომლები თბილისში ევროკავშირის მხარდამჭერი საპროტესტო აქციის დროს. ცნობების მიხედვით, ამ საპროტესტო აქციების დროს სამიზნე სულ მცირე 35 ჟურნალისტი და მედიის თანამშრომელი გახდა - ისინი ძირითადად დამოუკიდებელი და მთავრობის მიმართ კრიტიკული მედიასაშუალებების წარმომადგენლები არიან.

ეუთოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიშის თანახმად,¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო თეორიულად დემოკრატიული არჩევნების საფუძველს ქმნის, ბოლო დროს შეტანილმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს ცვლილებები წარმოადგენს რეგრესს, რომელიც პოტენციურად ემსახურება პოლიტიკურ ინტერესებს და საფრთხეს უქმნის საარჩევნო პროცესის სტაბილურობასა და მიუკერძოებლობას. ანგარიში ხაზს უსვამს საარჩევნო სისტემისადმი ნდობის აღსადგენად ყოვლისმომცველი საკანონმდებლო გადახედვის აუცილებლობას. ანგარიშის თანახმად, თავად საარჩევნო კამპანია ხასიათდებოდა ღრმა პოლარიზაციით და ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე უარყოფითად მოქმედი კანონმდებლობის მიღებით. გავრცელდა ამომრჩეველთა დაშინების ფართოდ გავრცელებული ცნობები, განსაკუთრებით საჯარო სექტორის თანამშრომლებისა და მოწყვლადი მოსახლეობის მიმართ. ასეთმა პრაქტიკამ საფრთხე შეუქმნა ამომრჩევლებს, დამოუკიდებლად გაეკეთებინათ არჩევანი ანგარიშსწორების შიშის გარეშე, რითაც შეარყია საზოგადოების ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ. არჩევნების დღეს დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ტექნიკურად კარგად იყო მართული, ის ჩანაცვლა საზოგადოების მიერ ბოლო დროს საკანონმდებლო ცვლილებების გამო მიკერძოების აღქმამ. ელექტრონული ხმის მიცემის მოწყობილობების გამოყენება არ იყო

¹ OSCE, „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში“, 2024 წლის 26 ოქტომბერი, https://www.osce.org/files/f/documents/1/6/584029_0.pdf.

სანდო, ხოლო სამთავრობო მედიის გაშუქება, რომელიც მედიასფეროს მნიშვნელოვან ანწილს შეადგენს, შესაბამისად მმართველი პარტიის სასარგებლოდ იყო მიმართული, რაც ზღუდავდა ამომრჩევლების წვდომას დაბალანსებულ ინფორმაციაზე. ეს ფაქტორები ერთობლივად ხელს უშლიდა ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

ამ მოვლენებზე საერთაშორისო რეაქციებს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. დემოკრატიის გზაზე უკუსვლისა და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის სამოქალაქო საზოგადოებაზე უარყოფითი გავლენის ირგვლივ შემფოთების მოტივით, 2024 წლის ივლისში ევროკავშირმა ფაქტობრივად გაყინა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი. ევროკავშირმა ასევე გაყინა საქართველოსთვის 30 მილიონი ევროს დახმარება და არ გამორიცხა დამატებით ზომების მიღება სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში. შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობის გადახედვის შესახებ, რის შედეგადაც შეჩერდა 95 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დახმარება, რომელიც სხვა შემთხვევაში პირდაპირ სარგებელს მოუტანდა საქართველოს მთავრობას. ეს რეაქციები ხაზს უსვამს „უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“ უფრო ფართო გავლენას საქართველოს საგარეო ურთიერთობებსა და ნეგატიურ ზემოქმედებას ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მისწრაფებებზე.

2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის იანვრამდე პერიოდში ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაერთიანებულმა სამეფომ სანქციები დააწესეს საქართველოს ოფიციალურ პირებსა და სხვა გავლენიან ფიგურებს ადამიანის უფლებების დარღვევის, საპროტესტო აქციების ძალადობრივი დარბევისა და დემოკრატიული უკუსვლის საპასუხოდ. ეს ზომები მიზნად ისახავდა სამოქალაქო თავისუფლებების ჩახშობასა და დემოკრატიული ნორმების შელახვაში მონაწილე ძირითად მოქმედ პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრებას. მიუხედავად ამისა, პრემიერ-მინისტრმა (ქართული ოცნებიდან) დაგმო სანქციები და პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერდა და ფინანსურად დაეხმარებოდა სანქცირებულ ოფიციალურ პირებს, რამაც კიდევ უფრო დამაბა ურთიერთობები დასავლელ პარტნიორებთან. ეს სანქციები ხაზს უსვამს მხარდ საერთაშორისო შემფოთებას საქართველოს მიერ დემოკრატიული ღირებულებებისგან გადახვევის გამო, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციისა და დასავლური მისწრაფებებზე.

საქართველოში ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა არეულობამ, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერებამ გააძლიერა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გაურკვევლობის გარემო შექმნა. ქვეყნის წამყვან ორგანიზაციებს შორის ბოლოდროინდელმა დისკუსიებმა საყურადღებო დაკვირვება გამოკვეთა: სამოქალაქო ჩართულობისა და ადვოკატირების მომავალი საქართველოში სულ უფრო საეჭვო ხდება. მმართველი პარტიის სტრატეგიულმა ბუნდოვანებამ, შემზღუდავმა პოლიტიკამ და დაფინანსების რთულმა გარემომ ერთობლივად უპრეცედენტო ზეწოლა მოახდინა ადგილობრივ ორგანიზაციებზე, რამაც ბევრი ორგანიზაციის შემთხვევაში გაურკვევლობა წარმოშვა, თუ როგორ შეინარჩუნონ თავიანთი საქმიანობა და მისიები მხარდი დაბრკოლებების გათვალისწინებით.

საგულისხმოა, რომ ეს შეზღუდული ფაზა არა შემთხვევითი, არამედ მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“, მიერ განზრახ განხორციელებული სტრატეგიაა განსხვავებული აზრის ჩახშობისა და სამოქალაქო აქტივიზმის ჩახშობის მიზნით. არაპროგნოზირებადი

გარემოს შენარჩუნებით, მთავრობამ სტრატეგიულად დესტაბილიზაცია მოახდინა სამოქალაქო საზოგადოების სექტორში, რაც ხელს უშლის გრძელვადიან დაგეგმვასა და ეფექტურ ადვოკატირებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, რომლებიც ოდესღაც საქართველოს დემოკრატიული პროგრესის საყრდენს წარმოადგენდნენ, ახლა მდგრადობის, ოპერატიული სიცოცხლისუნარიანობის და ადამიანის უფლებების, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის შესაძლებლობის შენარჩუნების საკითხები დგას.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი სანდო და მოქნილი დაფინანსების მექანიზმების ნაკლებობაა. იმის გამო, რომ უცხოელი დონორები საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის ფონზე თავიანთ მხარდაჭერის გადააზრების პროცესში არიან, ბევრი ორგანიზაცია აღმოჩნდა ტრადიციული დაფინანსების წყაროებიდან მოწყვეტილი. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ კიდევ უფრო გაართულა დაფინანსების მექანიზმები, რადგან დონორები ფრთხილობენ, რომ უნებლიეთ არ დააყენონ თავიანთი გრანტის მიმღებები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სტიგმატიზაციის ან სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ.

მცირე და საშუალო ზომის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მოქმედებენ სოფლად ან ისეთ ადგილებში, სადაც ნაკლებია მომსახურებები, ყველაზე მეტად დაზარალებულნი მიმდინარე გამოწვევებისგან. უფრო დიდი, კარგად დამკვიდრებული ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ამ მცირე ორგანიზაციებს ხშირად არ გააჩნიათ ინსტიტუციური შესაძლებლობები, დააკმაყოფილონ დაფინანსების რთული მოთხოვნები ან მოახდინონ თავიანთი შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირება. ბევრი ასეთი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ აწყდება სირთულეებს ძირითადი საოპერაციო ხარჯების დაფარვაში, რომ აღარაფერი ვთქვათ გრძელვადიანი ადვოკატირების პროგრამების განხორციელებაზე.

ამჟამად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მომავალი ბეწვზის ხიდზე გადის. მიმდინარე არასტაბილური პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევებითაა სავსე, იძლევა შესაძლებლობას სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ხელახლა გააძლიეროს საკუთარი საფუძვლები. მდგრადობის, ინოვაციისა და თანამშრომლობის პრიორიტეტულობის მინიჭებით, საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლიათ განაგრძონ სასიცოცხლო როლის შესრულება დემოკრატიის ხელშეწყობაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და უფრო სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

სამოქალაქო საზოგადოების გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენები და პრიორიტეტები

საქართველოში 2024 წელს 2023 წელთან შედარებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოს საერთო ქულა 4.8-დან 4.0-მდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება მოიცავს როგორც კანონმდებლობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს (საერთო ქულა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით 5.2-დან 4.3-მდე შემცირდა), ასევე პრაქტიკასთან დაკავშირებულ სირთულეებს (ქულა 4.3-დან 3.7-მდე შემცირდა). 2024 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე სამი სფეროს გაერთიანების თავისუფლება (5.4), ციფრული

უფლებები (4.7) და თანასწორი მოპყრობის უფლება (4.7) წარმოადგენს. საპირისპიროდ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა (2.8), მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (2.9) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (3.4). მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება არის სფერო, რომელმაც საერთო ქულაში ყველაზე დიდი კლება განიცადა (ერთი წლის განმავლობაში 4.5-დან 2.9-მდე), რაც გამოწვეულია საპროტესტო აქციებისას ძალოვანი უწყებების მხრიდან ძალის გადაჭარბებული გამოყენებით, თვითნებური დაკავებებითა და დემონსტრანტების უფლებების დარღვევის შემდგომ შეზღუდული პასუხისმგებლობით.

გაერთიანების თავისუფლება კვლავ ყველაზე მოწინავე სფეროდ რჩება (საერთო ქულა 5.4), შედარებით მარტივი სამართლებრივი დებულებებით (კანონმდებლობის 5.2 ქულა) და ძლიერი ყოველდღიური პრაქტიკით (პრაქტიკის 5.5 ქულა). მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კვლავ აღნიშნავენ სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების სტიგმატიზაციასთან და მთავრობის მხრიდან მომდინარე ზეწოლისგან დასაცავად საჭირო ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების არარსებობასთან. აღნიშნულმა სირთულეებმა გამოიწვია ამ სფეროში 2023 წელთან შედარებით საერთო ქულის შემცირება 6.1-დან 5.4-მდე.

თანასწორი მოპყრობის სფეროში რომლის ქულაც 2023 წელს დაფიქსირებული 5.6-დან 2024 წელს 4.7-მდე შემცირდა, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკის მიმართულებით, კვლავ არახელსაყრელი მდგომარეობაა. აღნიშნული მდგომარეობა ხაზს უსვამს ანტიდისკრიმინაციული ზომების გაძლიერების და ყველა ჯგუფისთვის, მათ შორის მოწყვლადი თემებისთვის, თანაბარი პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის სფეროს მიმართულებით არსებული ვითარება (ერთი წლის პერსპექტივაში ქულა შემცირდა 5.6-დან 4.1-მდე) კვლავ შეშფოთების საგანია, განსაკუთრებით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, რაც უცხოურ სახსრებზე წვდომის მქონე ორგანიზაციებისთვის ახალი ბარიერების შექმნის რისკს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად, კანონმდებლობა დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების არსებობას გულისხმობს (კანონმდებლობის ქულა 4.3), პრაქტიკაში ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მუდმივი დაბრკოლებები და არაპროგნოზირებადი მარეგულირებელი გარემო (პრაქტიკის ქულა 3.8) ფიქსირდება.

პარალელურად ამისა, **გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების** მიმართულებით არსებული ვითარება (ქულა 2023 წელთან შედარებით შემცირდა 4.8-დან 4.3-მდე) მიაწინებს მნიშვნელოვან განსხვავებაზე შედარებით ხელსაყრელ საკანონმდებლო ჩარჩოს (კანონმდებლობის ქულა 5.3) და სუსტ პრაქტიკაზე (პრაქტიკის ქულა 3.3), რა დროსაც, კონსულტაციისა და ადრეულ ეტაპზე ჩართულობის ფორმალური მექანიზმები იშვიათად გარდაიქმნება სამოქალაქო საზოგადოებასთან მნიშვნელოვან თანამშრომლობაში.

გამოხატვის თავისუფლების სფეროც მსგავს არათანაბარ დინამიკას აჩვენებს საკანონმდებლო ჩარჩოს (კანონმდებლობის ქულა 4.7) და პრაქტიკას (პრაქტიკის ქულა 3.6) შორის. 2024 წელს აღნიშნულ სფეროში ქულა 4.9-დან 4.2-მდე შემცირდა, რაც

უკავშირდებოდა დამოუკიდებელი მედია საშუალებების წინააღმდეგ დაშინების შემთხვევების ზრდას და კრიტიკული ხმების დასჯის მზარდ ტენდენციას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სფეროში (ქულა შემცირდა 2023 წლის 3.9-დან 2024 წელს 3.4-მდე), შესაბამისი კანონმდებლობა (კანონმდებლობის 4.0 ქულა) ჯერ კიდევ ვერ ეწევა ახალ ტექნოლოგიებს და ზედამხედველობა კვლავ არასაკმარისია თვალთვალის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რაც განაპირობებს პრაქტიკის დაბალ ქულასაც (2.8).

აღსანიშნავია, რომ **მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების** სფეროში ყველაზე მკვეთრი კლება დაფიქსირდა, ქულა 2023 წლის 4.5-დან 2024 წელს 2.9-მდე შემცირდა (კანონმდებლობა: 3.1; პრაქტიკა: 2.7). ეს გამოწვეული იყო საპროტესტო აქციების დროს ფართოდ გავრცელებული დარღვევებით, ძალის გადაჭარბებული გამოყენებით, თვითნებური დაკავებებით და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ანგარიშვალდებულების ნაკლებობით.

სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულების სფეროს მიმართულებით არსებული ვითარება (ქულა ერთი წლის განმავლობაში შემცირდა 4.4-დან 3.8-მდე) მიანიშნებს სახელმწიფოს ნაწილობრივ ჩავარდნაზე, უზრუნველყოს დაშინებისგან და ძალადობისგან თავისუფალი სივრცე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აქტივისტებისა და ჟურნალისტებისთვის.

სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულება (ქულა 2023 წელთან შედარებით შემცირდა 4.2-დან 4.1-მდე) აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერის ფორმალური საშუალებები (კანონმდებლობის ქულა 4.4), პრაქტიკული გამოყენება არასაკმარისია, რაც გულისხმობს შეზღუდულ ფინანსურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკებისადმი კრიტიკულადაა განწყობილი (პრაქტიკის ქულა 3.7).

სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა (ქულა 2023 წელთან შედარებით 4.0-დან 2.8-მდე შემცირდა) კვლავ რჩება ყველაზე სუსტ სფეროდ, რადგან სიმბოლური საკონსულტაციო პროცესები (კანონმდებლობის ქულა 3.1) იშვიათად სრულდება პრაქტიკაში ნამდვილი თანამშრომლობით (პრაქტიკის ქულა 2.5). გარდა ამისა, არ არსებობს ყოვლისმომცველი სტრატეგია ან პოლიტიკა, რომელიც წარმართავდა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის პარტნიორობას.

და ბოლოს, **ციფრული უფლებები**, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ხელსაყრელ სფეროდ მიიჩნევა საერთო ქულით 4.7 (კანონმდებლობის ქულა 5.1, პრაქტიკის ქულა 4.3), კვლავ არსებობს შემფოთება სახელმწიფო მხრიდან თვალთვალის გაძლიერებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ.

2024 წელს, უმეტეს სფეროებში, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა, რაც ძირითადად შემზღუდავი კანონების შემოღებითა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მთავრობის მტრული პოზიციით იყო განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სფეროში სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს დაცვის ან მხარდაჭერის საბაზისო

კომპონენტს, ამგვარი მხარდაჭერის პრაქტიკული განხორციელება კვლავ შეფერხებულია პოლიტიკური ზეწოლის, შეზღუდული რესურსების და არასაკმარისი ანგარიშვალდებულების გამო.

ამ გამოწვევების გადასაჭრელად, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას, დაფინანსებაზე სამართლიან წვდომას, შექმნის პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიასა და ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებასთან მნიშვნელოვან თანამშრომლობას პოლიტიკის შემუშავებაში. ამ ზომების გარეშე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარემოს შემდგომი გაუარესების საფრთხე ემუქრება, რაც ძირს უთხრის როგორც დემოკრატიულ პრინციპებს, ასევე საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მისწრაფებებს. რეკომენდაციები, რომლებიც მომზადებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო აქტორების მიერ, ისეთების, როგორებიცაა ევროკავშირი, ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ძირითადად არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის მიერ. თავის მხრივ, სსო მეტრი, რომელიც აფასებს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს და გასცემს რეკომენდაციებს, ხაზს უსვამს საკანონმდებლო რეფორმებისა და თანამშრომლობის მექანიზმების არსებობის მნიშვნელობას, თუმცა მთავრობის მოქმედებები არ არის აღნიშნულ რეკომენდაციებთან თანხვედრაში, ხოლო საარსებო გარემო კვლავ განაგრძობს გაუარესებას.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემო მნიშვნელოვან რეგრესს განიცდის საკანონმდებლო ცვლილებების, სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის საჭირო პოლიტიკური ნების ნაკლებობისა და თანამშრომლობითი პლატფორმების გაქრობის გამო. შემზღუდავი საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკული დაბრკოლებები ხელს უშლის სამოქალაქო ორგანიზაციების თავისუფლად ფუნქციონირებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობას. საჭიროა დაუყოვნებლივი ზომების მიღება ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია დიალოგის აღსადგენად და ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად არ შეცვალა სამოქალაქო საზოგადოების გარემო ციფრული რეგისტრაციის ან ანგარიშგების პროცესების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, არსებობს შემოფოთება გაზრდილი თვალთვალისა და ციფრული ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შესახებ, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილნი მთავრობის მიმართ ან იღებენ უცხოურ დაფინანსებას.

საზოგადოებრივი ცვლილებები მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის მზარდი იმედგაცრუების განცდას, რაც გამოწვეულია მთავრობის მიერ მათი წვლილის უგულებელყოფით და შემზღუდავი საკანონმდებლო გარემოს შექმნით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოსვლა სამთავრობო საკონსულტაციო ფორმატებიდან მიანიშნებს დიალოგისა და თანამშრომლობის შესაძლებლობის ჩაშლაზე. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების საჯარო პროტესტი და განცხადებები

ასახავს სექტორის იმედგაცრუებას და პოლიტიკური რეფორმების გატარების გადაუდებელ აუცილებლობას სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელშემწყობი გარემოს აღსადგენად.

საარსებო გარემოზე გავლენის მქონე ძირითადი მოვლენები:

1. **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის მიღება (2024 წლის მაისი): აღნიშნული კანონი ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს უცხოეთიდან იღებენ, ავალდებულებს დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხო ძალის ინტერესების გამტარი“ ორგანიზაციები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ საქმიანობასა და ფინანსებზე წვდომას, ხელს ამგვარი ორგანიზაციების სტიგმატიზაციას და აუარესებს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობას.
2. **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“** კანონის მიღება (2024 წლის სექტემბერი): მიღებული კანონმდებლობა კრძალავს ნებისმიერ გამოხატვას ან აქტივობას, რომელიც „პოპულარიზაციას უწევს არატრადიციულ ურთიერთობებს“. შედეგად, ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული გენდერული იდენტობების პოზიტიური წარმოჩენა, მსგავსი სქესის მქონე წყვილების ურთიერთობა და ინცესტი აკრძალულია საჯარო შეკრების, განათლების, არასრულწლოვანებთან პირდაპირი კომუნიკაციისა და მაუწყებლობისა და რეკლამის კონტექსტებში. გარდა ამისა, კანონი მკაცრად ზღუდავს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას ლგბტქ+ პირებისა და ორგანიზაციებისთვის და აწესებს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის სანქციებს.
3. **საპროტესტო აქციების დროს შეკრების თავისუფლების დარღვევის ფაქტები:** ზემოაღნიშნული კანონების წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენების მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის მშვიდობიანი შეკრებების დარღვევა, ფიზიკური ძალადობა, დაშინება. გარდა ამისა, დაფიქსირდა მომიტინგეების, ჟურნალისტებისა და აქტივისტების წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის ფაქტები.
4. **სახელმწიფოსა და სსო-თა შორის თანამშრომლობის გაქრობა:** შემზღუდავი კანონების მიღებასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ მასტიგმატიზებელ რიტორიკასთან ერთად, მთავრობამ შეაჩერა ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება, შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ისინი საჯარო კონსულტაციებსა და ღონისძიებებში არ მონაწილეობდნენ, რამაც სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის თითქმის სრული ჩავარდნა გამოიწვია.
5. **დაფინანსებაზე წვდომა გაზრდილი ზეწოლის პირობებში:** საქართველოში დემოკრატიის გზაზე უკუსვლისა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ

ახალი შემზღუდავი კანონმდებლობის შემოღების საპასუხოდ, ევროკავშირმა შეაჩერა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, ხოლო შეერთებულმა შტატებმა შეაჩერა 95 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური დახმარება. ეს მოვლენები მნიშვნელოვნად საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების ფინანსურ მდგრადობას, რადგან საერთაშორისო დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობები სულ უფრო გაურკვეველი და პოლიტიკურად შეზღუდული ხდება.

6. **გამოხატვის თავისუფლების ჩახშობა:** ჟურნალისტებზე თავდასხმების რიცხვის ზრდამ, მაღალი თანამდებობის პირების აგრესიულმა რიტორიკამ და საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაამკაცრა დაწესებული სასჯელები, შემოიღო ახალი დანაშაულები და გააფართოვა ადმინისტრაციული დაკავების საფუძვლები.
7. **სამოქალაქო საზოგადოების უფლება, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩაერთოს საჯარო ცხოვრებაში, შეზღუდულია მუდმივი საკანონმდებლო ცვლილებებითა და არასტაბილური პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოთი:** საქართველოში არსებული პოლიტიკური და საკანონმდებლო გარემო ხასიათდება არასტაბილურობითა და ხშირი, არაპროგნოზირებადი ცვლილებებით. მთავრობამ დაჩქარებული წესით მიიღო შემზღუდავი კანონმდებლობა, კერძოდ, კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, ცვლილებები, რომლებიც შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში, რომლებიც, თავის მხრივ, შეიცავს დისკრიმინაციულ და მასტიგმატიზებელ შინაარსს. დაჩქარებული წესით კანონის მიღება ხშირად უგულებელყოფს მის ინკლუზიურ და გამჭვირვალე განხილვას, რაც იწვევს მნიშვნელოვან შემფოთებას ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებში. საკანონმდებლო პროცესებში სტაბილურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის ნაკლებობამ მძიმე შედეგები მოიტანა, რამაც საფრთხე შეუქმნა დემოკრატიისა და კარგი მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპებს და გახდა შემფოთების საგანი, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ძირითადი პრიორიტეტები

ძირითადი რეფორმების მიმართულებით მცირე პროგრესის, ან ზოგჯერ ამგვარი პროგრესის სრულიად არარსებობის გამო, 2024 წელს საქართველომ მნიშვნელოვანი უკუსვლა განიცადა სსო მეტრის 2023 წლის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინების თვალსაზრისით. წინა წლებისგან განსხვავებით, სადაც ჩართულობის ზოგიერთი მექანიზმი, სულ მცირე, განხილვის პროცესში იყო, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ხელახლა შემოღებამ და აღსრულებამ ფუნდამენტურად

შეცვალა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემო, რამაც სექტორი, პროაქტიული მონაწილეობის ხელშეწყობის ნაცვლად, თავდაცვით პოზიციაზე გადაიყვანა. საკვანძო საკითხები, როგორიცაა სამოქალაქო ჩართულობის სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერები, შეკრების თავისუფლების შეზღუდვა და დამოუკიდებელი ორგანიზაციების შეზღუდვის შემთხვევების ზრდა, კვლავ პასუხგაუცემელ პრობლემებად რჩება. მეორე მხრივ, ახალმა გამოწვევებმა, მათ შორის სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა სტიგმატიზაციის კამპანიამ და უცხოეთიდან დაფინანსებულ სამოქალაქო ორგანიზაციებზე ზეწოლის გაზრდამ, კიდევ უფრო გააუარესა არსებული ვითარება. პოლიტიკის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის გაუმჯობესებისა ან პრობლემების მოგვარების ნაცვლად, 2024 წელი ხასიათდება მიღებული რეპრესიული ზომებით, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით და ახალი კანონმდებლობის წინააღმდეგ წარმოებული სამართლებრივი ბრძოლებით. ფინანსური მდგრადობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რასაც ემატება შეზღუდვები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს დაფინანსების არხებზე და მრავალი ორგანიზაციისთვის გაზარდეს ოპერაციული გაურკვევლობა.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოსა და ფუნდამენტური თავისუფლებებისთვის სივრცის დასაცავად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ უახლოეს პერიოდში აღდგეს დიალოგი, სამართლებრივი და დემოკრატიული დაცვის გარანტიები, უმნიშვნელოვანესია, რომ მთავრობამ, შესაბამისმა ინსტიტუტებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა პრიორიტეტად მიიჩნიონ შემდეგ ძირითადი რეკომენდაციები:

1. გააუქმოს ყველა დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებული კანონი, რომელიც ზღუდავს გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი.

მას შემდგომ, რაც ყველა ასეთი შემზღუდავი კანონი გაუქმდება:

2. გადაიხედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებზე გაუმართლებელი შეზღუდვების მოსახსნელად (მაგალითად, პირების დაკავება მათი საპროტესტო აქციაში მონაწილეობის შესაზღუდად ან ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრება სათანადო დაცვის საშუალებების გარეშე);

3. მიღებულ იქნას ზომები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პირების თავდასხმებისა და ჩარევებისგან დაცვისთვის, დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი მათ წინააღმდეგ ძალადობისა და დაშინების ნებისმიერი ფაქტის ირგვლივ;

4. გააძლიეროს სამთავრობო ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის მარეგულირებელი ჩარჩო, უზრუნველყოფილ

იქნას, მისი შესაბამისობა კონფიდენციალურობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან;

5. გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე და მათი წყაროს მიუხედავად (იქნება ეს ადგილობრივი თუ უცხოური), უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძიების, მიღებისა და გამოყენების თავისუფლება მათი მიზნების მისაღწევად.
6. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ციფრული უფლებებისა და კონფიდენციალურობის დაცვაში.

II. ძირითადი სტატისტიკური მონაცემები

მოსახლეობა: 3,694,600 (2024)² | მშპ ერთ სულ მოსახლეზე: 9 141.4 აშშ დოლარი (2024)³ | სსო-თა რიცხვი: რეგისტრირებული ორგანიზაციები: 31,325;⁴ აქტიური ორგანიზაციები: 3,900⁵ | სსო-თა რიცხვი ყოველ 10,000 მოსახლეზე: 3 | სსო-თა რეგისტრაციის საფასური: 200 ლარი (დაახლოებით 69 ევრო) ან 400 ლარი (დაახლოებით 138 ევრო) დაჩქარებული პროცედურის შემთხვევაში | თავისუფლების ინდექსი მსოფლიოში 2024: ნაწილობრივ თავისუფალი (58/100)⁶ | პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსი 2024: 53.05 (103-ე ადგილი მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის).⁷



Country score: 4.0

Legislation: 4.3

Practice: 3.7

ქულები იცვლება 1-დან 7-მდე, სადაც 1 არის ყველაზე დაბალი შესაძლო ქულა (რადიკალურად არახელსაყრელი – ავტორიტარული რეჟიმი) და 7 ასახავს ყველაზე მაღალ შესაძლო ქულას (განსაკუთრებულად ხელსაყრელი გარემო).

უფლებრივი სფერო	საერთო ქულა	კანონმდებლო ბა	პრაქტიკა
გაერთიანების თავისუფლება	5.4 ↓	5.2 ↓	5.5 ↓
თანასწორი მოპყრობა	4.7 ↓	4.1 ↓	5.3
დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა	4.1 ↓	4.3 ↓	3.8 ↓
მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება	2.9 ↓	3.1 ↓	2.7 ↓
გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება	4.3 ↓	5.3	3.3 ↓
გამოხატვის თავისუფლება	4.2 ↓	4.7 ↓	3.6 ↓

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობა.

<https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population>.

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე.

<https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp>.

⁴ CSO Georgia, რეგისტრირებული სსო-თა რიცხვი.

https://csogeorgia.org/storage/app/media/organisation_list.pdf

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 'რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ზომის მიხედვით',

<https://www.geostat.ge/en/modules/categories/67/by-legal-status>.

⁶ Freedom House, თავისუფლება მსოფლიოში 2024: საქართველო,

<https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2024>.

⁷ Reporters Without Borders, 2024 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი, <https://rsf.org/en/index>.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	3.4 ↓	4.0 ↓	2.8 ↓
სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება	3.8 ↓	4.4 ↓	3.2 ↓
სახელმწიფო მხარდაჭერა	4.1 ↓	4.4	3.7 ↓
სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა	2.8 ↓	3.1 ↓	2.5 ↓
ციფრული უფლებები	4.7 ↓	5.1	4.3 ↓

ისრები მიუთითებს გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე შარშანდელ კვლევებთან შედარებით.

III. ძირითადი მიგნებები

3.1 გაერთიანების თავისუფლება

ჯამური ქულა: **5.4/7**

კანონმდებლობა: **5.2/7**

პრაქტიკა: **5.5/7**

გაერთიანების თავისუფლება საქართველოში ყველასთვის გარანტირებულია და პრაქტიკაშიც დაცულია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის სფერო მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს და ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ საქმიანობის სხვადასხვა ფორმა ტერიტორიული ან გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე. დაფუძნების პროცედურები მარტივია და კანონის დარღვევის სამართლებრივი შედეგები პროგნოზირებადია. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ლიკვიდაციის პროცედურები კვლავ ზედმეტად რთულად ითვლება. სახელმწიფომ ასევე ვერ შეძლო სტატისტიკური ინფორმაციის გაუმჯობესება და რეგისტრირებული და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ ზუსტი მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ სფეროში საერთო ქულა 2023 წლის მაჩვენებლიდან 6.1-დან 2024 წელს 5.4-მდე შემცირდა. კანონმდებლობის შემთხვევაში 2023 წელთან შედარებით, 6.1-დან 2024 წელს 5.2-მდე შემცირდა) ხოლო პრაქტიკის ნაწილში 2023 წლის 6.0-დან 2024 წელს 5.5-მდე შემცირება დაფიქსირდა. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებით, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს ანიჭებს გადაჭარბებულ უფლებამოსილებას, ჩაერიონ გაერთიანების თავისუფლებაში არაპროპორციული ანგარიშების მოთხოვნების და უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაციების სტიგმატიზაციის გზით. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელიც მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს ლგბტქ+ უფლებების დამცველ ორგანიზაციებს.

სტანდარტი I. ყველას შეუძლია თავისუფლად შექმნას (დააფუძნოს) და შეუერთდეს სსო-ს ან მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში

გაერთიანების თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,⁸ რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას და უზრუნველყოს გაერთიანების თავისუფლება ყველასთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კონსტიტუცია ასევე გულისხმობს, რომ ნებისმიერი ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონიერების, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპების შესაბამისად.⁹ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნისა და ფუნქციონირების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტი საქართველოს სამოქალაქო

⁸ საქართველოს კონსტიტუცია. მუხ 22, <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36>.

⁹ ასოციაცია შეიძლება დაიშალოს მხოლოდ საკუთარი ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით“, საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 22 (2).

კოდექსია.¹⁰ პარალელურად ამისა, საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ“ ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის (აიპ) აკრძალული საქმიანობების სიას.¹¹ ზოგადი წესის შესაბამისად, ნებისმიერი ადგილობრივი ან უცხოელი იურიდიული თუ

ფიზიკური,¹² ქმედუნარიანი პირი,¹³ უფლებამოსილია დააფუძნოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, იყოს მისი წევრი ან მონაწილეობდეს ამგვარი ორგანიზაციის მართვაში. გამონაკლისს წარმოადგენენ საჯარო მოხელეები,¹⁴ რომელთაც არ აქვთ უფლება იყვნენ სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ან დაიკავონ რაიმე თანამდებობა სამოქალაქო ორგანიზაციაში, თუ ეს ხელფასის მიღებას გულისხმობს.¹⁵ იმის გათვალისწინებით, რომ ეს აკრძალვა მიზნად ისახავს საჯარო სამსახურში შესაძლო ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის აღმოფხვრას, ასევე სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მანიპულირების შესაძლებლობების შეზღუდვას, აღნიშნული წესი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია. 14-დან 18 წლამდე ბავშვებსაც შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას შეუერთდნენ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის წევრობა გარკვეული ტიპის იურიდიულ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, მათ ამისთვის აუცილებლად სჭირდებათ მშობლების თანხმობა.¹⁶

საქართველოში ორგანიზაციის დამფუძნებლების რაოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის და ის შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც კი.¹⁷ რადგან კანონი არ აკონკრეტებს სავალდებულო მინიმალურ კაპიტალის მოთხოვნებს, რეგისტრაცია არ მოითხოვს დამფუძნებლებისგან ფინანსურ შენატანებსაც. ეს შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს ხელშემწყობ ფაქტორად, რადგან ფინანსური სახსრების არარსებობა ხელს არ უშლის მოტივირებულ პირებს სამოქალაქო ორგანიზაციების დაარსებაში.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ ოპერირება როგორც „ონლაინ“ (ციფრულად) ასევე „ოფლაინ“ ტრადიციულ რეჟიმში. მათ შეუძლიათ

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/31702>.

¹¹ აიპ ერთადერთი ოფიციალური ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმაა, რომლითაც რეგისტრირებულ სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლიათ ფუნქციონირება საქართველოში.

¹² საქართველოში სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა დგება 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ.

¹³ იურიდიული პირები, რომლებიც არის კერძო ან საჯარო, მათ შორის სამთავრობო და მუნიციპალური ორგანოები.

¹⁴ განისაზღვრება, როგორც „კვალიფიციური საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, დასაქმების ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი და სახელმწიფო დაწესებულების ეკვივალენტურ დაწესებულებაში მომუშავე პირები“.

¹⁵ „საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 13(2) და 13(9), <https://matsne.gov.ge/en/document/view/33550?publication=72>.

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 15, op. cit..

¹⁷ გარკვეული გამონაკლისები ვრცელდება წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ კონკრეტული მიზნები. მაგალითად, შემოქმედებითი კავშირის შესაქმნელად საჭიროა მინიმუმ ხუთი ადამიანი. „შემოქმედებითი მუშაკებისა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 16 და 17, <https://matsne.gov.ge/en/document/view/19222?publication=6>

იყვნენ წარმოდგენილი როგორც რეგისტრირებული კერძო იურიდიული პირები, ასევე არარეგისტრირებული გაერთიანებები და საინიციატივო ჯგუფები.¹⁸

სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს, რომლებსაც სურთ არაკომერციული მიზნების მიღწევა არარეგისტრირებული კავშირის ფორმალიზების გარეშე, შეუძლიათ შექმნან ჯგუფები და/ან საერთო პლატფორმები — ციფრულად ან რეალურ გარემოში — საზოგადოებასთან ურთიერთობის, მხარდაჭერის მოძიების და საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციისთვის. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ორგანიზაციების უმეტესობა ფუნქციონირებს ააიპ-ების იურიდიული ფორმით და ოფიციალურად რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

პრაქტიკაში, სახელმწიფო, როგორც წესი, არ აწესებს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნისთვის თუ მათში გაწევრიანების, ან მათ აქტივობებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით. ფიზიკურ პირებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მათივე ჩართულობის დონე. მიუხედავად ამისა, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შედეგებმა (განსაკუთრებით დაფინანსებაზე წვდომასთან დაკავშირებით) შესაძლოა ხელი შეუშალოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას და შეაფერხოს მოქალაქეების ჩართულობა.

სტანდარტი II. სსო-ების იურიდიულ პირად რეგისტრაციის პროცედურა არის ნათელი, მარტივი, სწრაფი და ხელმისაწვდომი

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეგისტრაცია ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის,¹⁹ და კომერციულ და არაკომერციულ პირთა რეგისტრირების პროცედურათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.²⁰ პროცედურა მარტივი, ხარჯთ-ეფექტური და სწრაფია და გულისხმობს მხოლოდ საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას რეგისტრატორ ორგანოში, მათ შორისაა ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა: რეგისტრაციის განაცხადი, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, წევრების გადაწყვეტილება ააიპ-ის/წესდების დაარსების შესახებ, დირექტორის დანიშვნისა და მასთან დაკავშირებული თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ოფიციალური ელექტრონული ფოსტისა და მისამართის ინფორმაცია (მათ შორის, ქონების მესაკუთრის თანხმობის შესახებ ცნობა) და მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ინფორმაცია. პროცედურის წარმართვა შესაძლებელია როგორც დისტანციურად - ციფრული საშუალებებით, ასევე ტრადიციული გზით - მარეგისტრირებელ ორგანოში ფიზიკური ვიზიტით. აღსანიშნავია, რომ რეგისტრატორი ორგანო ძირითადად მოქალაქეებს

¹⁸ არარეგისტრირებულ კავშირებს აქვთ იურიდიული უფლებამოსილება, დამოუკიდებლად ჩაერთონ ნებისმიერ სამოქალაქო ურთიერთობაში. ასეთი კავშირების ფინანსურ ტრანზაქციებსა და საქმიანობას ასევე აკონტროლებენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე და 66-ე მუხლების, <https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717?publication=175> და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის, op. cit. შესაბამისად.

¹⁹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=12>

²⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება მეწარმეებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, 2009 წლის 31 დეკემბერი (ქართულ ენაზე), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/88696?publication=0>.

რეგისტრაციისთვის პირადად მისვლისკენ მოუწოდებს. გამომდინარე აქედან, ონლაინ რეგისტრაცია შედარებით ნაკლებად ხშირად გამოიყენება.²¹ პრაქტიკაში, რეგისტრატორი ორგანო მიყვება არსებულ კანონმდებლობას, დაინტერესებულ მხარეებს რეგისტრაციისთვის საჭირო მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიება კი ოფიციალურ ვებსაიტზე შეუძლიათ, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.²² გარდა ამისა, პროცესის გამჭვირვალობისთვის რეგისტრატორი ორგანო რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას რეგისტრაციის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის, წარმატებულია თუ არა რეგისტრაცია, გადაიღო თუ საერთოდაც უარი ეთქვა).²³ რეგისტრატორი ორგანო აგროვებს მონაცემებს ააიპ-ების შესახებ, რა დროსაც არ განასხვავებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სხვა არაკომერციული იურიდიული პირებისგან. შედეგად, საქართველოში აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რაოდენობის ზუსტი თვალყურის დევნება და მათი საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, რაც აუცილებელია ორგანიზაციათა შორის კავშირების დამყარებისთვის, პოლიტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, კვლავ გამოწვევად რჩება.

რეგისტრაციის განცხადებების უარყოფა დასაშვებია მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით, თუ განცხადება არ შეესაბამება რეგისტრაციის წესებსა და კანონს.²⁴ უფლებამოსილი ორგანომ უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად და მას არ აქვს უფლება დააწესოს დამატებითი სარეგისტრაციო მოთხოვნები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მარეგისტრირებელ ორგანოს აქვს ვალდებულება, გარემოებათა სრული, ზუსტი და ყოვლისმომცველი გამოკვლევისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება და გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში.²⁵ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სრულ არგუმენტაციას,²⁶ რათა სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ხარვეზების შესახებ მკაფიოდ და დროულად ეცნობოს განმცხადებელს. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს დაკარგული ან შეცვლილი დოკუმენტაციის წარდგენით, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს აძლევს I თვეს, რათა მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია და განაახლოს პროცედურა. საბოლოო გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო). თუ გასაჩივრება წარუმატებელი აღმოჩნდა, საქმის განხილვა შესაძლებელია სასამართლოში, რათა გონივრულ ვადაში განხორციელდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება.

²¹ პროცედურა ხორციელდება ონლაინ პლატფორმის My.gov.ge მეშვეობით, მეწარმეებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მუხლი 10(4), op. cit.

²² საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო <https://napr.gov.ge/en/page/legal-acts/subordinate-normative-acts?q=%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D>.

²³ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index.

²⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება მეწარმეებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხლები 14 და 15, op. cit.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე., მუხლები 16, 17 და 18.

უარის თქმის მიზეზები, რომლებიც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში, მოიცავს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: 1. რეგისტრაციის ფარგლებში ყველა საჭირო დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი ან რეგისტრაციის საფასური სრულად და დროულად არ არის გადახდილი;²⁷ 2. რეგისტრაციისთვის მითითებული ორგანიზაციის დასახელება უკვე გამოიყენება სხვა ორგანიზაციის მიერ;²⁸ (3. წესდება არ შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა აისახოს ამონაწერში. 4. სადამფუძნებლო დოკუმენტი ეწინააღმდეგება წესდებაში მითითებულ ინფორმაციას, მაგალითად, თუ სადამფუძნებლო დოკუმენტის თანახმად, დამფუძნებლების მიზანი არ არის შექმნან წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, თუმცა წესდება ითვალისწინებს ორგანიზაციაში წევრების დამატების წესებს);²⁹ 5. უცხო ქვეყნიდან მოწოდებული დოკუმენტები არ არის სათანადოდ ნოტარიულად და აპოსტილით დამოწმებული.³⁰

რეგისტრაციის პერიოდი შეიძლება განსხვავდებოდეს განმცხადებლის მიერ არჩეული სერვისის მიხედვით. თუ პროცედურა სტანდარტულია, სსო-ს შექმნას და რეგისტრაციას ერთი სამუშაო დღე სჭირდება (ეს არის რეგისტრაციის მაქსიმალური პერიოდი), რეგისტრაციის საფასური კი შეადგენს 200 ლარს (დაახლოებით 69 ევრო). უფრო სწრაფი პროცედურისთვის რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს განაცხადის შეტანის დღესვე საფასურის სახით 400 ლარის (დაახლოებით 138 ევრო) გადახდის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება რეგისტრირებულ ინფორმაციაში (მაგალითად, სახელი, საცხოვრებელი მისამართი, სსო დირექტორები და საბჭოს წევრები) ოფიციალურად უნდა შეიცვალოს (ძირითადად საბჭოს თანხმობით) და ხელახლა დარეგისტრირდეს. რეგისტრირებული ინფორმაციის შესწორების მეთოდი და საფასური იგივეა, რაც პირველი რეგისტრაციისას.

სტანდარტი III. სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობის მიზნები და იმოქმედონ როგორც დაარსების ქვეყნის ფარგლებს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ

სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი მიზნები, მენეჯმენტი და სამოქმედო პრინციპები, ორგანიზაციის სტრუქტურა და ერთდროულად ემსახურონ სხვადასხვა მიზნებს. იმის გათვალისწინებით, რომ არანაირი სამართლებრივი შეზღუდვა არ ვრცელდება სსო-ების მენეჯმენტზე, ფუნქციონირების პრინციპებსა და სტრუქტურაზე, სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად შექმნან საკუთარი წესები ამ კუთხით. სსო-ებს უფლება აქვთ ემსახურონ სასურველ არამატერიალურ მიზნებს (მაშინაც კი, თუ ისინი პირდაპირ არ არის მითითებული წესდებაში,³¹ თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონებს, აღიარებულ მორალურ სტანდარტებს ან საქართველოს კონსტიტუციურ და სამართლებრივ პრინციპებს. თუ საქმიანობა მოითხოვს ლიცენზირებას „ლიცენზიებისა და ნებართვების

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 28 და 29, op. cit; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება მეწარმეებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხლები 14, 15 და 16, op. cit.

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 27, op. cit.

²⁹ მსგავსი საქმის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა საქმეზე მომუშავე ადვოკატმა. კონფიდენციალურობის მიზნით, ჩართული პირების ვინაობა (მათ შორის განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები) არ არის ხელმისაწვდომი.

³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 28(3), op. cit. რეგისტრაციაზე უარის თქმის ბოლოდროინდელი შემთხვევები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე:

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index&l=en.

³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25(2), op. cit.

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,³² (მაგალითად, თუ საქმიანობა დაკავშირებულია კერძო ან სათემო მაუწყებლობასთან, ელექტროენერგიის გამომუშავებასთან ან გადაცემასთან და ა.შ.),³³ ის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემდეგ.³⁴ თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ლიცენზირების რეგულაციები ხელს უშლის სსო-ების თავისუფალ დაარსებასა და ფუნქციონირებას. აქტივობების უმეტესობა, რომელიც საჭიროებს წინასწარ ლიცენზირებას, დაკავშირებულია საჯარო რესურსების გამოყენებასთან და სცილდება სსო-ს ფუნქციონირების ფარგლებს. არანაირი პრაქტიკული დაბრკოლება არ დაფიქსირებულა სსო-ების კანონით დაშვებულ სფეროებში ჩართვის მიმართულებით.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს კანონით აქვთ უფლება იმუშაონ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ ასოციაციებთან და ფედერაციებთან ან გახდნენ მათი წევრები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს სამართლებრივი დათქმა ხელს უწყობს ორგანიზაციების მონაწილეობას გლობალურ გაერთიანებებსა და ინიციატივებში, რაც აძლიერებს მათ შესაძლებლობებს, მიაღწიონ თავიანთ მიზნებს. პრაქტიკაში, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო თანამშრომლობაში. პრაქტიკაში, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო თანამშრომლობაში. მაგალითად, ბევრი მათგანი ისეთი გლობალური ქსელების წევრია, როგორიცაა CIVICUS და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH)³⁵. ეს კავშირები ქართულ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ფორუმებში, წვლილი შეიტანონ გლობალურ ადვოკატირების ძალისხმევაში და გაცვალონ საუკეთესო პრაქტიკა მსოფლიოს პარტნიორ ორგანიზაციებთან.

სტანდარტი IV. დაწესებული ნებისმიერი სანქცია მკაფიოა და შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს და წარმოადგენს ყველაზე ნაკლებად შემზღუდველ საშუალებას სასურველი მიზნის მისაღწევად

საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ“ განსაზღვრავს უფლებამოსილ ორგანოებს, ჩამოთვლის ყველა სახის სანქციას, რომელიც ეხება საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სანქციების გამოძევებ მიზეზებს, რათა გარანტირებული იყოს, რომ დარღვევის სამართლებრივი შედეგები განჭვრეტადი და მკაფიოა და შეფასდება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ

³² „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/26824?publication=62>.

³³ იქვე., მუხლი. 6.

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25(3), op. cit.

³⁵ FIDH, „საქართველო: საერთაშორისო სოლიდარობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან“, 2024 წლის 6 მაისი, <https://www.fidh.org/en/region/europe-central-asia/georgia/georgia-international-solidarity-with-georgian-civil-society>; CIVICUS, „საქართველო: „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონი საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების ენერგიულობასა და ავტონომიას“, 2024 წლის 19 მაისი, <https://www.civicus.org/index.php/media-resources/news/interviews/7039-georgia-the-foreign-agents-law-poses-a-threat-to-the-vibrancy-and-autonomy-of-civil-society>.

პროპორციულობის პრინციპის დაცვით.³⁶ მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს სსო-ების საქმიანობა.³⁷ კანონის თანახმად, იმ პირობებში, როდესაც საშვებულება დამხმარე (არაარსებითი) ტიპის კომერციული საქმიანობა, აიკ-ს არ შეუძლია ჩაერთოს არსებითად კომერციულ საქმიანობაში, რაც ნიშნავს, რომ მისი ოპერაციები არ შეიძლება იყოს გამოყენებული მოგების მისაღებად, რომელსაც წევრები ან დამფუძნებლები მოგვიანებით გაყოფენ და გადაანაწილებენ ერთმანეთს შორის.³⁸ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლება შეაჩეროს საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა სამ თვემდე ვადით. ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოებრივი გაერთიანება განაახლებს საქმიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეწყდება არსებითი კომერციული საქმიანობა.³⁹

პოლიტიკური აქტივობა არ არის აკრძალულ საქმიანობათა სიაში, თუმცა არის გარკვეული შეზღუდვები. სსო-ები შეიძლება დაეხმარონ პოლიტიკურ პარტიებს ინსტიტუციური განვითარების მიზნით (მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებით ან მონაწილეობით, სემინარებით, საჯარო კონფერენციებით და ა.შ.), მაგრამ მათ არ შეუძლიათ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის პროპაგანდაში ჩართვა ან მათი მხარდაჭერა.⁴⁰ წინაპირობები, რაც იწვევს საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებას ან აკრძალვას, ნათელია და კანონით განსაზღვრულია. კანონი პირდაპირ მიუთითებს,⁴¹ რომ იმ სსო-ების გარდა, რომლებიც ძირითადად კომერციულ საქმიანობას ეწევიან, სასამართლოს აქვს უფლება აკრძალოს ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ დაამხონ ან ძალადობრივად შეცვალონ საქართველოს კონსტიტუციური წყობა, შელახონ ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ან აწარმოებენ ომის ან ძალადობის პროპაგანდა, აღვივებენ ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან სოციალურ დაპირისპირებას, ან რომლებიც ქმნიან ან შექმნილი აქვთ შეიარაღებული ჯგუფი. საზოგადოებრივ გაერთიანებას ასევე ჩამოერთმევა საქმიანობის განხორციელების უფლება და ის ლიკვიდაციას დაექვემდებარება მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის შეთხვევაში (სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში).⁴² სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი გაერთიანებების შეჩერების ან აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁴³

³⁶ საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/29950?publication=2>.

³⁷ იქვე.

³⁸ დაშვებულია მხოლოდ მცირე, არაკომერციული საქმიანობა, რომელიც ემსახურება არაკომერციულ მიზნებს (წევრებისა და დამფუძნებლებისთვის შემოსავლის გაზიარების შესაძლებლობის გარეშე).

³⁹ „საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლები 3 და 4, *op. cit.*

⁴⁰ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლები 25, 251(5) და 26(1), <https://matsne.gov.ge/en/document/view/28324?publication=32>.

⁴¹ „საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, *op. cit.*

⁴² „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, მუხლები 157, 186, 192(1), 195(1) და 221, <https://matsne.gov.ge/en/document/view/16426?publication=235>.

⁴³ „საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, *op. cit.*

მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმები არსებობს, არ არსებობს მონაცემები, რომ რომელიმე სსო-ს საქმიანობა შეჩერებული ან აკრძალული იყო უახლოეს პრაქტიკაში.

სტანდარტი V. სახელმწიფო არ ერევას სსო-ების შიდა საკითხებსა და საქმიანობაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი შიდა მმართველობა და ფუნქციონირება.⁴⁴ ახლადმიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ თანახმად, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მედია საშუალებებს, რომლებიც მათი დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ, ვალდებული ხდება დარეგისტრირდნენ, როგორც ორგანიზაციები, რომლებიც „ატარებენ უცხო ქვეყნის ინტერესებს“. ეს მოთხოვნა მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ასეთი ორგანიზაციების მონიტორინგისა და შემოწმების კუთხით, თუმცა კანონს არ გააჩნია გამჭვირვალე, მკაფიო კრიტერიუმები და შეზღუდვები ასეთი კონტროლის განხორციელებისას. ამ სიცხადის ნაკლებობამ შეიძლება სექტორში სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევის საფრთხე გააჩინოს, რაც შემოწმებების უხეშ და თვითნებურ ხასიათზე მიანიშნებდეს. დამატებით, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები⁴⁵ ცხადყოფს, რომ კანონი შეიძლება მიზანმიმართულად გამოიყენონ იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც აკრიტიკებენ მთავრობის პოლიტიკას ან იცავენ მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ლგბტქ+ თემის უფლებებს.

ამ რიტორიკის კვალდაკვალ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“,⁴⁶ რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს LGBTQ+ პირების უფლებებს. აღნიშნული კანონმდებლობა კრძალავს საქმიანობას, რომელიც „არატრადიციული“ ურთიერთობების პროპაგანდად აღიქმება და ზღუდავს საჯარო გამოხატვას LGBTQ+ თემატიკასთან დაკავშირებით. შედეგად, იმ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც LGBTQ+ უფლებების დაცვისკენ არიან მიმართული, მნიშვნელოვნად ეზღუდებათ თავიანთი საქმიანობა. კანონი პრაქტიკულად ზღუდავს მათ შესაძლებლობას ჩაატარონ საინფორმაციო კამპანიები, დაგეგმონ ღონისძიებები და ჩაერთონ საჯარო დისკუსიებში ლგბტქ+ უფლებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შესაძლოა, რომ კანონი შერჩევითად ამოქმედდეს, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიისთვის ფუნდამენტურ პრინციპებს – სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და კანონის წინაშე თანასწორობას.

⁴⁴ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 25(2), op. cit.

⁴⁵ საზოგადოებრივი მაუწყებელი, მარიკა კარტოზია, „სპიკერი: გამჭვირვალობის შესახებ კანონი უნდა იქნას მიღებული ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე; ბუნებრივია, რომ უცხო ქვეყნებს არ აქვთ ინტერესი, რომ მათი გავლენა გამჭვირვალე იყოს“, 2024 წლის 12 მაისი, <https://1tv.ge/lang/en/news/speaker-transparency-law-should-be-adopted-in-interest-of-georgian-people-natural-that-foreign-countries-do-not-have-interest-in-having-their-influence-transparent/>; Agenda.ge, „საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით“, 2024 წლის 14 აპრილი, https://www.gov.ge/index.php?info_id=88443&lang_id=ENG&sec_id=603.

⁴⁶ ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/6283110?publication=0>.

შესაბამისი კანონმდებლობის — კონკრეტულად კი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის — ანგარიშგების მოთხოვნები ავალდებულებს ყველა ორგანიზაციას, მიუხედავად მათი ზომისა თუ შესაძლებლობების, წარადგინონ დეტალური ფინანსური ინფორმაცია, მათ შორის დაფინანსების წყაროების შესახებ. რეგულაცია მსგავსად ვრცელდება ყველა ორგანიზაციაზე და არ ითვალისწინებს მათ მასშტაბს, საქმიანობის სფეროს ან შესაძლებლობებს, რაც განსაკუთრებით მცირე ზომის ორგანიზაციებისთვის ქმნის მძიმე ადმინისტრაციულ ტვირთს. ბევრი ორგანიზაცია უკვე ვალდებულია ყოველთვიურად წარადგინოს ფინანსური ანგარიშები საგადასახადო უწყებებში, რის ფონზეც ახალი მოთხოვნა ზედმეტ და გადაჭარბებულ ვალდებულებად აღიქმება. ანგარიშგებისთვის ხელისუფლებამ ელექტრონული პლატფორმა შექმნა, სადაც ხდება ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ ანგარიშგების სისტემა ხელმისაწვდომია, მცირე ზომის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში კვლავ ნარჩუნდება შეშფოთება მძიმე ადმინისტრაციული ტვირთის გამო. ანგარიშგების მოთხოვნების ერთგვაროვანი გავრცელება არ ითვალისწინებს ორგანიზაციების განსხვავებულ შესაძლებლობებს, რაც ართულებს შესაბამისობის დაცვას. მართალია, ონლაინ სისტემა ინფორმაციის წარდგენის უფრო ხელმისაწვდომ საშუალებას უზრუნველყოფს, თუმცა ძირითადი პრობლემა — არაპროპორციული ტვირთი მცირე ორგანიზაციებისთვის — კვლავ მოუგვარებელია. გარდა ამისა, კანონის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციები მკაცრია — ჯარიმა შეიძლება მიაღწიოს 25 000 ლარს, რაც განსაკუთრებით დამაზიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს შეზღუდული რესურსების მქონე მცირე ორგანიზაციებისთვის. ანგარიშგების მოთხოვნების ასეთი გამკაცრებული და არამასშტაბირებადი ბუნება არ შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს და არ უზრუნველყოფს ვალდებულებების მკაფიო აღწერას ორგანიზაციის ზომისა და საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით.

აღნიშნულმა მოუქნელობამ შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას მცირე ორგანიზაციების ოპერატიულ შესაძლებლობებს და შეასუსტოს სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტიანობა. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში გვხვდება არაერთგვაროვნება, შერჩევითი აღსრულების პოტენციალი და ადმინისტრაციული ტვირთის არაპროპორციულობა — ყველა ეს ფაქტორი შეიძლება იქცეს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეზღუდვის ხელშემწყობად. პარალელურად ამისა, აღსანიშნავია, რომ თუ როგორ იმუშავებს ახალი კანონმდებლობა პრაქტიკაში, ამას ჯერ კიდევ სჭირდება დაკვირვება.

კონკრეტული რეკომენდაციები პირველ სფეროსთან მიმართებით:

- გააუქმოს ყველა დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებული კანონი, რომელიც ზღუდავს გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი.

მას შემდგომ, რაც ყველა ასეთი შემზღუდავი კანონი გაუქმდება:

- იუსტიციის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს მექანიზმები, რათა რეგისტრატორმა ორგანომ გამოავლინოს და განასხვავოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სხვა ააიპ-ებისგან და შესაბამისად, უზრუნველყოს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება;
- საქართველოს მთავრობამ უნდა შეიტანოს ცვლილებები ორგანიზაციების ლიკვიდაციის წესში, რათა ეს პროცესი სსო-თათვის გამარტივდეს და გახდეს უფრო სწრაფი.
- რეგისტრატორმა ორგანომ უნდა ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ონლაინ რეგისტრაციის პროცედურებსა და რესურსების გავრცელებას

3.2 თანასწორი მოპყრობა

ჯამური ქულა: **4.7 / 7**

კანონმდებლობა: 4.1/7	პრაქტიკა: 5.3/7
-----------------------------	------------------------

ორგანიზაციის დაარსებისა და რეგისტრაციის პროცედურები არის მარტივი, გამჭვირვალე, ეკონომიკური და დროის ფაქტორების გათვალისწინებით ეფექტიანი ყველა სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის წარმომადგენლისთვის. მიუხედავად ამისა, დამატებითი ღირებულების გადასახადის ბიუჯეტიდან დაბრუნების პროცედურებში არსებობს უთანასწორობა, რა დროსაც ბიზნეს სუბიექტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შედარებით უფრო სწრაფი და მოქნილი პირობებით სარგებლობენ. შედეგად, ბიზნესის წარმომადგენლები უფრო უპირატეს მდგომარეობაში არიან. ამ სფეროში საერთო ქულა 2023 წლის 5.6-დან 2024 წელს 4.7-მდე შემცირდა, რაც განპირობებულია კანონმდებლობის ქულის 2023 წლის 5.8-დან 2024 წელს 4.1-მდე შემცირებით. ახლად მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დეკლარაციის წარდგენის უფრო მკაცრ პირობებს უყენებს, ვიდრე ეს ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაშია, რაც მათ მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს პრაქტიკაში ჯერ არ განუცდიათ პირდაპირი უთანასწორობა ან უსამართლო მოპყრობა, ეს საკითხი ყურადღებით იქნება შესწავლილი მომდევნო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კანონის აღსრულებასთან ერთად. გარდა ამისა, 2024 წლის სექტემბერში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამ მკაცრი შეზღუდვები დააწესა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ლგბტქ+ საკითხებს იცავენ, რაც ხაზს უსვამს ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და პირების მიმართ არათანაბარ და დისკრიმინაციულ მოპყრობას.

სტანდარტი I. სახელმწიფო სამართლიანად ექცევა ყველა სსო-ს, ისევე როგორც ბიზნეს სუბიექტებს.

ახალი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის აწესებს გაცილებით მკაცრ ადმინისტრაციულ და ოპერაციულ მოთხოვნებს, ვიდრე ეს ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაშია დადგენილი.⁴⁷ იმ დროს, როდესაც ბიზნეს სუბიექტები ვალდებული არიან დაიცვან სტანდარტული ფინანსური ანგარიშგების რეგულაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს იღებენ უცხოური წყაროებიდან, მოუწევთ არა მხოლოდ ამ წყაროების გამჟღავნება, არამედ დარეგისტრირება როგორც „უცხო ქვეყნის ინტერესების მატარებელი“ სუბიექტები. ეს დამატებითი ადმინისტრაციული ტვირთი არ ვრცელდება ბიზნეს სუბიექტებზე, რაც ქმნის განსხვავებას ამ ორ სექტორზე რეგულაციების მიმართებაში. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ფინანსური დეკლარაციების წარდგენის ვადები აღნიშნული კანონით გაცილებით მკაცრია, ვიდრე ბიზნესის შემთხვევებში. რაც შეეხება ფინანსურ პროცედურებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგისტრაცია და მათი ნებაყოფლობითი დახურვა არ არის უფრო ძვირი, ხანგრძლივი ან რთული ბიზნეს სუბიექტებთან შედარებით.

„უცხოური აგენტების“ კანონი ქმნის არასათანადო პირობებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის დროს. უცხო ქვეყნის ინტერესების მატარებელი ორგანიზაციის იარლიყით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია შეიძლება გახდეს სტიგმატიზირებული, რაც ემუქრება მათ რეპუტაციას საჯარო შესყიდვების კონკურსებში მონაწილეობისას. მსგავსი ტვირთი არ ეხება ბიზნეს სუბიექტებს, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში უშუალოდ და რეპუტაციულ რისკების გარეშე მონაწილეობენ. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის დაწესებული მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლი და ანგარიშგების ვალდებულებები შეიძლება გახდეს საჯარო კონტრაქტების შესრულების დროს დაგვიანებისა და სხვადასხვა სირთულეების მიზეზი, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათ კონკურენტულ შესაძლებლობებს ბიზნესთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ უცხოური დაფინანსების მიღების თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მეტი შეზღუდვა აქვთ, ვიდრე ბიზნესს. თუ ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ანგარიშგება ხდება ძირითადად სტანდარტული საგადასახადო ფორმალობების ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვალდებული ხდება დეტალურად წარმოადგინონ ინფორმაცია ყველა უცხოური შემოწირულობის შესახებ, რომლებიც ცდება 20%-იან ზღვარს და ასევე განმარტონ, თუ როგორ გამოიყენება აღნიშნული თანხები. ასეთი გაძლიერებული კონტროლი და ადმინისტრაციული ტვირთი მოქმედებს როგორც დაბრკოლება და შესაძლოა შეამციროს უცხოური დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბევრი ორგანიზაციისთვის. განსხვავებით ამისგან, ბიზნესები არ აწყდება მსგავს მკაცრი მოთხოვნებს სახსრების გამჟღავნებასთან დაკავშირებით, რაც მათ მეტ მოქნილობას აძლევს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, სტიგმატიზაციის ან მთავრობის მხრიდან ზედმეტი ჩარევის რისკის გარეშე.

სტანდარტი II. სახელმწიფო ყველა სსო-ს თანაბრად ექცევა მათი დაარსების, რეგისტრაციისა და საქმიანობის მიმართებით

⁴⁷ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, op. cit.

სახელმწიფო ყველა სსო-ს თანაბრად ექცევა დაფუძნების, რეგისტრაციისა და საქმიანობის კუთხით. მიუხედავად ამისა, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება უცხოური დაფინანსების მიმღებ სამოქალაქო ორგანიზაციებს კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს, რაც ამ ორგანიზაციების „უცხო ძალის ინტერესების მატარებელ ორგანიზაციებად“ რეგისტრაციად რეგისტრაციის ვალდებულებასაც გულისხმობს. ავალდებულებს.

ეს მოთხოვნა ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ტვირთს წარმოშობს, რომელიც მხოლოდ დაფინანსების წყაროზეა დაფუძნებული და არა ამ ორგანიზაციების სამოქმედო მიზნებზე ან საქმიანობის ბუნებაზე. ასეთი მიდგომა შემოფთხებას იწვევს გამოყენებული კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მსგავსი ოპერატიული სტრუქტურების, მაგრამ განსხვავებული დაფინანსების წყაროების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციებისადმი „მიკერძოებული“ მოპყრობა.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად კანონმდებლობა ერთნაირად ვრცელდება ყველა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე, რომელიც აკმაყოფილებს დაფინანსების განსაზღვრულ ზღვრებს და შესაბამისად ხვდება კანონის ზემოქმედების სფეროში, პრაქტიკაში მან შესაძლოა არაპროპორციულად იმოქმედოს უცხოური სუბიექტების ან ფიზიკური პირების მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებზე. ეს ხდება იმიტომ, რომ ასეთი ორგანიზაციები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო დაფინანსებაზე, რაც პოტენციურად მათ უფრო მკაცრი შემოწმების საგნად აქცევთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან შედარებით. ამ განსხვავებულობამ შეიძლება გამოიწვიოს უთანასწორო მოპყრობის აღქმა დაფინანსების წყაროს მიხედვით და არა სამოქალაქო ორგანიზაციის წვლილის ან საზოგადოებაში საქმიანობის მიხედვით. დაინტერესებულ მხარეებს შორის დისკუსიები ხაზს უსვამს საფრთხეებს სახელმწიფოს მიკერძოების შესახებ, განსაკუთრებით აღსანიშნავია განსხვავებული მოპყრობა მთავრობასთან თანამშრომლობაში მყოფ ორგანიზაციებსა და მისი პოლიტიკების მოწინააღმდეგე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის.

მეორე მხრივ, 2024 წლის სექტემბერში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამ ასევე მკაცრი შეზღუდვები დააწესა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან ლგბტქ+ თემის საჭიროებების ადვოკატირებაში. ასეთი ორგანიზაციები ამჟამად მნიშვნელოვანი ოპერატიული გამოწვევების წინაშე დგანან, მათ შორის, შეზღუდულია ამ ორგანიზაციების შესაძლებლობა ჩაატარონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები, დაგეგმონ ღონისძიებები ან ჩაერთონ საჯარო განხილვებში. ეს სამართლებრივი გარემო არა მხოლოდ ხელს უშლის მათ საქმიანობას, არამედ საფრთხეს უქმნის მათ არსებობასაც.

კონკრეტული რეკომენდაციები მე-2 სფეროსთან მიმართებით:

- გააუქმოს ყველა დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებული კანონი, რომელიც ზღუდავს გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი.

მას შემდგომ, რაც ყველა ასეთი შემზღუდავი კანონი გაუქმდება:

- ფინანსთა სამინისტრომ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვადები ბიზნეს სუბიექტებისთვის განსაზღვრულ ვადებთან;
- სახელმწიფომ უნდა მიიღოს ინსტიტუციური რეგულაციები და კონტროლის მექანიზმები, რათა აღმოიფხვრას მთავრობასთან დაკავშირებული კონკრეტული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ პრივილეგიებული დამოკიდებულება.

3.3 დაფინანსების ხელმისაწვდომობა

ჯამური ქულა: **4.1/7**

კანონმდებლობა: **4.3**
/7

პრაქტიკა: **3.8/7**

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემო დაფინანსების მიმართულებითაც მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამ სფეროში საერთო ქულა 2023 წლის 5.6-დან 2024 წელს 4.1-მდე შემცირდა, კანონმდებლობის ქულა 2023 წლის 6.0-დან 2024 წელს 4.3-მდე, ხოლო პრაქტიკის ქულა 2023 წლის 5.1-დან 2024 წელს 3.8-მდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს კვლავ შეუძლიათ დაფინანსებაზე წვდომა სხვადასხვა წყაროს გამოყენებით, როგორცაა შემოწირულობები, გრანტები, სახსრების მოზიდვის კამპანიები და საქველმოქმედო შემოსავლები, „უცხოელი აგენტების კანონი“ უცხოურ დაფინანსების მიმღები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მძიმე მოთხოვნებს აწესებს. ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხო ძალის ინტერესების გამტარი“ ორგანიზაციები. აღნიშნულ მოთხოვნას შესაძლოა სერიოზული გავლენა ჰქონდეს და შეზღუდოს ორგანიზაციების წვდომა უცხოურ სახსრებზე დაწესებული დიდი ადმინისტრაციული ტვირთის გამო. ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ გაიზრდება სტიგმატიზაცია და უარყოფითად აისახება საზოგადოების აღქმაზე იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ცდილობენ თავიანთი სადამფუძნებლო მისიების შესრულებას. ცვლილებების მიუხედავად, საერთაშორისო დაფინანსება ბევრი სამოქალაქო საზოგადოების შემოსავლის ძირითად წყაროდ რჩება, რაც ხაზს უსვამს მათ დამოკიდებულებას გარე მხარდაჭერაზე. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა ხშირად არასაკმარისია და გაუმჭვირვალეა. ახალი სამართლებრივი

რეალობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ისინი იძულებულნი ხდებიან იპოვონ ბალანსი მუშაობის გაგრძელებისთვის საჭირო უცხოური დაფინანსების მოპოვებასა და ახალ სამართლებრივ მოთხოვნებს შორის, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათ საქმიანობასა და საზოგადოებრივ იმიჯზე.

სტანდარტი I. სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ ფინანსური და მატერიალური რესურსები თავიანთი მიზნების მისაღწევად.

სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ სხვადასხვა სახის ფინანსური და მატერიალური წყაროები კერძო, საჯარო, საერთაშორისო და ეროვნული დონორებისგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, გრანტების შესახებ საქართველოს კანონის,⁴⁸ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ,⁴⁹ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის⁵⁰ დებულების შესაბამისად. გრანტები, ქვე-გრანტები, მუნიციპალური პროგრამების დაფინანსება, ფონდების მოზიდვა, კერძო შემოწირულობები და არაარსებითი სამეწარმეო საქმიანობა დაფინანსების ინსტრუმენტების მაგალითებია. ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ წევრობის საფუძველზე, შეუძლიათ მიიღონ საწევრო გადასახადი - რომელიც შეიძლება იყოს არჩევითი ან სავალდებულო. აღნიშნულიდან, საერთაშორისო დონორების გრანტები კვლავ რჩება მრავალი სსო-სთვის შემოსავლის მთავარ წყაროდ.⁵¹ დაფინანსების კერძო წყაროებისგან განსხვავებით, სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული კანონმდებლობა არასისტემატური და ხშირად გაურკვეველია, რაც ქმნის სივრცეს თვითნებური გადაწყვეტილების მისაღებად.⁵²

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი საერთაშორისო დაფინანსების მიმღები სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის კონკრეტულ პირობებს აწესებს რაც შეიძლება შემზღუდველად ჩაითვალოს. საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვა ან პროცედურა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საერთაშორისო დაფინანსების ან არამატერიალური მხარდაჭერის მიღებისა და გამოყენების მიზნით, კანონმდებლობა, რომელიც 2024 წლის I აგვისტოს ამოქმედდა, მოითხოვს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებმა, რომლებიც დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ, დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხო ძალის ინტერესების გამტარი“ ორგანიზაციები. ამ რეგისტრაციამ შესაძლოა შეაფერხოს საერთაშორისო დონორები სტიგმისა და ბიუროკრატიული დაბრკოლებების გამო. თუმცა, რეგისტრაციის შემთხვევაში, არ არსებობს დამატებითი პროცედურული შეზღუდვები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებს ამ თანხებს ორგანიზაცია.

უცხოური და საერთაშორისო გრანტების, შემოწირულობებისა და წევრობის შენატანების საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ ასხვავებს უცხოურ და ადგილობრივ წყაროებს დაბეგვრის თვალსაზრისით. სამოქალაქო

⁴⁸ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://www.lexadin.nl/wlg/legis/nofr/oeur/arch/geo/LAWONGRANTS.pdf>.

⁴⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/31252?publication=58>.

⁵⁰ „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, *op. cit.*

⁵¹ ეს ტენდენცია უცვლელი რჩება ბოლო ანგარიშის შემდეგ და კიდევ ერთხელ დაადასტურეს ფოკუს ჯგუფის წევრებმა დისკუსიების დროს.

⁵² იხილეთ სექცია 3.9 (სახელმწიფო მხარდაჭერა).

საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა შემოწირულობა ექვემდებარება ერთსა და იმავე საგადასახადო რეგულაციებს, რაც უზრუნველყოფს, რომ საერთაშორისო გრანტები და შემოწირულობები განიხილებოდეს ისევე, როგორც ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული შემოწირულობები. სამოქალაქო ორგანიზაციები თავისუფლდებიან გრანტებსა და შემოწირულობებზე საშემოსავლო გადასახადისგან, მიუხედავად იმისა, დაფინანსება უცხოურია თუ ადგილობრივი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული გარკვეული საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისგანაც, გაწეული მომსახურების ხასიათის გათვალისწინებითა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული შეღავათები, ამ შემთხვევაშიც, ვრცელდება მიუხედავად იმისა, დაფინანსება უცხოურია თუ ადგილობრივი. საგადასახადო რეჟიმში ეს თანასწორობა ხელს უწყობს უცხოელი დონორებისთვის ფინანსური მიმზიდველობის შენარჩუნებას და ამარტივებს სამოქალაქო ორგანიზაციების საგადასახადო შესაბამისობის პროცესს.

სტანდარტი II. არ არსებობს განსხვავება ფინანსური და მატერიალური რესურსების მისაღებად უცხოური და საერთაშორისო წყაროებიდან ადგილობრივებთან შედარებით

2024 წლიდან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების მიღებისა და გამოყენების კონკრეტული შეზღუდვები და პროცედურები დაწესდა. მიუხედავად ამისა, უცხოურ გრანტებზე, შემოწირულობებსა და წევრობის შენატანებზე იგივე საგადასახადო რეჟიმი ვრცელდება, რაც ადგილობრივი დაფინანსების შემთხვევაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადების თანახმად, ახალი საგრანტო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მხარდაჭერა გაუწიოს იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონის საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს რეესტრში არიან რეგისტრირებულნი.⁵³ ინიციატივა ავტორების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ფინანსები იმ პროექტებისთვის, რომლებიც ემთხვევა ეროვნულ ინტერესებს — მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, კორუფციასთან ბრძოლას და სხვადასხვა სოციალური ინიციატივების მხარდაჭერას. მთავრობის დაპირებით, წამყვან ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა შეესაბამება აღნიშნულ პრიორიტეტებს, შესაძლოა გადაეცეს იმაზე ორჯერ მეტი დაფინანსება, რასაც ისინი მანამდე იღებდნენ უცხოელი დონორებისგან.

აღნიშნული საგრანტო პროგრამა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც მცდელობა, რომ უცხოური დაფინანსება ჩანაცვლდეს ან შეივსოს ადგილობრივი რესურსებით, რამაც შესაძლოა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა უფრო მეტად დაუკავშიროს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. ამ შემთხვევაში ჩნდება რისკები ორგანიზაციების ავტონომიურობასთან დაკავშირებით, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის გაძლიერებული ზედამხედველობისა და ზეგავლენის შესაძლებლობის შესახებაც. მთავრობის დაფინანსებაზე დამოკიდებულებამ შეიძლება დააზიანოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობა, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებიც პოლიტიკის მონიტორინგსა და ადვოკატირებაში მონაწილეობენ.

⁵³ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, op. cit.; <https://civil.ge/archives/623114>

საქართველოს აქვს ცალკე კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ¹⁰⁵ რომელიც არეგულირებს ლობირებას, აწესებს ლობისტების რეგისტრაციის პროცედურებს და შესაბამის უფლებებსა და მოვალეობებს. ყველას აქვს უფლება დარეგისტრირდეს ლობისტად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის საქმიანობა შეუთავსებელია ლობისტურ აქტივობებთან (პირები, რომლებიც იკავებენ გარკვეულ საჯარო თანამდებობებს, მაგალითად, პარლამენტის წევრებს) ან პირი ნასამართლევა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ან თანამდებობრივი დანაშაულისთვის.¹⁰⁶

რეგისტრაციის შემდეგ ლობისტებს აქვთ გარკვეული უპირატესობები და ანგარიშგების ვალდებულებები. მაგალითად, მათ შეუძლიათ თავისუფლად შევიდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობაში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კანონპროექტის განხილვაში როგორც ღია, ასევე დახურულ (გარდა კანონით განსაზღვრული ცალკეული შემთხვევებისა) სხდომაზე, აქვთ სიტყვის უფლება კომიტეტის სხდომებზე, პირადად ხვდებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებს.¹⁰⁷

ამჟამად ლობისტად რეგისტრირებულია 35 პირი. 2018 წლიდან საქართველოს პარლამენტს ლობისტად რეგისტრაციის მოთხოვნით მხოლოდ 6-მა პირმა მიმართა,¹⁰⁸ და მათგან მხოლოდ სამი დაკმაყოფილდა. სსო-ს წარმომადგენლები ძირითადად არ რეგისტრირდებიან ლობისტად და უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ საკანონმდებლო ადვოკატირებას. ინფორმაცია ლობისტებისა და მათი საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია ონლაინ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.¹⁰⁹

მიუხედავად საკანონმდებლო წახალისებისა, ლობირებისა და ლობისტად დარეგისტრირების სტატუსი ძირითადად უმოქმედოა, რადგან საქართველოს კანონმდებლობა იძლევა სხვა გარანტიებს (სამუშაო ჯგუფებსა საპარლამენტო მოსმენებში მონაწილეობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ.), რომლებიც გვთავაზობენ მსგავს ჩართულობას ლობისტის სტატუსის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წინააღმდეგ შემზღუდავიზომები მიიღო და ორგანიზაციაც და მისი აღმასრულებელი დირექტორიც „საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად“ მიიჩნია.¹¹⁰

¹⁰⁵ საქართველოს კანონი ლობიზმის შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/13552?publication=7>.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ საქართველოს პარლამენტი, რეგისტრირებული ლობისტების სია და მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშები,

https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/OGP/lobistta_reestri.pdf;

<https://parliament.ge/search?q=%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90>

¹¹⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო: ჩვენ აღარ შეგვიძლია არჩევნების დაკვირვება, როგორც ორგანიზაციას, მაგრამ ინდივიდუალური ბრძოლა ხმების დასაცავად გრძელდება“, 30 სექტემბერი 2024, <https://transparency.ge/en/post/ti-georgia-we-are-no-longer-able-observe-elections-organization-individual-struggle-protect>.

შემდგომში, თბილისის საქალაქო სასამართლომ უარყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მოთხოვნა ამ გადაწყვეტილების შეჩერების შესახებ, რაც გახდა შემფოთების საგანი, რომ ორგანიზაციას არ მიეცა შესაძლებლობა, გამოეთქვა აზრი მის საქმიანობაზე მოქმედ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს შევიწროებისა და ზეწოლის ფორმად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მთავრობის ქმედებების მონიტორინგსა და არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ თანახმად, მისი, როგორც საარჩევნო მიზნების მქონე ორგანიზაციის, კლასიფიკაცია წარმოადგენდა არჩევნების მონიტორინგის ჩახშობის მცდელობას. მთავრობის უფრო ფართო ინიციატივები - როგორიცაა უცხოური დაფინანსების შეზღუდვა და სხვა არალიბერალური პოლიტიკური პარტიისთვის დამახასიათებელი შემზღუდავი რეგულაციების დაწესება - სადამსჯელო ხასიათისაა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მუდმივად აცხადებდა, რომ ის არ მონაწილეობდა და არ მონაწილეობს არცერთ პოლიტიკურ პარტიულ საქმიანობაში.

ამ ქმედებების შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ცდილობს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოზე ზეწოლის განხორციელებას და მის მიერ მთავრობისა და საარჩევნო პროცესების მონიტორინგის შესაძლებლობების შეზღუდვას. ორგანიზაციის განცხადებით, 24 წლის განმავლობაში პირველად, მას შესაძლოა არ ქონოდა შესაძლებლობა დაკვირვებოდა არჩევნებს, რაც ნათლად უსვამს ხაზს იმ უპრეცედენტო და მიზანმიმართულ ზეწოლას, რომელსაც ორგანიზაცია განიცდის განიცდის.¹¹¹ ანტიკორუფციულმა ბიურომ აღნიშნული გადაწყვეტილება, საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად მიჩნევისა და შედეგად საარჩევნო დამკვირვებლად რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის მიმართვის შემდეგ მალევე შეცვლა.

¹¹¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „პრემიერ-მინისტრი ანტიკორუფციულ ბიუროს იყენებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად“, 2024 წლის 24 სექტემბერი, https://idfi.ge/en/acb_an_instrument_of_the_gd.

კონკრეტული რეკომენდაციები მე-5 სფეროსთან მიმართებით:

მას შემდგომ, რაც ყველა შემზღუდავი კანონი გაუქმდება:

- სახელმწიფო ინსტიტუტებმა პატივი უნდა სცენ ინდივიდების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყონ მათი მნიშვნელოვანი ჩართულობა კანონპროექტებისა და პოლიტიკის შემუშავებაში, მათ შორის პოლიტიკურად მგრძნობიარე თემებზე;
- საქართველოს მთავრობამ ეროვნულ დონეზე უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ერთიანი სტანდარტები/წესები კანონპროექტების განხილვისა და პოლიტიკის დაგეგმვისას საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ, მათ შორის, მკაფიოდ, სავალდებულო ეტაპად განსაზღვროს მონაწილეობითი პროცესი (კონსულტაციები) დადგენილებების, კანონპროექტების, სტრატეგიული დოკუმენტების და სხვა ინსტრუმენტების შემუშავებისას და განსაზღვროს პასუხისმგებლობა ამ ვალდებულების დარღვევისას;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სსო-ებთან კონსულტაციები განხორციელდეს კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ადრეულ ეტაპზე და მათ მიეწოდოს ყოვლისმომცველი უკუკავშირი მათ მიერ შეტანილ კონტრიბუციასთან დაკავშირებით;
- მთავრობამ უნდა აღმოფხვრას საკანონმდებლო და პრაქტიკული დაბრკოლებები, რომლებიც ზღუდავს ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვან მონაწილეობას (მაგ., ოლქის საერთო კრების 20%-იანი ბარიერის შემცირება) და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ ხელისუფლებას მონაწილეობისა და ინფორმაციის გამოქვეყნების ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარებაში;
- საქართველოს მთავრობამ და სხვა სახელმწიფო უწყებებმა უნდა განამტკიცონ თავიანთი ვალდებულებები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიისა და უზრუნველყონ სსო-ებისათვის განსაკუთრებით სადავო თემებზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისას ყოვლისმომცველი ინფორმაციის თავის დროზე მიწოდება;
- საქართველოს მთავრობამ პარლამენტში წარდგენამდე/მიღებამდე უნდა გამოაქვეყნოს კანონპროექტები და ნორმატიული აქტების პროექტები საჯარო კომენტარისთვის. ამ მიზნით მან უნდა შექმნას ონლაინ პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ღია პოლიტიკის შემუშავების პროცედურებს.

3.6 გამოხატვის თავისუფლება

ჯამური ქულა: 4.2/7

კანონმდებლობა: 4.7/7

პრაქტიკა: 3.6 /7

გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოში, თუმცა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ მრავალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და მედიასაშუალება დახურვის ან საქმიანობის შეწყვეტის საფრთხის წინაშე დააყენა. კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს ხშირი იყო ძალადობრივი თავდასხმები ჟურნალისტებზე, შეიმჩნეოდა აგრესიული რიტორიკა და ქონების დაზიანება, ასევე ზოგადი დაშინების ტაქტიკა. ამას გარდა, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამ კიდევ უფრო შეავიწროვა ლგბტქ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლება და შექმნა სახელმწიფო ცენზურის მექანიზმი. შედეგად, აღნიშნულ სფეროში ზოგადი ქულა 2023 წლის 4.9-დან 2024 წელს 4.2-მდე შემცირდა, მათ შორის საკანონმდებლო ქულა 5.6-დან 4.7-მდე, ხოლო პრაქტიკული გამოყენების ქულა 4.1-დან 3.6-მდე დაეცა.

სტანდარტი I. ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება

გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, პირები ზოგადად სარგებლობენ ამ ფუნდამენტური უფლებით, მათ შორის ონლაინ კომუნიკაციებში.¹¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამის კანონებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებაში.¹¹³ სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისგან, რომლებიც აზროვნებენ თავისუფლად, აქვთ დამოუკიდებელი და განსხვავებული აზრი და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც გულისხმობს აზრთა გაცვლასა და დებატებს“.¹¹⁴

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი იცავს აზრის, ინფორმაციის, მასმედიის და ინტერნეტის თავისუფლებას. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონში ნათქვამია, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სხვა „საყოველთაოდ მიღებული უფლებები“ ასევე დაცულია, მაშინაც კი, თუ ისინი კონკრეტულად არ არის აღნიშნული კანონში.¹¹⁵ არავის აქვს უფლება მონოპოლია ჰქონდეს მასმედიის ან

¹¹² Freedom House, თავისუფლება ინტერნეტში 2024: Georgia, <https://freedomhouse.org/country/georgia>.

¹¹³ საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №1/6/561,568) (ქართულ ენაზე), <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1053>.

¹¹⁴ საქართველოს მოქალაქე ქალბატონი მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/2/389) II, 13, <https://www.constcourt.ge/en/judicial-acts?legal=301>.

¹¹⁵ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/33208?publication=5>.

ინფორმაციის გავრცელების საშუალებებზე.¹¹⁶ აკრძალულია ცენზურა.¹¹⁷ კანონის თანახმად, ყველას, მათ შორის სსო-ებს შეუძლიათ ისარგებლონ გამოხატვის თავისუფლებით როგორც ონლაინ, ისე ოფლაინში.

აღნიშნული შეზღუდვა არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს და „გაყინვის ეფექტს“ გამოიწვევს აქტივისტებზე, ხელოვანებზე, მეცნიერებზე, სამართალდამცველებზე და აკადემიურ საზოგადოებაზე. მსგავსმა რეგულაციამ რუსეთის ფედერაციაში უკვე გამოიწვია წიგნების, ფილმებისა და სხვა ხელოვნების ნიმუშების გამოჩხრეკა და ამოღება, რაც კიდევ უფრო ზღუდავს ხელოვანებისა და მედიის გამოხატვის თავისუფლებას.

საქართველოს შემთხვევაშიც, კანონი უკვე იწვევს თვითცენზურას გამომცემლებსა და ხელოვანებში, რომლებიც სანქციების შიშით თავს იკავებენ თემების განხილვისგან. ასეთი დამთრგუნველი გარემო აფერხებს კრეატიულობას, აკადემიურ თავისუფლებას და ღია დისკურსს — რაც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ელემენტებია.

ამის მიუხედავად, 2024 წლის სექტემბერში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიღების შემდეგ, ბევრი პირის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის უფლებები საფრთხის ქვეშ დადგა. კანონი კრძალავს ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ლგბტქ+ თემატიკას ეხება — ეს შეზღუდვა ვრცელდება როგორც აქტივიზმზე, ისე შემოქმედებით, სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობაზე.¹¹⁸ აღნიშნული შეზღუდვა არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. მსგავსმა რეგულაციამ რუსეთის ფედერაციაში უკვე გამოიწვია წიგნების, ფილმებისა და სხვა ხელოვნების ნიმუშების აკრძალვა, რაც კიდევ უფრო ზღუდავს ხელოვანებისა და მედიის გამოხატვის თავისუფლებას. კანონმა ასევე გამოიწვია თვითცენზურა გამომცემლებსა და ხელოვანებში, რომლებიც სანქციების შიშით თავს იკავებენ თემების განხილვისგან. ასეთი დამთრგუნველი გარემო აფერხებს კრეატიულობას, აკადემიურ თავისუფლებას და გახსნილ დისკურსს, რაც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ელემენტებია.¹¹⁹

საქართველოში აკრძალულია სიძულვილის პროპაგანდა, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას. სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზირებულია „საჯარო მოწოდებები ძალადობრივი ქმედებებისკენ“, რომლებიც მიზნად ისახავს „რელიგიურ, რასობრივ, ეთნიკურ, სოციალურ, ენობრივ ან სხვა ჯგუფებს შორის უთანხმოების გამოწვევას“.¹²⁰ ამ ნორმის დარღვევა ისჯება ჯარიმით ან/და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით.¹²¹ განმეორებითი დანაშაული, რომელიც იწვევს სხეულის დაზიანებას ან სიკვდილს, ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.¹²²

¹¹⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი, *op. cit.*

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ საია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია რეაგირებს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებებს, დემოკრაციას და დისკრიმინაციისგან დაცვას“, 2024 წლის 20 სექტემბერი, <https://gyla.ge/en/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba>.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 239, *op. cit.*

¹²¹ იქვე.

¹²² იქვე.

პრესის აკრედიტაციის წესების ბოროტად გამოყენების პრაქტიკამ, რომლებიც ბუნდოვანია და გამოხატვისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვის რისკს ქმნის, 2023 წელს პრესის კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების დისკრიმინაციული შეჩერება გამოიწვია.

პრესის აკრედიტაციის წესების ბოროტად გამოყენების პრაქტიკამ, რომლებიც ბუნდოვანია და გამოხატვისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვის რისკს ქმნის,¹²³ 2023 წელს პრესის კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების მუშაობის შეფერხება გამოიწვია.¹²⁴ ეს პრაქტიკა 2024 წელსაც გაგრძელდა და, 2023 წლის მსგავსად, 2024 წლის აპრილს/მაისში „უცხოელი აგენტების კანონის“ საპარლამენტო განხილვებისას კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე დასწრება მხოლოდ აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის იყო შესაძლებელი.¹²⁵

მიუხედავად იმისა, რომ მედიის სამართლებრივი ჩარჩო გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს ქმნის, ჟურნალისტებზე მუქარისა და თავდასხმის შემთხვევებმა, ასეთ შემთხვევებზე არაეფექტურმა და დაგვიანებულმა რეაგირებამ და ამ საქმეებზე სათანადო გამოძიების არარსებობამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით „რუსული კანონის“ საპროტესტო აქციების დროს. 2024 წელს საჯარო მედიაში მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან აგრესიული რიტორიკა კრიტიკულად განწყობილი სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ და კრიტიკოსების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ქონების დაზიანება დაფიქსირდა. ეს სიტუაცია პირდაპირ კავშირშია სპეციალური საგამომიებო სამსახურის უმოქმედობასთან ან იშვიათ შემთხვევებთან ასეთი ინციდენტების ეფექტურად გამოძიების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ მედიის საკანონმდებლო ბაზა იძლევა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად მყარ საფუძველს, ჟურნალისტების მიმართ მუქარის შემთხვევები, მსგავს მოვლენებზე არაეფექტიანი და დაგვიანებული რეაგირება და ამ საქმეების შესაბამისი გამოძიების არარსებობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობასთან დაკავშირებით ქვეყანაში, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების კონტექსტში.¹²⁶ 2024 წელს მაღალი საჯარო თანამდებობის პირების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ აგრესიული რიტორიკა დაფიქსირდა.¹²⁷ ასევე ადგილი ჰქონდა

¹²³ საია, „საქართველო 2023 წელს: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების შეფასება“, გვ. 32, op. cit.

¹²⁴ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №31/23 ბრძანება „მასმედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის პროცედურის დამტკიცების შესახებ“, <https://web-api.parliament.ge/storage/files/11/akreditacia-2023.pdf>.

¹²⁵ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის 8 აპრილს სამართალდამცავებმა რამდენიმე მედიის წარმომადგენელს საქართველოს პარლამენტში შესვლა აუკრძალეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ მოქმედი აკრედიტაცია ან საშვი, მათ საკანონმდებლო ორგანოში შესვლა აუკრძალეს და რამდენიმე საათის განმავლობაში პარლამენტის პრესსამსახურისგან პასუხის მიღების გარეშე ელოდნენ. იხილეთ: მედიის ადვოკატირების კოალიცია, „კოალიცია პასუხობს ჟურნალისტების პარლამენტში არშეშვებას“, 2024 წლის 10 აპრილი (ქართულ ენაზე), <https://mediacoalition.ge/koalicia-parlamentshi-djurnalistebs-arsheshvebas-ekhmianeba/>.

¹²⁶ საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსეთის კანონის ფონზე“, გვ. 14, op. cit.

¹²⁷ იქვე. იხილეთ ასევე: Mapping Media Freedom, 'Speaker of parliament discredits prominent journalist', 20 თებერვალი 2024, <https://www.mapmf.org/alert/31223>; იქვე, „საქართველოს პრემიერ-მინისტრი ცდილობს ფაქტების შემოწმების დისკრედიტაციას“, 2024 წლის 8 აპრილი, <https://www.mapmf.org/alert/31414>;

სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ქონების დაზიანებასაც. არსებული ვითარება პირდაპირ კავშირშია სპეციალური საგამომიებო სამსახურის უმოქმედობასთან ან არასაკმარის ქმედებებთან მსგავსი ინციდენტების ეფექტურად გამოძიების კუთხით.¹²⁸

სტანდარტი II. სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ინტერნეტზე წვდომა ადამიანის ძირითად უფლებათა შემადგენელი ნაწილია.¹²⁹ მომხმარებლებს არ ეზღუდებათ ვებ-საიტებზე

წვდომა, მათზე სასურველი შინაარსის მასალების ატვირთვა ან ჩამოტვირთვა, საკუთარი

ვებ-საიტების ქონა და მართვა, ასევე სხვა მომხმარებლებთან კომუნიკაციის მიზნებისთვის ფორუმების, სოციალური მედიის პლატფორმებისა და შესაბამისი აპლიკაციების გამოყენება.¹³⁰ ზოგადად, ონლაინ კონტენტი არ ექვემდებარება წაშლას.¹³¹

„რუსული კანონის“ მიღებამ მრავალი მედიაორგანიზაცია საფრთხის ქვეშ დააყენა, რადგან ქართული მედიის უმეტესობა არ აპირებს კანონის დებულებების შესაბამისად სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციას და არც საქმიანობის შეჩერებას. ვინაიდან საქართველოში დამოუკიდებელი მედიის უმეტესობა დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებს, ხელისუფლების მიერ დაკისრებული ჯარიმებმა, რომელთა გადახდაც მედიაორგანიზაციებს არ შეუძლიათ, შესაძლოა მათი დახურვა გამოიწვიოს.¹³²

გამოხატვის თავისუფლებისა და ცილისწამების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი გარანტიები დიდწილად ეფუძნება აშშ-ს საკანონმდებლო გამოცდილებას და სასამართლო პრაქტიკას.¹³³ ჟურნალისტებსა და აქტივისტებს შეიძლება უჩივლონ ცილისწამებისთვის. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი ითვალისწინებს ცილისწამებლური განცხადებების გაკეთებისთვის ბრალდებულთა სამოქალაქო ჯარიმებს¹³⁴ იგივე კანონი ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ გარანტიას, ანუ მტკიცების ტვირთის დაკისრებას შეზღუდვის ინიციატორზე. ნებისმიერი ეჭვი, რომლის დამტკიცებაც შეუძლებელია, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ.¹³⁵

იქვე, „თბილისის მერი შეურაცხყოფს ფორმულა TV-ს რეპორტიორს“, 2024 წლის 2 მაისი, <https://www.mapmf.org/alert/31493>.

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ საქართველოს კონსტიტუცია. 17, *op. cit.*

¹³⁰ Freedom House, „თავისუფლება ინტერნეტში 2024“: საქართველო, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2024>.

¹³¹ იქვე.

¹³² კუბლიკა, 'ქართული მედია „რუსული კანონის“ ქვეშ და არჩევნების წინ, 25 ივლისი 2024 <https://publika.ge/article/qartuli-media-rusuli-kanonis-qvesh-da-archevnebis-win/>.

¹³³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „რატომ არ უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება“, 6 ივნისი 2019, <https://www.transparency.ge/en/blog/why-freedom-expression-must-not-be-restricted>.

¹³⁴ საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მუხლები 13 და 19, *op. cit.*

¹³⁵ საია, 'GYLA Responds to the Events Surrounding "TV First"', 30 July 2024, <https://gyla.ge/en/post/saia-ekhmaineba-tv-pirveli-is-irgvli-ganvitarebul-movlenebis#sthash.47JliXtU.ABow3GJY.dpbs>; TI Georgia, 'Three Trends Revealed in Hearings against Media', 27 June 2023, <https://transparency.ge/en/blog/three-trends-revealed-hearings-against-media>.

კონკრეტული რეკომენდაციები მე-6 სფეროსთან მიმართებით:

- გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი
- გაუქმდეს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“;

მას შემდეგ, რაც აღნიშნული კანონები გაუქმდება:

- საქართველოს პარლამენტმა პატივი უნდა სცეს გამოხატვის თავისუფლებას და
- თავიდან აიცილოს ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ უფლების შეზღუდვას, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის დროს ისეთი პოლიტიკური რეკლამის აკრძალვის ინიციატივას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი დამოკიდებულების შექმნა სხვა პოლიტიკური პარტიის მიმართ;
- შესაბამისმა ორგანოებმა, სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ დროულად და ეფექტიანად უნდა აღკვეთონ, რეაგირება მოახდინონ და გამოიძიონ მედიის წარმომადგენლების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტები;
- სპეციალური საგამომიებო სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ დაუყოვნებლივ, მიუკერძოებლად და ობიექტურად უნდა გამოიძიონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ დემონსტრაციების დროს უფლებამოსილების გადამეტების ყველა საქმე.

3.7 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

ჯამური: **3.4/7**

კანონმდებლობა:
4.0/7

პრაქტიკა: **2.8/7**

საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს ძირითად გარანტიებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და თავდასხმისგან, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ისინი ჩადენილი სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ, ონლაინ თუ ოფლაინ განხორციელებული. თუმცა, ეს გარანტიები ჯერ კიდევ მყიდვეა და კონფიდენციალურობის

უფლების პატივისცემის სახელმწიფო მოვალეობის პრაქტიკული განხორციელება კიდევ უფრო შემზარავი ჩანს, გაჟონილი დოკუმენტებით, რომლებიც ასახავს სსო-ების და მასთან დაკავშირებული პირების უკანონო თვალთვალს. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ამოქმედება ანგარიშგების მოთხოვნებს აწესებს, რაც მნიშვნელოვნად არღვევს სამოქალაქო ორგანიზაციების წევრების, დონორების, ორგანიზაციების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და თანამშრომლების კონფიდენციალურობას. ამ სფეროში საერთო ქულა 2023 წლის 3.9-დან 2024 წელს 3.4-მდე შემცირდა, კანონმდებლობის (2023 წლის 4.7-დან 2024 წელს 4.0-მდე) და პრაქტიკის (2023 წლის 3.0-დან 2024 წელს 2.8-მდე) ქულების კლებით.

სტანდარტი I. ყველა სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებით

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები გარანტიას იძლევა, რომ ყველას აქვს კონფიდენციალურობის უფლება და რომ არ შეიძლება ამ უფლებაში სასამართლოს თანხმობის ან სამართლებრივი აუცილებლობის გარეშე თვითნებური ან უკანონო ჩარევა და კრძალავს პოლიციის მიერ საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას, თანხმობის გარეშე ელექტრონული მეთვალყურეობის ან მონიტორინგის ოპერაციების განხორციელებას ორდერის გარეშე.

საქართველოს აქვს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც ადგენს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს, დაიცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.¹³⁶ საქართველოს ასევე აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრონული კომუნიკაციების საიდენტიფიკაციო მონაცემების ცენტრალურ მონაცემთა ბანკში პერსონალური მონაცემების დამუშავების, ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და საქმიანობის კანონიერების მონიტორინგზე.¹³⁷

ამ საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების მიუხედავად, საქართველო ჯერ კიდევ შორს არის აუცილებელი საკანონმდებლო ბარიერის დაკმაყოფილებისგან, რომელიც მტკიცედ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, როგორც ამას IDFI-ის 2023 წლის კვლევაში.¹³⁸ კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით პირადი ცხოვრების უფლება დაცულია, მისი პრაქტიკული რეალიზაცია საქართველოში კვლავ არათანაბარი და დისკრიმინაციულია. განსაკუთრებულად დაუცველები არიან ის პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ან გამოთქვამენ კრიტიკას მთავრობის მიმართ, რაც ვლინდება ფარული მოსმენის და მეთვალყურეობის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკით. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ფორმალურად ითვალისწინებს არასანქცირებელი მიყურადება/თვალთვალი/თავდასხმისგან დაცვას, სამართალდამცავ და სადაზვერვო სტრუქტურებს — მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და მის ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს — მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილებები,

¹³⁶ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/1561437?publication=9>.

¹³⁷ პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის ვებსაიტი, <https://pdps.ge/en/content/953/ABOUT-US>.

¹³⁸ IDFI, „ფარული თვალთვალის ზედამხედველობა: კანონი და პრაქტიკა“, 2024, https://idfi.ge/public/upload/02.%20gdavituri/CSReport-2021-2023/IDFI_Oversight%20of%20Covert%20Surveillance_ENG-1.pdf.

რომლებიც ხშირად ხორციელდება სასამართლო კონტროლის გარეშე ან მისი მინიმალური უზრუნველყოფით. სასამართლოზე მოთხოვნილი ფარული მოსმენის დაკმაყოფილების მაჩვენებელი აღემატება 91.7 პროცენტს, რა დროსაც, სასამართლოები იშვიათად ასაბუთებენ გადაწყვეტილებებს საჯაროდ, რაც სერიოზულ კითხვებს ბადებს პროცესის მიუკერძოებლობასა და გამჭვირვალობაზე.

გარდა ამისა, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის რეგულირების არსებული სამართლებრივი ჩარჩო არასაკმარისია. IDFI-ს კვლევა ხაზს უსვამს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პირდაპირ წვდომას სატელეკომუნიკაციო ქსელებზე, რაც მას საშუალებას აძლევს შეაგროვოს პოტენციურად სენსიტიური პირადი ინფორმაცია ეფექტური ზედამხედველობის გარეშე. ამ პროცესებში სასამართლო კონტროლი ხშირად არასაკმარისია, რაც იწვევს პასუხისმგებლობის დეფიციტს შესაძლო დარღვევებზე. კვლევამ ასევე გამოავლინა სერიოზული პრობლემა სახელმწიფო უწყებების მიერ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის კუთხით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულ პირთათვის ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმები პრაქტიკულად არ არსებობს. მსგავსი პრაქტიკები კოლექტიურად ძირს უთხრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირეული უფლებას და ხაზს უსვამს უფრო ძლიერი სამართლებრივი დაცვისა და უფრო მკაცრი ზედამხედველობის მექანიზმების საჭიროებას არსებული შესაძლებლობების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

2024 წლის I აგვისტოს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა ბრძანება №1019 „უცხოური ძალების ინტერესების გამტარად მიიჩნეულ ორგანიზაციათა რეგისტრაციის, ფინანსური დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონს ეხება.¹³⁹ ბრძანება გულისხმობს ფინანსური დეკლარაციის დეტალურ ფორმას 12 განყოფილებით, რომლის შევსება სავალდებულოა ყველა იმ ორგანიზაციისთვის, რომელიც დარეგისტრირდება როგორც „უცხოური გავლენის მატარებელი ორგანიზაცია: წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ფართო ფინანსურ დეტალებს, საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი სპეციალურ რეესტრში, რომელიც მიზნად ისახავს ამ ორგანიზაციების, განსაკუთრებით მედიასა და სამოქალაქო სექტორს დისკრედიტაციას. გარდა ამისა, დეკლარაციის ფორმა მოითხოვს პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას როგორც ორგანიზაციის თანამშრომლების, ასევე იმ ფიზიკური პირების მხრიდან, რომლებიც ფინანსურად არიან დაკავშირებულნი ამ ორგანიზაციებთან. აღნიშნული მოთხოვნა მნიშვნელოვნად ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და არღვევს კონფიდენციალურობის საერთაშორისო სტანდარტებს.

2024 წლის 20 სექტემბერს აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილებები შევიდა და დაემატა განახლებული დანართები აღსულების წესების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები სწრაფად იქნა წარდგენილი, ისინი არსებითად არ პასუხობდნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ გამოთქმულ შემფოთებას. ძირითადი საკითხები, როგორიცაა მონაცემთა

¹³⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1019 „უცხო სახელმწიფოების ინტერესების დამცველი ორგანიზაციების რეგისტრაციის, ფინანსური დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/08/2024 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0..>

შეგროვების გადაჭარბებული მასშტაბები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინაშე არსებული პოტენციური რისკები, კვლავ გადაუჭრელი რჩება. ეს ცვლილებები მკაცრად გააკრიტიკეს იმ მიზეზით, რომ ისინი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს — განსაკუთრებით პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებს.¹⁴⁰

სტანდარტი II. სახელმწიფო იცავს სსო-ების და მასთან დაკავშირებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას

კანონი იცავს სსო-ებს სახელმწიფო ორგანოების მიერ მათ ოფისებში შეჭრისგან ან სსო დოკუმენტების წვდომისგან სასამართლოს თანხმობის ან სამართლებრივი აუცილებლობის გარეშე და კრძალავს არაკონსენსიური ელექტრონული თვალთვალის ან მონიტორინგის ოპერაციების განხორციელებას ორდერის გარეშე.¹⁴¹ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისების უკანონო ჩხრეკის ან დოკუმენტების ჩამორთმევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების თვალთვალი და არასანქცირებული მონიტორინგი კვლავ გავრცელებულ და შემაშფოთებელ საკითხად რჩება.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონსა და მასთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებს¹⁴² აქვთ მნიშვნელოვანი ზეგავლენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ა(ა)იპ-ების) წევრების, დონორების, მმართველი ორგანოების წევრებისა და თანამშრომლების პირად ცხოვრებაზე. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად, აღნიშნულ ორგანიზაციებს ევალებათ წარმოადგინონ დეტალური ფინანსური დეკლარაციები, რომლებიც მოიცავს სენსიტიურ ინფორმაციას, როგორიცაა პირადი მონაცემები, ფინანსური ტრანზაქციები და დონორების შესახებ ინფორმაცია. ამ პროცესის მარეგულირებელი ნორმები არ ითვალისწინებს კონკრეტულ მექანიზმებს ამ მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, რაც არსებითად საფრთხეს უქმნის როგორც ცალკეული პირების, ისე ორგანიზაციების უსაფრთხოებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს კონსტიტუცია და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი, მიზნად ისახავს პირადი ინფორმაციის დაცვას, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მოთხოვნები პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ დაცულობას. კანონის თანახმად საჭირო

¹⁴⁰ ECNL, 'Georgia: Amendment to the Implementing Regulation to the Law of Georgia on Transparency of Foreign Influence', 12 ოქტომბერი 2024, [EWMI ICNL-ECNL Brief-Georgia Amendment of Annex to Implementing Regulation.pdf](https://ewmi.org/ECNL-Georgia-Amendment-of-Annex-to-Implementing-Regulation.pdf).

¹⁴¹ საქართველოს კონსტიტუცია. მუხ. 15, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/90034?publication=162>.

¹⁴² საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1019 „უცხო ქვეყნის ინტერესების მატარებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის, ფინანსური დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, *op. cit.*; იხილეთ აგრეთვე: საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1016 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №134 ბრძანებაში (თარიღით 2016 წლის 3 მაისი) ცვლილების შესახებ“, 2024 წლის 29 ივლისი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6234258?publication=0>. ბრძანება №1016 არეგულირებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ახალი დეპარტამენტის - ფინანსური დეკლარაციების დეპარტამენტის შექმნას. ახალი დეპარტამენტი პასუხისმგებელია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობაზე.

ფინანსური დეკლარაციები და სხვა ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება, რაც ნიშნავს, რომ პირადი მონაცემები და კორპორატიულად მგრძნობიარე ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს შესაბამისი დაცვითი მექანიზმების გარეშე. კონფიდენციალურობის ეს ნაკლებობა ფაქტობრივად წარმოადგენს პირად ცხოვრებაში დაუშვებელ ჩარევას, მით უმეტეს, რომ ფიზიკურ პირებს არ ეძლევათ შესაძლებლობა უარი თქვან ან გაასაჩივრონ თავიანთი მონაცემების გამჟღავნება. მონაცემების ამგვარმა საჯარო გამჟღავნებამ შესაძლოა არსებითად შეაფერხოს დონორებისა და ბენეფიციარების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში, რაც არღვევს პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპებს სსო-ების წევრებისა და მათთან დაკავშირებული პირებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება N^o IOI9 პირდაპირ არ მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში შესვლის ახალი მექანიზმების განსაზღვრას, რომლებიც ობიექტურ საფუძვლებსა და შესაბამის სასამართლო ნებართვას ეყრდნობა, მაინც არსებობს სერიოზული შეშფოთება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილების გაფართოებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს კანონთან შესაბამისობის მონიტორინგსა და ამ თვალსაზრისით ორგანიზაციების გადამოწმებას, მათ შორის ფინანსური და საოპერაციო დოკუმენტაციის შესწავლის გზით, რაც ზრდის რისკს, რომ სააგენტო გადამეტებულად ჩაერევა სსო-ების საქმიანობაში შესაბამისი სამართლებრივი ზედამხედველობის გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური წვდომა სსო-ების ოფისებზე ეფუძნებოდეს გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებს და მოხდეს მხოლოდ სასამართლოს ნებართვით, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითნებური ჩარევა ორგანიზაციების საქმიანობაში.

სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა იმის გათვალისწინებით, რომ IDFI-ის მიგნებებით,¹⁴³ სახელმწიფოს მიერ პირადი ცხოვრების ხელყოფის შემთხვევებზე ანგარიშვალდებულების მექანიზმები პრაქტიკულად არ არსებობს. წლების განმავლობაში ფიქსირდება უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის არაერთი შემთხვევა, თუმცა 2024 წელსაც, ამ ფაქტებზე სახელმწიფო სტრუქტურები პასუხისმგებლობას არ იღებენ, ხოლო გამოძიებები თითქმის არასდროს სრულდება დაკავებებით ან სასამართლო განხილვებით.

აღნიშნული ბრძანება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ფართო მონიტორინგის უფლებამოსილებებს ანიჭებს, მათ შორის, შესაბამისობის დასადასტურებლად ააიპ-ებისა და მასთან დაკავშირებული პირებისგან ინფორმაციის მოთხოვნის უფლებასაც. ეს ფართო უფლებამოსილება კითხვებს ბადებს ამგვარი კონტროლის პროპორციულობისა და ლეგიტიმურობის შესახებ, განსაკუთრებით სასამართლო ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში. ბრძანება არ გულისხმობს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი ავტორიზაციის რაიმე მოთხოვნას, რაც კრიტიკული გარანტია იქნებოდა თვალთვალის ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის უზრუნველსაყოფად. იგივე ბრძანება ასევე ანიჭებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ფართო უფლებამოსილებას, აკონტროლოს კანონის აღსრულება, რაც მოიცავს ააიპ-ების შემოსავლების, შემოსავლებისა და აქტივების შემოწმებას. ეს უფლებამოსილება არ შემოიფარგლება მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით და სასამართლო ნებართვის მისაღებად მგრძნობიარე დოკუმენტებზე ან ინფორმაციაზე წვდომისთვის არ გააჩნია

¹⁴³ IDFI, „ფარული თვალთვალის ზედამხედველობა: კანონი და პრაქტიკა“, 2024, *op. cit.*

კონკრეტული მოთხოვნები. გამომდინარე აქედან, იზრდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებში ან დოკუმენტაციაზე არაავტორიზებული წვდომის რისკი შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გარეშე, რაც დაარღვევს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დამოუკიდებლობას და პოტენციურად ხელს შეუშლის მათ თავიანთი საქმიანობის თავისუფლად და ეფექტურად განხორციელებაში.

არსებული გარემო კიდევ უფრო ამძაფრებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინაშე არსებულ გამოწვევებს, რაც იწვევს თვითცენზურას და მთავრობის საქმიანობის მაკონტროლებელი როლის შესრულების უნარის შესუსტებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აქვთ სათანადო დაცვა მათი მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ხორციელდება ეს ონლაინ თუ ოფლაინ რეჟიმში.

სპეციფიკური რეკომენდაციები მე-7 სფეროსთან მიმართებით:

- სახელმწიფომ უნდა გააუქმოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, რათა დაიცვას ფიზიკური პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონფიდენციალურობა, უზრუნველყოს საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტების დაცვა და ხელი შეუწყოს ისეთ გარემოს შექმნას, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეეძლება ფუნქციონირება გადაჭარბებული მეთვალყურეობისა და სტიგმატიზაციის გარეშე.

მას შემდეგ რაც შემზღუდავი კანონმდებლობა გაუქმდება:

- საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შეიტანოს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა შეიქმნას პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ყოვლისმომცველი სამართლებრივი გარანტიები, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმისა და ზედამხედველობის გაზრდის გზით. მთავრობამ ასევე უნდა უზრუნველყოს სსო-ებთან კონსულტაციები და ჩართულობა რეფორმის პროცესში საწყისი ეტაპებიდან;
- პროკურატურა ვალდებულია პრიორიტეტულად და დროულად გამოიძიოს სსოების წარმომადგენლებზე, ჟურნალისტებისა და სხვათა სავარაუდო უკანონო და თვითნებური მეთვალყურეობის შემთხვევები, ყველა დაზარალებულისთვის უზრუნველყოს მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, საქმის მასალების სრულად მიწოდება და საზოგადოებასთან გამჭვირვალე ფორმატში ამ საკითხებზე უკუკავშირი.

3.8 სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება

ჯამური ქულა: **3.8/7**

კანონმდებლობა: **4.4 /7**

პრაქტიკა: **3.2 /7**

მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას სსო-ებისა და მათთან დაკავშირებული პირების უფლებები. დარღვევის შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ კონსტიტუციური უფლება, შეიტანონ საჩივარი კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებში ან სასამართლოში და მოითხოვონ ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალებები. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფლებების, განსაკუთრებით მათთან აფილირებული პირების ფიზიკური კეთილდღეობის დარღვევის ბოლოდროინდელი შემთხვევები და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით დაწესებული შეზღუდვები აჩვენებს, რომ სახელმწიფო კვლავაც ვერ ასრულებს აღნიშნული უფლებების დაცვის ვალდებულებას. ეფექტური სასამართლო ზედამხედველობისა და დარღვევებისთვის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის არარსებობამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მუდმივი გამოწვევები შეუქმნა, მათ შორისაა, ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის რისკები და ასევე მნიშვნელოვანი საოპერაციო შეზღუდვები. აღნიშნული პრობლემების ფონზე, ამ სფეროში საერთო შეფასება 4.4-დან 3.8-მდე დაეცა 2024 წელს, ხოლო ცალკეული ქულები, კანონმდებლობისთვის 5.0-დან 4.4-მდე და პრაქტიკისთვის 3.8-დან 3.2-მდე შემცირდა.

სტანდარტი I. სახელმწიფო იცავს სსო-ებს და სსო-ებთან დაკავშირებულ პირებს ჩარევისა და თავდასხმებისგან.

მთავარი საკანონმდებლო წყარო, რომელიც აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას დაიცვას საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ასევე მის წარმომადგენელთა უსაფრთხოება და ფიზიკური ხელშეუხებლობა, არის საქართველოს კონსტიტუცია. ეს ვალდებულებები და უფლებები დაკონკრეტებულია კანონმდებლობაში¹⁴⁴ და გარანტირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით.¹⁴⁵ თეორიულად, საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა და სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, რომელიც აღიარებს და იცავს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.¹⁴⁶ შესაბამისად, ყველა ინდივიდს ან სსო-ს აქვს უფლება იყოს დაცული. უფლებების დარღვევის შემთხვევაში სსო-ები უფლებამოსილი არიან გონივრულ ვადაში მოითხოვონ ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მათი საქმის სამართლიანი

¹⁴⁴ მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს საქმიანობის თავისუფლებასთან, სამოქალაქო ურთიერთობების დამყარების თავისუფლებასთან და პირადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ უფლებებს (მათ შორის იურიდიული პირებისთვის მოქმედი უფლებების, როგორიცაა რეპუტაცია).

¹⁴⁵ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICCPR); ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR).

¹⁴⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 3, 4 და 5.

<https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36>

განხილვა,¹⁴⁷ და უკანონოდ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. თუმცა, ქვეყნის პოლიტიკური კონტექსტი ხშირად განსხვავებულ შედეგებს იძლევა. სახელმწიფო ხშირად ვერ ახერხებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაცვას, რაც გულისხმობს იმას, რომ არსებობს ზიანის მიყენების რისკი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, აქტივისტებისთვის, ჟურნალისტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ცდილობენ დაიცვან დაუცველი ჯგუფების ინტერესები და ღირებულებები, რომლებიც სრულად არ არის მიღებული საზოგადოების სხვა სეგმენტების მიერ.

2024 წლის განმავლობაში სახელმწიფო კვლავ ვერ ასრულებდა თავის პოზიტიურ ვალდებულებას, დაეცვა სამოქალაქო ორგანიზაციები და მათთან დაკავშირებული პირები დაშინების, ძალადობისა და შევიწროებისგან. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ და შემდგომმა მტრული რიტორიკის ზრდამ კიდევ უფრო გააღრმავა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინაშე არსებული საფრთხეები. სახელმწიფოს ქმედებებმა და რიტორიკამ სექტორის დაცვის ნაცვლად, გააღრმავა ეს რისკები. მიღებულმა კანონმდებლობამ ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ჟურნალისტებისა და აქტივისტების მიმართ მტრული განწყობის ჩამოყალიბებას, რამაც შექმნა გარემო, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ ძალადობა გახშირდა და სულ უფრო ორგანიზებული გახდა.¹⁴⁸ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით სახელმწიფო გამჭვირვალობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებმა და პირებმა, განიცადეს მუქარის, ფიზიკური ძალადობისა და თავდასხმის არაერთი შემთხვევა, მათ შორის საკუთარ სახლებსა და ოფისებში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინციდენტი ეხებოდა „უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“ მიღების წინააღმდეგ პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ კოორდინირებულ დაშინების კამპანიას. ათასობით მოქალაქემ მიიღო მუქარის შემცველი სატელეფონო ზარები და შეტყობინებები¹⁴⁹. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების სახლებსა და ოფისებზე გაჩნდა დაშინებისა და სიძულვილის ენის შემცველი წარწერები, რომლებიც, სავარაუდოდ, მთავრობასთან დაახლოებულმა ჯგუფებმა გააკეთეს. აშკარა საფრთხეების მიუხედავად, სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს სათანადო დაცვის ან ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდისას ამ ინციდენტების გამოძიება ხშირად ჭიანჭურდებოდა ან არ იწვევდა რაიმე მნიშვნელოვან ქმედებას. კანონის მიღების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავებმა ასევე გამოიყენეს

¹⁴⁷ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული მოთხოვნები, როგორცაა ფიზიკური ზიანი ან ქონების დაზიანება, არ ექვემდებარება ვადებს და შეიძლება წარდგენილ იქნას ნებისმიერ დროს. სხვა სამართლებრივი პროცედურების ვადები განსხვავდება და, როგორც წესი, მერყეობს ერთი თვიდან სამიდან ათ წლამდე, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ ზოგადად გონივრულად ითვლება. *op. cit.*

გადაჭარბებული ძალა, რამაც გამოიწვია მონაწილეთა, მათ შორის სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების დაზიანებები.

სახელმწიფოს მიერ ამ ინციდენტებზე ეფექტური რეაგირების უუნარობა ასახავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაცვის მოვალეობის უგულვებელყოფის მუდმივ ტენდენციას. ასეთი უმოქმედობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დაუცველს ხდის და დამნაშავეებს დაუსჯელობის სიგნალს უგზავნის. გარდა ამისა, მთავრობის რიტორიკამ, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს „უცხოელ აგენტებად“ მოიხსენიებს და მათ ეროვნული ინტერესების შელახვაში ადანაშაულებს, მნიშვნელოვნად გაზარდა სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული სტიგმა და რისკები. ასეთი რიტორიკა არა მხოლოდ საზოგადოების მტრულ განწყობას უწყობს ხელს, არამედ იმაზეც მიუთითებს, რომ სახელმწიფო თავად ქმნის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის საფრთხის შემცველ გარემოს.

სტანდარტი II. ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, ფულის გათეთრებასთან ან კორუფციასთან საბრძოლველად გამოყენებული ზომები არის მიზანმიმართული და პროპორციული, რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად და პატივს სცემს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს გაერთიანების, შერევისა და გამოხატვის შესახებ.

ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები გათვალისწინებულია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.¹⁵⁰ სსიპ საქართველოს

ფინანსური მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს 2004 წლიდან და საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა ევალება.

ამ საკითხებთან დაკავშირებული უახლესი დეტალური შეფასება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანომ, MONEYVAL-მა, 2024 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში წარმოადგინა. MONEYVAL-მა აღნიშნა, რომ საქართველომ პროგრესს მიაღწია 2020 წლის ურთიერთშეფასების ანგარიშში გამოვლენილი მრავალი ტექნიკური შესაბამისობის ხარვეზის აღმოფხვრის კუთხით. კერძოდ, საქართველომ გააუმჯობესა ფინანსური ქმედებების სამუშაო ჯგუფის (FATF) მე-12 რეკომენდაციის შესრულება პოლიტიკურად დაუცველ პირებთან (PEP) დაკავშირებით. 2023 წელს შემოღებულმა ზომებმა სრულად გამოასწორა ადრე აღნიშნული ხარვეზები, რის შედეგადაც საქართველოს რეკომენდაცია 12-ის რეიტინგი „ნაწილობრივ შესაბამისობიდან“ „შესაბამისამდე“ გაიზარდა.

ამ საკითხებთან დაკავშირებული უახლესი დეტალური შეფასება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანომ, MONEYVAL-მა, 2024 წლის ოქტომბერში

¹⁵⁰ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4690334?publication=0>.

გამოქვეყნებულ ანგარიშში წარმოადგინა.¹⁵¹ MONEYVAL-მა აღნიშნა, რომ საქართველომ პროგრესს მიაღწია 2020 წლის ურთიერთშეფასების ანგარიშში გამოვლენილი მრავალი ტექნიკური შესაბამისობის ხარვეზის აღმოფხვრის კუთხით.¹⁵² კერძოდ, საქართველომ გააუმჯობესა ფინანსური ქმედებების სამუშაო ჯგუფის (FATF) მე-12 რეკომენდაციის შესრულება პოლიტიკურად დაუცველ პირებთან (PEP) დაკავშირებით. 2023 წელს შემოღებულმა ზომებმა სრულად გამოსწორა წარსულში აღნიშნული ხარვეზები, რის შედეგადაც საქართველოს მიმართება მე-12 რეკომენდაციისადმი „ნაწილობრივ შესაბამისობიდან“ „შესაბამისამდე“ გაიზარდა.¹⁵³

საქართველოს მთავრობამ არ მოითხოვა მე-8 რეკომენდაციის ხელახალი შეფასება, რომელიც კონკრეტულად არაკომერციულ ორგანიზაციებს (NPOs) ეხება. შედეგად, ეს სფერო აღნიშნულ შეფასებაში არ გაანალიზებულა, რის გამოც NPO-ების მარეგულირებელ და საზედამხედველო ჩარჩოში არსებული პოტენციური გამოწვევები უყურადღებოდ დარჩა. ეს გარემოება მიუთითებს მთავრობის ქმედებებში არსებულ ხარვეზზე, უზრუნველყოს FATF-ის სტანდარტების ყოვლისმომცველი დაცვა სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით NPO-ების ტერორიზმის დაფინანსებისთვის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების კუთხით, ლეგიტიმური ორგანიზაციების ოპერაციული თავისუფლების შენარჩუნებით.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნაკლოვანებები კვლავ რჩება, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა უძრავი ქონება, ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება და მაღალი რისკის მქონე არაფინანსური სექტორები, როგორიცაა კაზინოები. MONEYVAL-მა ხაზი გაუსვა შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებას, განსაკუთრებით ფინანსური დაზვერვის ეფექტური გამოყენებისა და არაფინანსური ბიზნესების ზედამხედველობის კუთხით, რაც ფულის გათეთრების მნიშვნელოვან რისკებს ქმნის.

მოსალოდნელია, რომ საქართველო 2024 წლის დეკემბერში მოამზადებს და გაუგზავნის ანგარიშს MONEYVAL-ს იმ პროგრესის შესახებ, რაც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CTF) სისტემების გაუმჯობესების მიმართულებით იქნა მიღწეული.

კონკრეტული რეკომენდაციები მე-8 სფეროსთან მიმართებით:

¹⁵¹ Anti-money laundering and counter-terrorist financing measures 3rd Enhanced follow-up report & technical compliance re-rating Georgia, october 2024 <https://rm.coe.int/moneyval-2024-22-ge-5thround-3rdenhfur/1680b2c262>

¹⁵² Council of Europe, MONEYVAL, 'Anti-money laundering and counter-terrorist financing measures: Georgia Fifth Round Mutual Evaluation Report', September 2020, <https://rm.coe.int/moneyval-2020-20-5th-round-mer-georgia/1680a03271>.

¹⁵³ Council of Europe, 'Council of Europe anti-money laundering body: Georgia strengthened preventive measures applicable to politically exposed persons, further progress needed', 7 May 2024, <https://www.coe.int/en/web/moneyval/-/council-of-europe-anti-money-laundering-body-georgia-strengthened-preventive-measures-applicable-to-politically-exposed-persons-further-progress-needed>.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში შემზღუდავი კანონმდებლობა გაუქმდება;

- სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვას ამის საჭიროების ქვეშ მყოფი სსო-ების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და მოწყვლადი ჯგუფები ძალადობისა და ფიზიკური ზიანისგან;
- სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს საგანგებო ზომებმა ადამიანის უფლებებზე და უზრუნველყოს მათი დროებითობა, აუცილებლობა და პროპორციულობა.
- მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს სრულყოფილი მიმოხილვის ჩატარება საქართველოს შესაბამისობის შესახებ FATF-ის მე-8 რეკომენდაციასთან, რათა არამომგებიან (NPO) ორგანიზაციებზე არ გავრცელდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ზომებთან დაკავშირებული ტვირთი.

3.9 სახელმწიფო მხარდაჭერა

ჯამური ქულა: **4.1** /7

კანონმდებლობა:
4.4 /7

პრაქტიკა: **3.7** /7

საქართველოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელი რჩება დეცენტრალიზებული და სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები მრავალფეროვანია. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო სუბიექტები საბიუჯეტო გრანტებს ახორციელებენ თავიანთი ექსპერტიზის სფეროებიდან გამომდინარე. თუმცა, სახელმწიფო მუნიციპალიტეტებს(თვითმმართველ სუბიექტებს) არ შეუძლიათ გრანტების გაცემა. პროგრესი არ შეინიშნება მინიჭების პროცედურების უფრო მკაფიო და გამჭვირვალედ გახდომაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ წარადგინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ახალი პროექტი, 2030 წლის განვითარების სტრატეგიაში ყურადღება გაამახვილა მოხალისეობაზე და გარკვეული ცვლილებები შეიტანა დღგ-ს დაბრუნების მექანიზმებში, რამაც გაზარდა პროცედურული კომლექსურობა, ამ ცვლილებებიდან არცერთი არ ითვლება მნიშვნელოვნად სამოქალაქო საზოგადოების სექტორის განვითარების მხარდასაჭერად. საანგარიშო პერიოდში სექტორის წარმომადგენლებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების კუთხით ცვლილებები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელი წინა წლების მსგავსად უცვლელი დარჩა. ამ სფეროში საერთო ქულა 2023 წლის 4.2-დან 2024 წელს 4.1-მდე შემცირდა, რაც გამოწვეული იყო პრაქტიკის ქულის 4.0-დან 3.7-მდე შემცირებით. ეს დაკავშირებულია მთავრობის მიერ გამოცხადებულ გეგმასთან, რომლის მიხედვითაც იგეგმება ერთგვარი ცენტრალიზებული ფონდის შექმნა — ინიციატივა, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და შეიძლება გამოიწვიოს სსო სექტორის დაფინანსებაზე კიდევ უფრო გამკაცრებული კონტროლი. აღნიშნული გარემოებები ქმნის

გაურკვევლობის ატმოსფეროს და ამცირებს სსო-ების ოპერაციულ მოქნილობას, რაც უარყოფითად აისახება მათი ეფექტიანად ფუნქციონირების უნარზე.

სტანდარტი I. არსებობს მრავალი განსხვავებული და ეფექტიანი მექანიზმი სსო-ების ფინანსური და არამატერიალური სახელმწიფო მხარდაჭერისთვის

სსო-ებისთვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმი, როგორცაა გრანტები, სუბსიდიები, სახელმწიფო შესყიდვები, ვაუჩერების სისტემა და ე.წ. „პროგრამული დაფინანსება“.¹⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორცაა ვაუჩერული სისტემა და პროგრამული დაფინანსება, ისინი ვერ ახერხებენ სახელმწიფო გრანტების გაცემას. ადგილობრივი სსო-ების და ადგილობრივი ხელისუფლების დიდი ძალისხმევით, მიუხედავად, მუნიციპალურ ორგანოებს მიაჩნია დაფინანსების მანდატი, ცენტრალურ ხელისუფლებას არ გადაუდგამს რაიმე კონკრეტული ნაბიჯი ადგილობრივი სსო-ების დაფინანსების ამ საკანონმდებლო დაბრკოლების მოსაგვარებლად.¹⁵⁵ იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სსო-ები წარმოადგენენ მუნიციპალური ხელისუფლების მთავარ პარტნიორებს ადგილობრივი საკითხების მოგვარებაში, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დაბრკოლებების გამო ისინი უნდა დაეყრდნონ დაფინანსების ნაკლებად გამჭვირვალე, წმინდად რეგულირებულ და არასისტემატურ მეთოდებს (მაგალითად, პროგრამული დაფინანსება). არამატერიალური მხარდაჭერა (In-kind support) არ არის აკრძალული, თუმცა პრაქტიკაში ასეთი მხარდაჭერის ბოლო მაგალითები არ არის აღმოჩენილი, რაც ცხადყოფს, რომ ის იშვიათად არის ხელმისაწვდომი სსო-ებისთვის.

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის თებერვალში მიიღო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონი, რომლის მიზანია გამჭვირვალობის გაზრდა და კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მიუხედავად ამისა, 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, არ არსებობს დეტალური საჯარო ინფორმაცია საჯარო შესყიდვების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის განაწილებული თანხების შესახებ, რაც ართულებს კანონის გავლენის შეფასებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსებაზე.

2024 წელს მთავრობამ განაცხადა სსო-თათვის ცენტრალიზებული ფონდის შექმნის შესახებ. საჯარო განცხადებები, ძირითადად მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წევრების მხრიდან, მიუთითებს, რომ ეს ფონდი სახელმწიფო დაფინანსებას ექსკლუზიურად გაუწევს ორგანიზაციებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან როგორც უცხოური დაფინანსებით დაფინანსებული სუბიექტები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეა საჯაროდ გაცხადდა, ის კვლავ წინადადებად რჩება და 2024 წლის ნოემბრიდან არ არის წარმოდგენილი კონკრეტული საკანონმდებლო ჩარჩო ან განხორციელების გეგმა.

¹⁵⁴ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება გრანტების, სუბსიდიების, სახელმწიფო შესყიდვებისა და ე.წ. „პროგრამული დაფინანსების“ სახით..

¹⁵⁵ 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2.1 მიზნის თანახმად, მთავრობამ აიღო ვალდებულება, გაემარტივებინა მუნიციპალური გრანტების გაცემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო. თუმცა, ეს მიზანი ჯერ კიდევ არ არის ასახული კონკრეტულ აქტივობებში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდაჭერის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოში რაიმე სახის ცვლილებები არ შესულა. კანონი კვლავ ითვალისწინებს სახელმწიფო დაფინანსების მრავალფეროვანი მექანიზმების შექმნას ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, რაც თეორიულად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა მათი საქმიანობისთვის. გარდა ამისა, უცვლელი რჩება სახელმწიფოს მიერ არამატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამართლებრივი დებულებები, როგორცაა ოფისის სივრცეებსა და სხვა ლოჯისტიკური რესურსებზე წვდომა და სხვა.

პრაქტიკაში, მიუხედავად ამისა, საგრძნობლად გაუარესდა ურთიერთობები სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის. სსო-ების მიმართ მიმდინარე მტრული რიტორიკა ქმნის გარემოს, რომელიც ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას, განსაკუთრებით დაფინანსებისა და მხარდაჭერის საკითხებში, მნიშვნელოვნად ართულებს. ამ პრობლემებს აწყდებიან ის მომსახურების გამწევი სსო-ებიც, რომელთა აქტივობაც სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. შედეგად, წარმოიშვება „გათიშულობა“ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო მხარდაჭერასა და ამ მხარდაჭერის რეალურ ხელმისაწვდომობას შორის. ფოკუს ჯგუფების ფარგლებში გამართული განხილვები წარმოაჩენს იმ სირთულეებს, რომლებიც სსო-ებს სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობისას აწყდებიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფო მხარდაჭერას, რამდენიმე სსო-მ 2024 წელს განაცხადა, რომ მათ მოსთხოვეს სახელმწიფო შენობების დატოვება, სადაც ისინი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ამასთან, აღნიშნული სივრცეები, ხშირ შემთხვევაში, თავად სსო-ების მიერ იყო გარემონტებული, რაც მათი მხრიდან მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციას გულისხმობს. სსო-ებისთვის ფართებით სარგებლობის იძულებითი აკრძალვა არამხოლოდ პრაქტიკული მხარდაჭერის ნაკლებობას, არამედ კანონით ნებადართული არამატერიალური მხარდაჭერის პირდაპირ შეწყვეტასაც ნიშნავს.

სტანდარტი II. სსო-ების სახელმწიფო მხარდაჭერა რეგულირდება მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმებით და ნაწილდება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურებით

2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდაჭერა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას გამჭვირვალობისა და სტანდარტიზაციის მიმართულებით. მიუხედავად ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულებებისა, განსაკუთრებით მე-12 ვალდებულებისა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო გრანტების დაფინანსების სისტემის რეფორმირებას გამჭვირვალობის გასაზრდელად, მიღწეული პროგრესი უმნიშვნელოა. ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობა გრანტების გამცემ უწყებებს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვრონ მოთხოვნები ინდივიდუალურად, კონკრეტული საჭიროებების საფუძველზე. ეს პრაქტიკა იწვევს პროცედურულ შეუსაბამობებს და ზრდის განაწილების პროცესში მიკერძოების რისკს.

სამინისტროები ვალდებული არიან დაასაბუთონ გრანტის გაცემის აუცილებლობა და მიიღონ შესაბამისი თანხმობა გრანტის მიზნისა და ოდენობის შესახებ — პრემიერ-

მინისტრისგან იმ შემთხვევაში, თუ გრანტი 50 000 ლარამდე¹⁵⁶ ან ფინანსთა სამინისტროსგან უფრო დიდი ოდენობის თანხებისთვის. საგულისხმოა, რომ არ არსებობს სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც დაარეგულირებს კონკურსების გამოცხადებას, განაცხადების წარდგენის პროცესს ან გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს. ამგვარი ერთგვაროვნების ნაკლებობა ასუსტებს გრანტების განაწილების პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც ზრდის სუბიექტურობისა და არასამართლიანი მოპყრობის რისკს.

ამ გამოწვევის დასაძლევად, შეიქმნა ღია მონაცემთა პორტალი data.gov.ge, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებული ინიციატივის ნაწილს. პორტალი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან მიღებული მონაცემების ხელმისაწვდომობას ღია ფორმატში, მათ შორის საჯარო შესყიდვებისა და ბიუჯეტური ხარჯების შესახებ ინფორმაციას. პორტალს ადმინისტრირებას უწევს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია პორტალის მუშაობასა და მონაცემთა განახლებაზე.

მიუხედავად ამისა, პლატფორმაზე მონაცემების გამოქვეყნება ნებაყოფლობითია, რაც იწვევს სამთავრობო უწყებების არასრულ მონაწილეობას და მონაცემთა შეზღუდულ მოცულობას. გარდა ამისა, როგორც სახელმწიფო უწყებებში, ისე ფართო საზოგადოებაში დაბალია ცნობიერება პლატფორმის არსებობის, მისი დანიშნულებისა და გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. ასევე, პორტალზე მონაცემების მოცულობისა და ხარისხის ზრდას აფერხებს მოძველებული ტექნიკური და სისტემური ინფრასტრუქტურა, რაც საჭიროებს გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციას მონაცემთა მართვისა და განთავსებისთვის.¹⁵⁷

IDFI-ის 2023 წლის უახლესი კვლევის მიხედვით, საჯარო დაწესებულებების 71 პროცენტმა ვერ მოახერხა სრული ინფორმაციის გამოქვეყნება მიღებული და გაცემული გრანტების შესახებ, რაც ნათლად მიუთითებს გამჭვირვალობის ვალდებულებების შესრულების სერიოზულ ხარვეზებზე.¹⁵⁸ აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს, პროაქტიულად გამოაქვეყნონ ინფორმაცია მათი საქმიანობისა და ფინანსური რესურსების შესახებ. მიუხედავად ამისა, ამ ვალდებულებების შესრულების ხარისხი დროთა განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა. თუ 2014 წელს პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი 71 პროცენტი იყო, 2019-2023 წლებში ეს მაჩვენებელი 50-60 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

¹⁵⁶ ეს პროცესი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის 126-ე დადგენილებით „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1239471?publication=0>.

¹⁵⁷ ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო, „ღია მმართველობის 2024 – 2025 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის“, op. cit..

¹⁵⁸ Business Media, Natiko Taktakishvili, '71% Of Agencies Didn't Publish Complete Information On Grants Received In 2023 - IDFI', 18 July 2024, <https://bm.ge/en/news/71-of-agencies-didnt-publish-complete-information-on-grants-received-in-2023-idfi>.

სტანდარტი III. საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ ხელსაყრელი საგადასახადო გარემოთი

სსო-ებს უფლება აქვთ განავითარონ არაარსებითი ეკონომიკური აქტივობები და შემოსავლების ინვესტიცია გააკეთონ იდეალისტურ (არამატერიალურ) მიზნებში (მათ სტატუსებში), მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულების გარეშე.¹⁵⁹ დღგ-დან გათავისუფლების ხელმისაწვდომობა და დღგ-ის დაბრუნების მექანიზმი საგრანტო პროგრამების ფარგლებში სასარგებლოა სსო-ებისთვის. არსებული კანონმდებლობა იძლევა დღგ-ს დაბრუნების საშუალებას გრანტის ფარგლებში პროექტების განხორციელებისას, ან ათავისუფლებს სსო-ებს დღგ-ს გადახდისგან, როდესაც პროექტები ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით შემოსავლების სერვისების ვებსაიტზე „გადასახადის შეღავათების ბენეფიციარებად“ ჩამოთვლილ დონორებთან. საერთაშორისო დონორებს, მაგალითად, შეუძლიათ მიიღონ ასეთი შეღავათები საქართველოს მთავრობასა და დონორის ბინადრობის ქვეყანას შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად (მაგალითად, ასეთი შეთანხმებები არსებობს საქართველოსა და ევროკავშირს, ან საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის)¹⁶⁰ ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს გრანტების გარდა სხვა წყაროების გამოყენებით, მან დღგ უნდა გადაიხადოს.¹⁶¹ თანადაფინანსების შემთხვევაში დღგ გამოიქვითება მხოლოდ თანადაფინანსებით მიღებული წყაროების გარეთ განხორციელებულ საქმიანობაზე.

სტანდარტი IV. ბიზნესი და ფიზიკური პირები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით სსო-ებისთვის შემოწირულობების გაღებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირებისთვის შეღავათები არ არსებობს, ბიზნესებს შეუძლიათ მიიღონ საგადასახადო შეღავათები საქველმოქმედო საქმიანობისთვის მხოლოდ რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის შემოწირულობების გაცემისას.¹⁶² საქველმოქმედო ორგანიზაციების მხარდამჭერ კომპანიებს უფლება აქვთ გამოირიცხონ საქველმოქმედო მიზნებისთვის გაცემული თანხა თავიანთი წმინდა მოგებიდან და შეინარჩუნონ იგი დაბეგვრისგან. მაქსიმალური თანხა, რომელიც ამ მიზეზით შეიძლება გამოიქვითოს წმინდა შემოსავლიდან, შეადგენს ერთობლივი წმინდა შემოსავლის 10 პროცენტს. შემოწირულობებთან ერთად ასევე გამოიქვითება შემოწირული საქონლისა და მომსახურების ღირებულება (გარდა უძრავი ქონების ან/და მომსახურების ღირებულებისა)¹⁶³ რეგულირების მიზანია საქველმოქმედო ორგანიზაციების მხარდაჭერა; თუმცა, არცერთი პრაქტიკული მონაცემი არ აჩვენებს დადებით შედეგებს. 2019 წლის მსოფლიო მინიჭების ინდექსის მე-10 გამოცემის მიხედვით, საქართველო

¹⁵⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი. 97(2), *op. cit.*

¹⁶⁰ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სია <https://www.rs.ge/TaxPrivileges>.

¹⁶¹ თუ ორგანიზაციის პროექტი ფინანსდება წევრობის შენატანებით, შემოწირულობებით ან დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგებით.

¹⁶² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლები 10 და 32, *op. cit.*; რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციების სია გამოქვეყნებულია შემოსავლების სამსახურის მიერ: <https://www.rs.ge/CharityOrganization>.

¹⁶³ ამ წესიდან გამონაკლისი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონება კანონის მოთხოვნების შესაბამისად გადაეცემა საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს ასაქმებს. ასეთ შემთხვევებში, უძრავი ქონების ღირებულება ასევე ექვემდებარება საგადასახადო შეღავათებს.

¹⁶⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 32, *op. cit.*

ფულადი სახსრების მონაწილეობით ბოლო 10 ქვეყანაში მოხვდა.¹⁶⁵ თუმცა შიდა და ზუსტი მონაცემები საქველმოქმედო მიზნებისთვის გაცემული თანხების შესახებ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, არ მოიპოვება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე დაფიქსირდა, მსხვილი ფონდების მხრიდან შემოწირულობების მნიშვნელოვანი შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საქველმოქმედო ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, იგი არ განსაზღვრავს ამ ვალდებულების შესრულების კონკრეტულ წესებსა და მექანიზმებს. შედეგად, პრაქტიკაში ხშირია ბუნდოვნება და განსხვავებული ინტერპრეტაციები, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას და საჯარო ანგარიშვალდებულებას სექტორში.¹⁶⁶

სტანდარტი V. კანონმდებლობა და პოლიტიკა ახალისებს მოხალისეობას.

2015 წელს მოხალისეობის შესახებ სპეციალური კანონის მიღების შემდეგ, მოხალისეობის სფეროს შემდგომი პროგრესი არ უნახავს.¹⁶⁷ მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეობა ლეგალური და განსაზღვრულია, გარემოს გასავითარებლად, მოხალისეებისთვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად და ადამიანების მოტივაციისთვის, რომ ჩაერთონ ასეთ საქმიანობაში სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეთა ხარჯებისთვის გადასახადებისგან გათავისუფლების ინიციატივები კანონთან ერთად იყო ინიცირებული, ისინი არც თავიდან განიხილებოდა და არც მოგვიანებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ განსაზღვრავს მოხალისეობას და მოხალისეებს საგადასახადო ვალდებულებების კუთხით ისევე ექცევა როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. მიუხედავად იმისა, რომ მის მნიშვნელობას აღიარებენ სხვადასხვა ინსტიტუტები, როგორიცაა დამსაქმებლები, უნივერსიტეტები და ა.შ., რასაც განსაკუთრებით ხაზი გაესვა პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ¹⁶⁸ რომლის დროსაც ბევრი სსო მოხალისეების დახმარებას ეყრდნობოდა,¹⁶⁹ მოხალისეებისთვის რეალური სტიმული არ არსებობს.

კონკრეტული რეკომენდაციები მე-9 სფეროსთან მიმართებით:

მას შემდგომ, რაც ყველა ასეთი შემზღუდავი კანონი გაუქმდება:

- ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო დაფინანსების ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტები, რომლებიც მოიცავენ მკაფიო სახელმძღვანელო მითითებებს გრანტის მინიჭების პროცესისთვის (მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღება, შერჩევის კრიტერიუმების წინასწარი განსაზღვრა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, გამჭვირვალობა და ა.შ.)

¹⁶⁵ Charities Aid Foundation (CAF), World Giving Index 2024: Global Trends in Generosity, p. 7, https://www.cafonline.org/docs/default-source/inside-giving/wgi/wgi_2024_report.pdf.

¹⁶⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლები 10, 30 და 32, *op. cit.*

¹⁶⁷ საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/3132612?publication=1>.

¹⁶⁸ იხილეთ, Helping Hand, <https://www.youthvolunteering.ge/>

¹⁶⁹ იხილეთ, the Georgia Red Cross, <https://redcross.ge/en>.

დისკრიმინაციული და თვითნებური გადაწყვეტილებების პრევენციისა და შემდგომი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების ინსტიტუციონალიზაციისთვის.

- სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო გრანტების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მონაწილეებს მიიღონ ინფორმაცია და წარადგინონ განაცხადი ონლაინ რეჟიმში;
- მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო ინსტიტუტებს, მხარი დაუჭირონ ადგილობრივ ინიციატივებს, გრანტის გამცემი სუბიექტების სიაში მუნიციპალიტეტების დამატების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანით;
- საგადასახადო ორგანოებმა უნდა დაამუშაონ და პროაქტიულად გამოაქვეყნონ ზოგადი მონაცემები შემოწირულობებისა და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ქვეყნის შიგნით, რათა პროცესი შეესაბამებოდეს საქველმოქმედო საქმიანობისთვის მოქმედი გამჭვირვალობის სტანდარტებს;
- მთავრობამ უნდა წახალისოს ფილანთროპია საგადასახადო შეღავათებით ინდივიდუალური დონორებისთვის და არა მხოლოდ ბიზნესებისთვის და დაიწყოს ინიციატივების პრაქტიკაში განხორციელება;
- მთავრობამ უნდა მიიღოს სტრატეგია საქართველოში მოხალისეობის განვითარების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი ტერმინების შემუშავება და პოტენციური სარგებლის დადგენა.

3.10 სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა

Overall score per area: **2.8/7**

Legislation: **3.1 /7**

Practice: **2.5 /7**

საქართველოში შეინიშნება მნიშვნელოვანი რეგრესი სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით, რომელიც უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობასა და მათი განვითარების მხარდაჭერას. ამ სფეროში საერთო ქულა 2023 წლის 4.0-დან 2024 წელს 2.8-მდე შემცირდა, მათ შორის, კანონმდებლობის ქულა 4.2-დან 3.1-მდე, ხოლო პრაქტიკის ქულა 3.7-დან 2.5-მდე დაქვეითდა. მიუხედავად წარსულში განხორციელებული მცდელობებისა შექმნილიყო სსო-ებთან თანამშრომლობის ჩარჩოები, ბოლო საკანონმდებლო

ცვლილებებმა, განსაკუთრებით 2024 წლის მაისში მიღებულმა კანონმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ — სერიოზულად შეაფერხა სახელმწიფოსა და სსო-ს შორის არსებითი თანამშრომლობა. მთავრობამ არ გაითვალისწინა „CSO Meter“-ის წინა წლების ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების უმეტესობა, რის შედეგადაც ადრე იდენტიფიცირებული პრობლემები კვლავ შენარჩუნდა, ან კიდევ უფრო გამწვავდა სსო-ების განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო კონცეფცია, რომელიც 2014 წლიდან მუშავდება სექტორსა და სახელმწიფოს თანამშრომლობის ფარგლებში, დღემდე არ არის ოფიციალურად მიღებული. ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) კვლავ წარმოადგენს მთავარ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც სსო-ებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობა ხორციელდება, თუმცა სახელმწიფო ინსტიტუტები არ ასრულებენ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ 2024 წელს განვითარებული მოვლენების ფონზე, OGP-ის სამოქმედო გეგმა საქართველოში აღარ ხორციელდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს თანამშრომლობის სივრცის შემცირებასა და დემოკრატიული მმართველობის კრიზისზე.

სტანდარტი I. . სახელმწიფო პოლიტიკა აადვილებს სსო-ებთან თანამშრომლობას და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

საქართველოს არ გააჩნია ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც აყალიბებენ მკაფიო საფუძველს თანამშრომლობისთვის და ხელს უწყობენ მუდმივ დიალოგსა და ურთიერთგაგებას სამოქალაქო ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის მემორანდუმი¹⁷⁰ საქართველოს პარლამენტსა და 145 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას შორის 2013 წელს გაფორმდა, იგი კვლავ რჩება უფრო სიმბოლურ დოკუმენტად, რომელიც არ გამხდარა პოლიტიკის რეალური განვითარების საწყისი. მემორანდუმი მოუწოდებს პარლამენტს და სსო-ებს შეიმუშაონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია. ამგვარი კონცეფციის განვითარება 2014 წელს დაიწყო და მისი მიღება პარლამენტის OGP 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიგეგმა.¹⁷¹ ამ დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყო სსო-ების ფართო სპექტრი. კონცეფცია ითვალისწინებს სსო-ების სახელმწიფო მხარდაჭერას და პარლამენტსა და სსო-ებს შორის პოლიტიკური დიალოგის დამყარებას. 2021 წლის თებერვალში ახალი მოწვევის საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სსო-ების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო კონცეფციის განხილვის გახანგრძლივების შესახებ,¹⁷² თუმცა, 2024 წლის მონაცემებით, კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის განხილული და პარლამენტს ის ჯერ არ მიუღია.

სტანდარტი II. სახელმწიფოს აქვს სპეციალური მექანიზმები სსო-ებთან თანამშრომლობის მხარდაჭერისთვის

საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დამაბა ურთიერთობა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ სამოქალაქო ორგანიზაციებში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია სტიგმატიზაციისა და მათი

¹⁷⁰ სახელმწიფოსა და სსო-თა შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, 12 დეკემბერი 2013, <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5d6/92c/744/5d692c7445d4e962122596.pdf>.

¹⁷¹ ღია პარლამენტის საქართველოს სამოქმედო გეგმა 2015-2016, [https://idfi.ge/public/upload/Open%20Parliament%20Georgia%20Action%20Plan%20\(2015-2016\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Open%20Parliament%20Georgia%20Action%20Plan%20(2015-2016).pdf).

¹⁷² საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ კანონპროექტი, <https://parliament.ge/legislation/20546>.

საქმიანობის შეზღუდვების საფრთხის გამო. შედეგად, ბევრმა სამოქალაქო ორგანიზაციამ დატოვა მთავრობის მიერ მართული პლატფორმები, როგორცაა OGP-ის საქართველოს ფორუმი, რამაც ფაქტობრივად შეაჩერა თანამშრომლობა.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს სხვადასხვა მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერას, მათ შორის, საკონსულტაციო საბჭოებში, კომიტეტებსა და სამუშაო ჯგუფებში სსო-ების ჩართულობის გზით. ეს საკონსულტაციო ორგანოები, როგორც წესი, თემატურად ან სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე იქმნება და მიზნად ისახავს სსო-ების წარმომადგენლების ჩართვას პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიუხედავად ამისა, არსებული მექანიზმები არ არის სისტემატიზირებული და ერთიანი ჩარჩოს ქვეშ მოქცეული. შედეგად, სსო-ების მონაწილეობა მსგავს ორგანოებში ხშირად არ რეგულირდება მკაფიო და სტანდარტიზებული შერჩევის კრიტერიუმებით. ამგვარი გაურკვევლობა და ფორმალიზებული წესების ნაკლებობა ქმნის თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ისინი ხშირად არ არიან მიწვეულნი მათთვის მნიშვნელოვან მასშტაბურ ღონისძიებებისა და შეხვედრებისზე, მათ შორის ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე. ეს პრაქტიკა ცხადად მიუთითებს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების თითქმის სრულად ჩაშლაზე. გარდა ამისა, საკონსულტაციო ორგანოების უმეტესობის ფორმირება არ არის ინსტიტუციურად გამყარებული ან სტრუქტურირებულად განსაზღვრული. ურთიერთობების არსებული ჩამოშლის პირობებში, სსო-ები ხშირად გამოირიცხვებიან არიან ამ პლატფორმებში მონაწილეობიდან. იმ შემთხვევებშიც კი, როცა სსო-ები მაინც არიან წარმოდგენილნი, მათი შერჩევა ხშირად ხორციელდება გაუმჭირვალე, არაინკლუზიური გზით — უმეტესად სახელმწიფო ორგანოების ან კონკრეტული წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალური მოწვევის საფუძველზე.

საქართველოში კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ღია არხების არარსებობამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ფაქტობრივად სრულად გარიყა პოლიტიკის შემუშავების პროცესიდან, რის შედეგადაც სახელმწიფოსა და სსო სექტორს შორის ურთიერთობა პრაქტიკულად არ არსებობს. ჩართულობისა და პოლიტიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირდა, განურჩევლად იმისა, კონკრეტული საკითხები რამდენად საჭირობოტოა. ორგანიზაციები ხშირად აძლევენ ხელისუფლებას წერილობით შენიშვნებს ან ცდილობენ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, თუმცა სახელმწიფო უწყებებისგან არანაირი უკუკავშირი არ აქვთ, რაც მათ შესაძლებლობებს კიდევ უფრო ზღუდავს, განიმტკიცონ საკუთარი პოზიციები. ზოგიერთმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ წარსულში არსებული თანამშრომლობის მაგალითები სახელმწიფოსა და სსო-ს შორის უმეტესად დონორული ორგანიზაციების მიერ იყო ინიცირებული და კონკრეტული პროექტების მიღმა არ გააჩნდა რეალური მდგრადობა.

კონკრეტული რეკომენდაციები მე-10 სფეროსთან მიმართებით:

მას შემდეგ, რაც ყველა შემზღუდავი კანონი გაუქმდება;

- მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფოს და სსო-ებს შორის თანამშრომლობის სისტემური ხედვა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა დონეზე და შემდგომში მოახდინოს ამ სტანდარტების ინსტიტუციონალიზაცია;
- საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი აღსრულება;
- სახელმწიფო ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობამ პატივი უნდა სცეს და აღიაროს OGP-ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები და გამოყოს საკმარისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ეფექტიანი თანამშრომლობისთვის აუცილებელი პოლიტიკური ნაბიჯების განსახორციელებლად;
- სახელმწიფო უწყებები ღია უნდა იყვნენ თანამშრომლობისთვის და შექმნან საბჭოები და/ან სხვა საკონსულტაციო ორგანოები გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ ფორმა.

3.11 ციფრული უფლებები

ჯამური ქულა: **4.7 /7**

კანონმდებლობა: **5.1 /7**

პრაქტიკა: **4.3 /7**

საქართველოში ციფრულ სივრცეში მომხმარებლებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი თავი და გამოიყენონ ონლაინ პლატფორმები, სხვადასხვა საჯარო პოლიტიკის საკითხის ადვოკატირების მიზნით. თუმცა, ამ მიღწევას ჩრდილი მიაყენა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებიც დაკავშირებულია ოპოზიციური ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ხელისუფლების ოპონენტების მიმართ ონლაინ შევიწროებასთან, მუქარასა და ფიზიკურ თავდასხმებთან, განსაკუთრებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ სადავო კანონთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში. გარდა ამისა, გახშირდა მთავრობასთან დაკავშირებული ჯგუფებისა და ინდივიდების მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელება სოციალურ მედიაში, რაც მიმართულია საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისკენ.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემებს, მათ შორის სახის ამოცნობის სისტემებს, სამართალდამცავი ორგანოები იყენებენ ყოველგვარი სამართლებრივი ჩარჩოს ან ეთიკური და ანგარიშვალდებულების სტანდარტების გარეშე. პარალელურად ამისა, სახელმწიფო აგრძელებს პროგრესს ქვეყნის რეგიონებში ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ამ სფეროში საერთო ქულა შემცირდა 2023 წლის 4.9-დან 2024 წელს 4.7-მდე, სადაც პრაქტიკის ქულა შემცირდა 4.7-დან 4.3-მდე.

სტანდარტი I. ციფრული უფლებები დაცულია და ციფრული ტექნოლოგიები შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს

ციფრული უფლებები აერთიანებს ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლებას, რომელიც გამოიყენება ციფრულ სფეროში. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს აქვთ ინტერნეტით წვდომის და მისი თავისუფლად გამოყენების უფლება.¹⁷³ ციფრულ უფლებებს ასევე იცავს საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რადგან კანონით გამოხატვის თავისუფლების დამცავი სამართლებრივი დებულებები ვრცელდება ინტერნეტზე.¹⁷⁴ ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.¹⁷⁵ გარდა ამისა, ქვეყნის შიგნით ინტერნეტის გამოყენების პროცესზე სამთავრობო კონტროლი შეიძლება დაწესდეს საომარი მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.¹⁷⁶

სფეროს რეგულირების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი.¹⁷⁷ კანონი განსაზღვრავს უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (OTA) მანდატსა და როლს. აღნიშნული სააგენტო არის ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების ძირითადი მაკოორდინირებელი და საზედამხედველო ორგანო, რომელსაც აქვს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, ასევე ტელეკომუნიკაციების სექტორის საინფორმაციო სისტემებზე პირდაპირი წვდომის და პერსონალურ და კომერციულ მონაცემებზე ირიბი წვდომის უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უკანონო და არაპროპორციული დამუშავების თავიდან აცილების მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს (მათ შორის GDPR და NIS დირექტივები), სსო-ებმა წარმოადგინე რამდენიმე რეკომენდაცია.¹⁷⁸ რეკომენდაციები გულისხმობს იმგვარ ნორმათა

¹⁷³ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი არეგულირებს „აზრის, ინფორმაციის, მასმედიისა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებს“, *op. cit.*

¹⁷⁴ კანონი მედიას განსაზღვრავს, როგორც „მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდურ ან ელექტრონულ საშუალებას, მათ შორის ინტერნეტს“. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, *op. cit.*

¹⁷⁵ საქართველოს კონსტიტუცია, *op. cit.*

¹⁷⁶ საქართველოს კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ, <https://matsne.gov.ge/document/view/28336?publication=3>.

¹⁷⁷ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge/document/view/1679424?publication=7>.

¹⁷⁸ IDFI, 'The Parliament of the X Convocation adopted the problematic "Law on Information Security" with the III

კოდიფიკაციას, რომელიც მოემსახურება პერსონალური მონაცემების დაცვას კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისა და შესაბამისი საზედამხებდებლო ორგანოებისგან, აგრეთვე, მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ საჯარო ორგანოსთან თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების ამუშავებას, რათა მოხდეს საჭირო ინფორმაციის პროაქტიული გაზიარება კიბერ ინციდენტების გამოძიების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესში, 2023 წლის ოქტომბერში, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია საშუალებების კრიტიკის მიუხედავად, მიღებულ იქნა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში სადავო ცვლილებები მედია კონტენტსა და სიძულვილის ენის, ტერორიზმისკენ მოწოდებისა და უზამსობის შემცველ რეკლამებთან დაკავშირებით. მიღებული რეგულაციების თანახმად, თვითრეგულირების მექანიზმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება ახლა შესაძლებელია ტელეკომუნიკაციების სექტორის მთავარ მარეგულირებელ ორგანოში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (ComCom) და შემდგომ სასამართლოში. გარდა ამისა, ComCom-ს მიენიჭა პირდაპირი უფლებამოსილება „უზამს“ კონტენტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც ადრე მედიის თვითრეგულირების კომპეტენცია იყო.¹⁷⁹ მიუხედავად ამისა, ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, რადგან ComCom-ი, სავარაუდოდ, აპირებს გამოაქვეყნოს ამ რეგულაციების აღსრულების გზამკვლევი, ე.წ. „გაიდლაინი“. აღნიშნული რეგულაციები გავრცელდება არა მხოლოდ ტრადიციულ მაუწყებლებზე, არამედ ონლაინ მედია საშუალებებზეც, რომლებიც საკუთარ პლატფორმებზე ვიდეომასალას ათავსებენ.

ციფრული თავისუფლებები დიდწილად დაცულია საქართველოში, სადაც მომხმარებლებს არ აქვთ მნიშვნელოვანი ბარიერები ონლაინ რეჟიმში საკუთარი თავის გამოხატვის ან ციფრული კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებისას ინფორმაციის გასაზიარებლად და სხვადასხვა საჯარო პოლიტიკის საკითხების ადვოკატირებისთვის. თუმცა, ეს პოზიტიური მდგომარეობა დაიჩრდილა „უცხოელი აგენტებისკანონის“ წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციების მონაწილეთა დაშინებითა და ონლაინ შევიწროებით.¹⁸⁰ 2024 წელს არ დაფიქსირებულა მთავრობის მიერ ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვის ან მისი შეწყვეტის შემთხვევები, ასევე არ დაფიქსირებულა ოპოზიციური პარტიების, აქტივისტების ან სამოქალაქო ორგანიზაციების კუთვნილი სოციალური მედიის პლატფორმების ან ვებსაიტების დაბლოკვის შესახებ ცნობები. დაფიქსირებული კიბერშეტევების რამდენიმე შემთხვევა ქვეყნის ციფრული ეკოსისტემის გაზრდილ დაუცველობაზე მეტყველებს. 2024 წლის იანვარში, რუსმა ჰაკერებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ასევე ორი ოპოზიციური ტელეარხის ვებსაიტები გათიშეს.¹⁸¹ გარდა ამისა, 2024 წლის მაისში გამართული საპროტესტო აქციების დროს,

reading', 11 June 2021,

<https://idfi.ge/en/the-parliament-of-the-10-convocation-adopted-the-problematic-draft-law-on-information-security>.

¹⁷⁹ Civil Georgia, 'Parliament Adopts Controversial Amendments to Broadcasting Law', 20 October 2023, <https://civil.ge/archives/564535>.

¹⁸⁰ Freedom House, 'Freedom on the Net 2024: Georgia', *op. cit.*

¹⁸¹ OC-Media, Tata Shoshiaashvili, "Russian hackers" take down websites of Georgian media and president', 26 January 2024, <https://oc-media.org/russian-hackers-take-down-websites-of-georgian-media-and-president/>.

Anonymous-ის ჰაკერმა დროებით გათიშა რამდენიმე საჯარო დაწესებულების ვებსაიტები, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, პროსამთავრობო მედიასაშუალების POS TV-ის და მმართველი პარტიის ვებსაიტები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“ წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს, მთავრობის მოწინააღმდეგე ჯგუფების, აქტივისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების მიმართ ონლაინ და ოფლაინ რეჟიმში გახშირდა შევიწროების, დაშინებისა და ფიზიკური თავდასხმების ინციდენტები.¹⁸² მიუხედავად იმისა, რომ ეს თავდასხმები პირდაპირ კავშირში არ იყო კონკრეტულ ონლაინ კონტენტთან, ძირითადი სამიზნეები იყვნენ კანონის აშკარა მოწინააღმდეგეები და ის ფიგურები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციების ონლაინ ორგანიზებაში. გარდა ამისა, მთავრობასთან დაკავშირებული ჯგუფებისა და ცალკეული პირების მიერ სოციალურ მედიაში დეზინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი აზრის შეცვლის მიზნით კიდევ უფრო გახშირდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მასობრივი დემონსტრაციებისა და საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს.¹⁸³ კორპორაცია META-ს თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი (StratCom) ჩართული იყო ონლაინ მანიპულირებაში და ოპოზიციური პარტიების, აქტივისტებისა და დემონსტრაციების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში, პარალელურად კი ავრცელებდა პროსამთავრობო ნარატივებსაც.¹⁸⁴

ანალოგიურად, როგორც ატლანტიკური საბჭოს ციფრული ექსპერტიზის კვლევით ლაბორატორია (DFRLab) აღნიშნავს, მმართველმა პარტიამ და პროსამთავრობო ფეისბუქგვერდებმა დააფინანსეს რეკლამები, რომლებიც ლანძღავდა „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ გამართულ აქციებს.¹⁸⁵ ზოგადად, საქართველოში შეინიშნება დეზინფორმაციის კამპანიების გახშირება და სხვადასხვა შიდა თუ გარე აქტორის მცდელობა, მოახდინონ გავლენა საზოგადოებრივ აზრზე მგრძნობიარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

გასული წლების განმავლობაში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ონლაინ მომხმარებლები დაკითხეს ონლაინ სივრცეში გამოქვეყნებული კონტენტის გამო. მაგალითად, 2023 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ფიზიკური პირი დააჯარიმა 2000 ლარით, TikTok-ზე გავრცელებული ვიდეოს გამო, სადაც ის შეურაცხყოფელ ენას იყენებდა როგორც მერის, კახა კალაძის, ისე პოლიციის მისამართით, საგზაო მოძრაობის წესების ცვლილების გამო. სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, რის შემდგომაც საია-მ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სააპელაციო საჩივარი შეიტანა.¹⁸⁶

¹⁸² Civil Georgia, 'Orchestrated Intimidation of Protesters Against Agents' Bill', 11 May 2024, <https://civil.ge/archives/604767>.

¹⁸³ DFRLab, Sopo Gelava, 'Pro-government Facebook ads target protests against foreign agents bill in Georgia', 2 May 2024, <https://dfrlab.org/2024/05/02/pro-government-facebook-ads-target-protests-against-foreign-agents-bill-in-georgia/>.

¹⁸⁴ Georgian News, 'Facebook Exposes the Georgian Government's Stratcom in Connection with Fake Accounts', 3 May 2023, <https://bit.ly/3sNz4KX>.

¹⁸⁵ DFRLab, Sopo Gelava, *op. cit.*

¹⁸⁶ GYLA, 'Georgia in 2023: Assessment of the Rule of Law and Human Rights', *op. cit.*

2024 წელს, ისევე როგორც ბოლო წლების განმავლობაში, უსაფრთხოების სამსახურების მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სავარაუდო დარღვევები საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ბოლო დროს გაჟონილი ფაილები ნათელს ხდის,¹⁸⁷ რომ ადგილი ქონდა ჟურნალისტების, ოპოზიციის ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, აქტივისტების, სასულიერო პირების და დიპლომატების კომუნიკაციის მიყურადებას.¹⁸⁸ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება, რომ ფარული თვალთვალის მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო კონფიდენციალურობის დაცვას საკმარისად არ უზრუნველყოფს და არ გულისხმობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სათანადო მექანიზმებს.¹⁸⁹ მიუხედავად იმისა, რომ გაჟონილი მონაცემები ძირითადად მობილურ კომუნიკაციებს ეხებოდა, ეს ინციდენტები ხაზს უსვამს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ქვეყნისთვის კრიტიკულ პრობლემად რჩება.¹⁹⁰

ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი მთავარი ორგანო, ასევე გახდა კრიტიკის ობიექტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობის,¹⁹¹ ასევე კრიტიკულ მედიასთან დაკავშირებით სადავო გადაწყვეტილებების გამო.¹⁹²

ონლაინ მედია გარემო საქართველოში სულ უფრო მრავალფეროვანია და შინაარსის ფართო სპექტრია ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ახალად მიღებულ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება დამოუკიდებელ მედია ორგანიზაციებზე, რომლებიც ონლაინ მაუწყებლობენ და რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას ან გრანტებს. ამ გამოწვევების მიუხედავად, ციფრული მობილიზაცია უკვე გახდა პოლიტიკური ცხოვრების მუდმივი ნაწილი. პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას ინფორმაციის გასავრცელებლად და საერთო მიზნების მხარდასაჭერად.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული ჯგუფები, განსაკუთრებით ლგბტქ+ აქტივისტები, კვლავ განიცდიან ონლაინ შევიწროებასა და „ბულინგს“. ვითარების გამწვავების რისკი კიდევ უფრო იზრდება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მიღებული ბოლო ცვლილებების ფონზე, რომლებიც აფართოებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მარეგულირებელ უფლებამოსილებას, მათ შორის, „უხამსი“ ან „შეუსაბამო“ ონლაინ კონტენტის ზედამხედველობაზე. აღნიშნული ცვლილებები აჩენს შეშფოთებას ცენზურის

¹⁸⁷ IDFI, 'IDFI responds to the Leak of surveillance files', 17 სექტემბერი 2021,

https://idfi.ge/en/idfi_responds_to_the_leak_of_secret_surveillance_documents.

¹⁸⁸ Civil Georgia, 'Alleged Security Service Files on Clergy Leaked', 13 სექტემბერი 2021,

<https://civil.ge/archives/440008>; იქვე, 'In Quotes: Political Reactions to Alleged Spying on Diplomats', 16 სექტემბერი 2021, <https://civil.ge/archives/440783>.

¹⁸⁹ IDFI, ფარული თვალთვალის ზედამხედველობა: კანონი და პრაქტიკა, 2024, *op. cit.*

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ IDFI, '„საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის ხარვეზები“, 9 July 2020, https://idfi.ge/en/communication_commission-transparency_gaps.

¹⁹² მედიის ადვოკატირების კოალიცია, "კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის შუალედური მონიტორინგის ანგარიში", 3 ოქტომბერი 2024, <https://mediacoalition.ge/en/interim-monitoring-report-of-comcom-activities/>.

პოტენციური გაზრდის და ციფრულ სივრცეში დამოუკიდებელი ან უმცირესობების ხმების არაპროპორციული შეზღუდვის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უწყებების მაგალითები, რომლებიც უკვე იყენებენ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო), სახელმწიფოს ჯერ არ მიუღია მარეგულირებელი ნორმატიული აქტები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავდა ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ და ანგარიშვალდებულ პრაქტიკებს შესაბამის უწყებებში. შედეგად, ამ ტექნოლოგიების გავლენა მოქალაქეებზე გაურკვეველია და უცნობია, შეესაბამება თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის შესახებ ჩარჩო კონვენციას და იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა საჯარო სამსახურებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ რეგულაციების შემუშავების გეგმების შესახებ.¹⁹³

სტანდარტი II. სახელმწიფო ქმნის პირობებს ციფრული უფლებებით სარგებლობისთვის

ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გაფართოებისკენ მიმართული მთავრობის მცდელობები ნელ-ნელა წინ მიიწევს. მაღალგამტარიანი ქსელების 2020-2025 წლების სტრატეგიის თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ქვეყნის რეგიონში ციფრულ და საინფორმაციო ჰაბად გადაქცევას, 4G ქსელებმა 2025 წლისთვის ქვეყნის ტერიტორიის 99 პროცენტი უნდა დაფარონ.¹⁹⁴

ქართული შინამეურნეოების მნიშვნელოვან უმრავლესობას (91.5 პროცენტს) აქვს წვდომა ინტერნეტთან,¹⁹⁵ ხოლო დაახლოებით ინდივიდების 81.9 პროცენტი არის ინტერნეტ-მომხმარებელი.¹⁹⁶ არ არსებობს გენდერული განსხვავება, მაგრამ განსხვავებაა ასაკთან და გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებით.¹⁹⁷ ინტერნეტი არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა რეგიონში და განსაკუთრებით სოფლად თუ ნაკლებად განვითარებულ რაიონებში. საქართველოს ინტერნეტ ბაზარი კონცენტრირებულია 2-3 ინტერნეტ სერვის პროვაიდერს (ISP) შორის, რაც მინიმალურ კონკურენციას იწვევს.

¹⁹³ IDFI, „ხელოვნური ინტელექტის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია: ძირითადი შინაარსი და ვალდებულებები საქართველოსთვის“, 2024 წლის 30 სექტემბერი, <https://idfi.ge/en/council-of-europe-framework-convention-on-ai>.

¹⁹⁴ ღია ინტერნეტის სახელმწიფო პროგრამა: <https://opennet.ge/eng/static/3/sakhelmtsifo-programa>

¹⁹⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ოჯახებში: ინტერნეტზე წვდომის მქონე ოჯახების წილი“, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/106/information-and-communication-technologies-usage-in-households>.

¹⁹⁶ International Telecommunication Union (ITU), DataHub: Georgia, <https://datahub.itu.int/data/?e=GEO>.

¹⁹⁷ 2024 წლის ივნისის მონაცემებით, 60 წელს ზემოთ მოსახლეობის მხოლოდ 57.3%-მა გამოიყენა ინტერნეტი ბოლო სამ თვეში, მაშინ როდესაც სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 83%-დან 99%-მდე მერყეობს. ანალოგიურად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 77.7% აღნიშნავს ინტერნეტის გამოყენებას ამავე პერიოდში, მაშინ როცა ქალაქში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია — 98.2%. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ოჯახებში“, იხ. ზემოხსენებული წყარო.

არსებობს შემოფოთება მიწოდებული სერვისის ხარისხთან დაკავშირებით (განსაკუთრებით ინტერნეტის სიჩქარესთან დაკავშირებით).¹⁹⁸

საქართველოში რამდენიმე განსხვავებულ სააგენტოს აქვს შემუშავებული მექანიზმები ციფრული უფლებების დასაცავად. მაგალითად, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი,¹⁹⁹ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების მონიტორინგზე,²⁰⁰ ხოლო მომხმარებელთა ინტერესების სახალხო დამცველი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ფარგლებში უფლებამოსილია დაიცვას უფლებები და მომხმარებელთა ლეგიტიმური ინტერესები ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში.²⁰¹ მიუხედავად ამისა, თუმცა, ამ დაცვის მექანიზმებს მომხმარებლები იშვიათად იყენებენ, რადგან მათ არ აქვთ ინფორმაცია მათი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ.

არსებობს რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ სახელმწიფო იყენებს ციფრულ ინსტრუმენტებს ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის. ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (my.gov.ge) მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის ასობით საჯარო და კერძო სერვისია ხელმისაწვდომი. პორტალზე ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა თანდათან იზრდება. არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებების განხორციელებას, აქტივისტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უსაფრთხოებას ან მათი მონაცემების დაცვას.

მეთერთმეტე უფლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები:

მას შემდეგ, რაც ყველა შემზღუდველი კანონი გაუქმდება;

- მთავრობამ და პარლამენტმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ ახლად მიღებული და განხორციელებული დებულებების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებსა და დირექტივებთან;
- მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს ციფრულ უფლებებთან და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით სამართალდამცავი უწყებების სათანადო ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

¹⁹⁸ Freedom House, 'ინტერნეტის თავისუფლების ინდექსი 2024: საქართველო', <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2024>.

¹⁹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მანდატის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.ombudsman.ge/eng/mandati>.

²⁰⁰ პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://pdps.ge/en>.

²⁰¹ კომუნიკაციების კომისიის (ComCom) სახალხო დამცველის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://comcom.ge/en/momxmareblis-uflebebi>.

- მთავრობამ უნდა შეიმუშაოს საკანონმდებლო ბაზა, ეთიკური და გამჭვირვალობის სტანდარტები და ხელოვნური ინტელექტის დიზაინის, დანერგვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები. ამ სახელმძღვანელო პრინციპებისა და კანონების შემუშავებისას პროცესი უნდა იყოს ღია, ინკლუზიური და სხვადასხვა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული;
- ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ასევე უნდა ჩამოაყალიბოს ხელოვნური ინტელექტის სისტემების ოპერაციების აუდიტის პროცედურები და გამოაქვეყნოს ასეთი ინსპექტირების შედეგები;
- საქართველოს მთავრობამ ასევე პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ციფრული მდგრადობისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობითა და ერთობლივი ძალისხმევით უკეთ მიიღწევა.

IV. ძირითადი პრიორიტეტები

2024 წელს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდა შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შემცირებისა და დემოკრატიული პრინციპების დარღვევების გამო. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის და სხვა შემზღუდავი კანონების მიღებამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სამოქმედო სივრცე შეზღუდა, ხოლო ღია დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმების არარსებობა დემოკრატიული მმართველობის უკუსვლას უსვამს ხაზს. საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოვლენათა დაგმოვა კიდევ უფრო ნათლად ასახავს სიტუაციის სიმძიმეს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებისთვის მონაწილეობის ზოგიერთი საკანონმდებლო ჩარჩო კვლავ არსებობს, მათი პრაქტიკული განხორციელება შეფერხებულია, რაც სამოქალაქო საზოგადოებას სულ უფრო მარგინალიზებულს ხდის.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში CSO Meter-ის ანგარიშებში არაერთხელ იყო მოწოდებები სამართლებრივი რეფორმებისა და სახელმწიფოსა და სსო-თა შორის თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესებისკენ, რეკომენდაციების უმეტესობა კვლავ შეუსრულებელი რჩება. განსაკუთრებით იგნორირებულია რეკომენდაციები თანამშრომლობის პროცესების გამჭვირვალობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის რესურსებზე შეზღუდული წვდომის უზრუნველყოფის შესახებ, მათ შორის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ჩარჩოს მეშვეობით. შედეგად, ხელისუფლებამ არა მხოლოდ არ გააუმჯობესა თანამშრომლობის მექანიზმები, არამედ მიიღო დამატებითი შემზღუდავი ზომები, მათ შორისაა, ე.წ. „უცხოური აგენტების“ კანონი და OGP-ის სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილების შეჩერება. დამატებით, აღსანიშნავია, რომ არ შეინიშნება პროგრესი მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის კუთხით. საპროტესტო აქციების დროს დაფიქსირებული მრავალი დარღვევა ცხადყოფს, რომ ეს სფერო კვლავ კრიტიკულ გამოწვევად რჩება. საბოლოო ჯამში, ხელისუფლების ნაბიჯებმა მხოლოდ გააღრმავა განხეთქილება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, რის გამოც წინა რეკომენდაციები დიდწილად უგულებელყოფილი და შეუსრულებელი რჩება.

ამის გათვალისწინებით, 11 სფეროში არსებული 47 რეკომენდაციიდან შემდეგი ექვსი რეკომენდაცია ძირითად პრიორიტეტად არის განსაზღვრული:

1. გააუქმოს ყველა დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებული კანონი, რომელიც ზღუდავს გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი.

მას შემდეგ, რაც ყველა შემზღუდავი კანონი გაუქმდება;

2. გადაიხედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებზე გაუმართლებელი შეზღუდვების მოსახსნელად (მაგალითად, პირების დაკავება მათი საპროტესტო აქციაში მონაწილეობის შესაზღუდად ან ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრება სათანადო დაცვის საშუალებების გარეშე);
3. მიღებულ იქნას ზომები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პირების თავდასხმებისა და ჩარევისგან დაცვისთვის, დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი მათ წინააღმდეგ ძალადობისა და დაშინების ნებისმიერი ფაქტის ირგვლივ;
4. გააძლიეროს სამთავრობო ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის მარეგულირებელი ჩარჩო, უზრუნველყოფილ იქნას, მისი შესაბამისობა კონფიდენციალურობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან;
5. გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე და მათი წყაროს მიუხედავად (იქნება ეს ადგილობრივი თუ უცხოური), უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძიების, მიღებისა და გამოყენების თავისუფლება მათი მიზნების მისაღწევად.
6. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ციფრული უფლებებისა და კონფიდენციალურობის დაცვაში.

V. მეთოდოლოგია

CSO Meter მხარს უჭერს იმ გარემოს რეგულარულ და თანმიმდევრულ მონიტორინგს, რომელშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ფუნქციონირებენ. იგი შედგება სტანდარტებისა და ინდიკატორების ნაკრებისგან II სხვადასხვა სფეროში, როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის გასაზომად. იგი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას. CSO Meter შემუშავებული იქნა ECNL-ის ექსპერტთა ძირითადი ჯგუფისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის ადგილობრივი პარტნიორების მიერ

პარტნიორებმა, სხვა დაინტერესებულ სსო-ებთან ერთად, რომლებიც CSO Meter Hub-ის მონაწილეები არიან, ჩაატარეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და მიგნებებზე დაყრდნობით შექმნეს ქვეყნის ნარატიული ანგარიში. თითოეულ ქვეყანაში მოქმედებს ასევე მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დაინტერესებული, სფეროს წარმომადგენელი და მცოდნე ექსპერტებისგან. საბჭოს წევრებს ორი ძირითადი ამოცანა აქვთ: განიხილონ ქვეყნის ნარატიული ანგარიშები და მის საფუძველზე თითოეული უფლებრივი სფეროს მიანიჭონ შესაბამისი ქულა.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს საანგარიშო პერიოდს 2024 წლის იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით.

მონიტორინგის პროცესი

ანგარიში მომზადდა ადგილობრივი სსო-ების მიერ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნის ერთობლივი მეთოდოლოგიის მიხედვით. ანგარიში აფასებს ძირითად მოვლენებს და მიმოიხილავს პროგრესს და მთავარ გამოწვევებს, როგორც საკანონმდებლო ბაზის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ანგარიში შემუშავდა ინკლუზიური პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავს სსო-ებთან აქტიური კონსულტირების პროცესს. სამუშაო ჯგუფმა გამოიყენა კვლევის სხვადასხვა მეთოდი შესაბამისი მონაცემების შეგროვებისა და ყოვლისმომცველი ანალიზისთვის.

საწყის ეტაპზე პროექტის ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა არსებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, ბოლო პერიოდში განხორციელებული და მოსალოდნელი რეფორმები, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ეკოსისტემაზე. გარკვეული სტანდარტებისა და არსებული პოლიტიკის პრაქტიკაში დანერგვის ხარისხის უკეთ შესაფასებლად პროექტის ჯგუფმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა სამთავრობო უწყებებიდან, საქართველოს პარლამენტიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სხვა უწყებებიდან.

ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო სუბიექტების მიერ მონაწილე ააიპ-ებზე გაცემული გრანტების ოდენობის შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით, მოთხოვნის წერილი გაეგზავნა 15 სხვადასხვა ორგანოს, მათ შორის სამინისტროებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ). შვიდმა მათგანმა მიგვაწოდა ინფორმაცია, ოთხმა განაცხადა, რომ ამჟამად არ გასცემდნენ გრანტებს, ხოლო დანარჩენმა ოთხის მიერ პასუხი არ მომზადებულა.

პროექტის ჯგუფმა ასევე გააანალიზა მეორეული წყაროები, მათ შორის კვლევები, ანგარიშები და შეფასებები, რომლებიც გამოქვეყნდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საჯარო ხელისუფლების მიერ, რამაც ხელი შეუწყო ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების უკეთ იდენტიფიცირებასა და გამოკვეთას.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, პროექტის გუნდმა ჩაატარა ორი ფოკუს ჯგუფი და რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ. ინკლუზიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ფოკუს ჯგუფები 2024 წლის სექტემბერში ჩატარდა Zoom პლატფორმის მეშვეობით. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 18-მა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ 13 სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეები განსხვავებული პროფესიული გამოცდილებისა და სფეროს წარმომადგენლები იყვნენ და წარმოაჩენდნენ სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე ორგანიზაციებს. ფოკუს ჯგუფის გარდა, მკვლევართა ჯგუფმა ასევე ჩაატარა სიღრმისეული ინტერვიუები შემდეგ ექსპერტებთან:

ირმა პავლიაშვილი - „კავკასიის ღია სივრცის“ თავმჯდომარე. ირმა პავლიაშვილმა წარმოადგინა მნიშვნელოვანი ხედვები იმის თაობაზე, თუ როგორ გაუარესდა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა — მან ხაზი გაუსვა თანმიმდევრულ და სისტემატურ ტენდენციას რეპრესიების გაძლიერებისა და დაფინანსების შესაძლებლობების შემცირების მიმართულებით. არსებული გამოწვევების ფონზე, „კავკასიის ღია სივრცე“ ავითარებს ახალ სტრატეგიებს, რათა დარჩეს აქტიური და მდგრადი, რათა გააგრძელოს მუშაობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ორგანიზაციის მიზანი, ადაპტირდეს და რთულ გარემოში საქმიანობის გააგრძელოს, ხაზს უსვამს მის კრიტიკულ როლს დემოკრატიული პრინციპების დაცვასა და არსებითი ცვლილებებისათვის ბრძოლაში.

თათია კონიაშვილი, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მკვლევარი. თათია კონიაშვილმა გააზიარა თავისი ცოდნა და გამოცდილება ორგანიზაციულ მიდგომებთან დაკავშირებით და ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გახდა ყოველდღიური საქმიანობა უფრო რთული. მან ასევე წარმოადგინა ინფორმაცია იმ ძირითად საკითხებზე, რომლებსაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ოპერაციულ დონეზე აწყდება, და განმარტა, როგორ გეგმავს ორგანიზაცია უახლოეს მომავალში საქმიანობის გაგრძელებას.

ქვეყნის ნარატიული ანგარიშის პროექტი განიხილეს მრჩეველთა საბჭოს წევრებმა. საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები გადაიხედა და შემუშავდა სწორედ მრჩეველთა საბჭოს წევრების უკუკავშირის საფუძველზე.

შეფასების პროცესი

საქართველოში, მრჩეველთა საბჭოს წევრებმა შეაფასეს CSO Meter-ის ინსტრუმენტის ყველა სტანდარტი თერთმეტივე სფეროდან, როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის მიმართულებით. შეფასება მოხდა 7 ბალანი სისტემით. თითოეული სტანდარტის საბოლოო ქულა დაანგარიშდა ფორმულის მიხედვით, რომელშიც მკვლევართა მინიჭებულ ქულებს 50 პროცენტი უკავია, ხოლო მრჩეველთა საბჭოს წევრების საშუალო ქულას დარჩენილი 50 პროცენტი. შემდეგ თითოეული მიმართულების ქულამ შეადგინა სტანდარტების მიხედვით საბოლოო ქულების საშუალო მნიშვნელობა და მრგვალდება ერთი ათწილადით პრეზენტაციის მიზნებისთვის.. შკალის მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები გულისხმობს, შესაბამისად, უკიდურესად ცუდ ან იდეალურ სიტუაცია/გარემოს. მაგალითად, (1) არის უკიდურესად არახელსაყრელი (ავტორიტარული), ხოლო (7) არის უკიდურესად ხელსაყრელი (იდეალური დემოკრატიული) გარემო სსო-ებისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის CSO Meter ინსტრუმენტის, ქულების მინიჭების პროცესისა და გაანგარიშების შესახებ, გთხოვთ, ეწვიოთ <https://csometer.info/>.

VI. ბიბლიოგრაფია

კანონმდებლობა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, No. 161, 15/12/1984,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, No. 786, 26/06/1997,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133>

საქართველოს კონსტიტუცია, No. 786, 24/08/1995,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, No. 2287, 22/07/1999,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, No. 1772, 09/10/2009,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=166>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, No. 2181, 25/06/1999,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=43>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICCPR),
<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights>.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR), <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-economic-social-and-cultural-rights>.

საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, No. 763, 12/06/1997,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=22>

საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი, No. 982, 17/10/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=91>

საქართველოს კანონი შემოქმედებითი მუშაკებისა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ, No. 2059, 08/06/1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19222?publication=7>

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 875-Vრს-Xმპ, 02/08/2021,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=12>

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, No. 5226-III, 30/10/2019,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=12>

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, No. 220, 24/06/2004, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=8>

საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, No. 331-II, 28/06/1996,
<https://www.lexadin.nl/wlg/legis/nofr/oeur/arch/geo/LAWONGRANTS.pdf>.

ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი, No. 6391-III, 05/06/2012,
<https://matsne.gov.ge/document/view/1679424?publication=7>.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი, No. 1775, 24/06/2005,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=118>

საქართველოს კანონი ლობირების შესახებ, No. 1591, 30/09/1998,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/13552?publication=7>

საქართველოს კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ, No. 1032, 31/10/1997,
<https://matsne.gov.ge/document/view/28336?publication=3>.

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, No. 5669-რს, 28/12/2011,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=33>

საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, No. 4437-XVIმს-Xმპ, 17/09/2024,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, No. 1388, 20/04/2005,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=93> .

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, No. 3277, 11/02/2004,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=48>

საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, No. 4194-XIVმს-Xმპ, 28/05/2024, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0>

საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ, No. 4717-რს, 24/12/2015,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3132612?publication=5>

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების თაობაზე 06/02/2023, <https://web-api.parliament.ge/storage/files/11/akreditacia-2023.pdf>

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №241 მეწარმეებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, 31/12/2009 , <https://matsne.gov.ge/ka/document/view/88696?publication=0>.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1016 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №134 ბრძანებაში (2016 წლის 3 მაისი) ცვლილების შესახებ, 29.07.2024, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6234258?publication=0>.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1019 „უცხო სახელმწიფოების ინტერესების დამცველი ორგანიზაციების რეგისტრაციის, ფინანსური დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, 01.08.2024 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0>.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №126 აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, 14.03.2011 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1239471?publication=0>.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, №1958-III, 05/02/2014: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=73>).

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, №1028, 31/10/1997, <https://matsne.gov.ge/en/document/view/28324?publication=32>.

„საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, №1103, 14/11/1997, <https://matsne.gov.ge/en/document/view/29950?publication=2>.

საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, №1444-III, 04/10/2013, <https://matsne.gov.ge/en/document/view/2047533?publication=28>.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, №359I, 17/09/2009, <https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717?publication=175>.

სასამართლო საქმეები

საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N¹/6/561,568), <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1053>.

საქართველოს მოქალაქე ქალბატონი მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N²/2/389), <https://www.constcourt.ge/en/judicial-acts?legal=301>.

ფრუმკინი რუსეთის წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, განაცხადის N⁷4568/12, 2016 წლის 5 იანვარი), <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-159762%22%5D%7D>.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N³/3/1635) <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16052>.

კვლევები და ანგარიშები

Charities Aid Foundation (CAF), World Giving Index 2024: Global Trends in Generosity, https://www.cafonline.org/docs/default-source/inside-giving/wgi/wgi_2024_report.pdf.

Council of Europe, MONEYVAL, 'Anti-money laundering and counter-terrorist financing measures: Georgia Fifth Round Mutual Evaluation Report', September 2020, <https://rm.coe.int/moneyval-2020-20-5th-round-mer-georgia/1680a03271>.

Anti-money laundering and counter-terrorist financing measures 3rd Enhanced follow-up report & technical compliance re-rating Georgia, october 2024 <https://rm.coe.int/moneyval-2024-22-ge-5thround-3rdenhfur/1680b2c262>

ECNL, 'Georgia: Amendment to the Implementing Regulation to the Law of Georgia on Transparency of Foreign Influence', 12 October 2024, [EWMI_ICNL-ECNL_Brief-Georgia Amendment of Annex to Implementing Regulation.pdf](https://www.ecnl.eu/ECNL-Brief-Georgia-Amendment-of-Annex-to-Implementing-Regulation.pdf).

Freedom House, თავისუფლება მსოფლიოში 2024: საქართველო, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2024>.

Freedom House, თავისუფლება მსოფლიოში 2021: საქართველო, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2021>.

„ფრიდომ ჰაუსი“, „თავისუფლება ინტერნეტში 2024: საქართველო“, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2024>.

„ფრიდომ ჰაუსი“, „თავისუფლება ინტერნეტში 2023: საქართველო“, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2023>.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ: 7-9 მარტის შეკრების დაშლის შეფასება და ადამიანის უფლებათა დარღვევის დაკავშირებული ფაქტები“, 2023,

https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/People%20Against%20the%20Russian%20Law_eng-2.pdf.

საია, 'Georgia: Human Rights Amidst the Russian Law', June 2024, <https://gyla.ge/files/Human%20rights%20Amidst%20the%20russian%20law.pdf>.

საია, 'Georgia in 2023: Assessment of the Rule of Law and Human Rights', 2024, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/GEORGIA%20IN%202023.pdf.

საია, 'Results of the Four-Year Monitoring of Criminal Justice Processes, Trends and Current Challenges', 2021 <https://gyla.ge/files/Court%20Monitoring%2017.pdf>

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „ფარული თვალთვალის ზედამხედველობა: კანონი და პრაქტიკა“, 2024,

https://idfi.ge/public/upload/02.%20gdavituri/CSReport-2021-2023/IDFI_Oversight%20of%20Covert%20Surveillance_ENG-1.pdf.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU), DataHub: საქართველო, <https://datahub.itu.int/data/?e=GEO>.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) საქართველო, „ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა 2024 – 2025 წლებისთვის“, www.ogpgeorgia.gov.ge/upload/pages/24/OGP%20Georgia%20Action%20Plan%20for%202024-2025.pdf.

ეუთო, „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები: ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში“, 2024 წლის 26 ოქტომბერი, https://www.osce.org/files/f/documents/1/6/584029_o.pdf.

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებათა სფერო და

შეკრების მართვის სტანდარტი“, 2020
<https://ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf>.

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, 2024 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი, <https://rsf.org/en/index>.

ვენეციის კომისია, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონზე კომენტარები ბატონი ბოგდან აურესკუს მიერ“, მოსაზრება №547/2009, CDL(2009)153, ევროპის საბჭო, 2009 წლის 1 ოქტომბერი, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2009\)153-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2009)153-e).

მედია სტატიები და სხვა ონლაინ წყაროები

Agenda.ge, 'Georgian PM's statement regarding Draft Law on Transparency of Foreign Influence', 14 April 2024, https://www.gov.ge/index.php?info_id=88443&lang_id=ENG&sec_id=603

Business Media, Natiko Taktakishvili, '71% Of Agencies Didn't Publish Complete Information On Grants Received In 2023 - IDFI', 18 July 2024, <https://bm.ge/en/news/71-of-agencies-didnt-publish-complete-information-on-grants-received-in-2023-idfi>.

CIVICUS, 'Georgia: "The foreign agents law poses a threat to the vibrancy and autonomy of civil society"', 19 May 2024, <https://www.civicus.org/index.php/media-resources/news/interviews/7039-georgia-the-foreign-agents-law-poses-a-threat-to-the-vibrancy-and-autonomy-of-civil-society>.

Civil Georgia, 'პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში სადავო ცვლილებები მიიღო', 20 October 2023, <https://civil.ge/archives/564535>.

Civil Georgia, 'სასულიერო პირების შესახებ სავარაუდოდ სუს-ის საიდუმლო მასალებმა გაჟონა', 13 September 2021, <https://civil.ge/ka/archives/440043>.

Civil Georgia, 'In Quotes: Political Reactions to Alleged Spying on Diplomats', 16 September 2021, <https://civil.ge/archives/440783>.

Civil Georgia, 'აქციის მონაწილეთა მიმართ დაშინების ორკესტრირებული კამპანია მიმდინარეობს', 11 May 2024, <https://civil.ge/archives/604767>.

ევროპის საბჭო, „ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანო: საქართველომ გააძლიერა პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ გამოყენებული პრევენციული ზომები, საჭიროა შემდგომი პროგრესი“, 2024 წლის 7 მაისი, <https://www.coe.int/en/web/moneyval/-/council-of-europe-anti-money-laundering-body>

[georgia-strengthened-preventive-measures-applicable-to-politically-exposed-persons-further-progress-needed.](#)

სამოქალაქო ორგანიზაცია საქართველო, რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციების სია, https://csogeorgia.org/storage/app/media/organisation_list.pdf

DFRLab, სოფო გელავა, „პროსამთავრობო Facebook რეკლამები მიზნობრივად აპროტესტებენ უცხოელი აგენტების შესახებ კანონპროექტს საქართველოში“, 2024 წლის 2 მაისი, <https://dfrlab.org/2024/05/02/pro-government-facebook-ads-target-protests-against-foreign-agents-bill-in-georgia/>.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ კანონპროექტი, <https://parliament.ge/legislation/20546>.

Georgia Today, „ალეკო ელისაშვილი: პოლიციამ მცემა, ნეკნი მომტეხია“, 2024 წლის 18 აპრილი, <https://georgiatoday.ge/aleko-elisashvili-police-beat-me-my-rib-is-broken/>.

Georgian News, „Facebook-ი საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ სამსახურს ყალბ ანგარიშებთან კავშირში ამხელს“, 2023 წლის 3 მაისი, <https://bit.ly/3sNz4KX>.

Georgian News, „ქაცარავა ცემის დეტალებს იხსენებს: ერთ-ერთი ჯალათის კივილი გავიგე - მოკალით!“, 2024 წლის 21 მაისი, <https://sakartvelosambebi.ge/en/news/katsarava-recalls-details-of-beating-i-heard-the-scream-of-one-of-the-executioners-kill-him>.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იტყობინება თავმჯდომარე ხაბეიშვილის სასტიკი ცემის შესახებ“, 2024 წლის 1 მაისი, <https://itv.ge/lang/en/news/unm-reported-severe-beating-of-chair-khabeishvili/>.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მარიკა კარტოზია, „სპიკერი: გამჭვირვალობის შესახებ კანონი უნდა იქნას მიღებული ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე; ბუნებრივია, რომ უცხო ქვეყნებს არ აქვთ ინტერესი, რომ მათი გავლენა გამჭვირვალე იყოს“, 2024 წლის 12 მაისი, <https://itv.ge/lang/en/news/speaker-transparency-law-should-be-adopted-in-interest-of-georgian-people-natural-that-foreign-countries-do-not-have-interest-in-having-their-influence-transparent/>.

საია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია რეაგირებს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას და დისკრიმინაციისგან დაცვას“, 2024 წლის 20 სექტემბერი, <https://gyla.ge/en/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmddeg-mimartul-sakanonmdablo-cvlilebebs-ekhmaureba>.

საია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია რეაგირებს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებებს, დემოკრატias და დისკრიმინაციისგან დაცვას“, 2024 წლის 20 სექტემბერი, <https://gyla.ge/en/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmddeg-mimartul-sakanonmdablo-cvlilebebs-ekhmaureba>.

საია, „საია რეაგირებს „ტელევიზია პირველ რიგში“-თან დაკავშირებულ მოვლენებზე“, 30 ივლისი, 2024 წლის 30 ივლისი, <https://gyla.ge/en/post/saia-ekhmaineba-tv-pirveli-is-irgvliv-ganvitarebul-movlenebs#sthash.47JliXtU.ABow3GJY.dpbs>.

საია, „საია შუქრუთის მაცხოვრებლების შეკრების თავისუფლების დარღვევის საკითხს განიხილავს“, 2024 წლის 17 სექტემბერი, <http://nodiscrimination.gyla.ge/en/post/saia-shuqrutelebis-shekrebis-tavisuflebis-darghvevas-ekhmianeba>.

საია, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობა: რეფორმის დაუსრულებელი მცდელობები და წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოება“, 2021, <https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/2021/Legislation%20on%20Administrative%20Offenses.pdf>.

საია, „საიას შეფასება საბა მეფარიშვილისა და ომარ ოკრიბელაშვილის საქმეზე, რომლებიც რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის დროს დააკავეს“, 2024 წლის 25 სექტემბერი, <http://nodiscrimination.gyla.ge/en/post/gylas-assessment-on-the-case-of-saba-mefarishvili-and-omar-okribelashvili-who-were-arrested-during-the-protest-against-the-russian-law>.

საია, „რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქცია უკანონო და არაპროპორციული ძალის გამოყენებით იმლება“, 2024 წლის 29 ნოემბერი, <https://gyla.ge/en/post/%20Darebva-kvlav-araprprciuli-zaliat-da-ukanonod-mimdinareobs>.

საია, „დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგები“, 2024 წლის 10 დეკემბერი, <https://gyla.ge/en/post/siskhlis-saqmeebis-montoringi-demonstratnebi-gyla>.

საია, „შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისსა და ბაღში დემონსტრაციული ძალადობის გზით ლეგიტიმური საპროტესტო აქციების ჩახშობას აგრძელებს“, 2024 წლის 29 ნოემბერი, <https://gyla.ge/en/post/Gyla-gancxadeba-aqciis-dzaladobit-darebva>.

საია, „სიტუაცია რუსთაველის გამზირზე“, 2024 წლის 29 ნოემბერი, <https://gyla.ge/en/post/29-30octoberi>.

საია, „მთელი ღამის განმავლობაში სპეცრაზმმა არაერთხელ გამოიყენა სპეციალური დანიშნულების რაზმი მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ათზე მეტ

ინციდენტში, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით“, 2024 წლის 2 დეკემბერი, <https://gyla.ge/en/post/2dekemberigancxadeba>.

საია, „3-4 დეკემბერს, მშვიდობიანი პროტესტის მექესე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დემონსტრანტების დასაშლელად კვლავ ძალადობრივი ზომები გამოიყენა“, 2024 წლის 4 დეკემბერი, <https://gyla.ge/en/post/3-4-dekemberis-darbevis-Sefaseba-GYLA>.

IDFI, „ევროპის საბჭოს კონვენცია AI-ზე: დოკუმენტის მნიშვნელობა და ვალდებულებები საქართველოსთვის“, 2024 წლის 30 სექტემბერი, <https://idfi.ge/en/council-of-europe-framework-convention-on-ai>. <https://idfi.ge/ge/council-of-europe-framework-convention-on-ai>

IDFI, „IDFI ფარული მასალების გავრცელებას ეხმიანება“ 2021 წლის 17 სექტემბერი, <https://idfi.ge/ge/idfi responds to the leak of secret surveillance documents>

IDFI, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) საქმიანობაში არსებობს გამჭვირვალობის ხარვეზები“ 2020 წლის 9 ივლისი, <https://idfi.ge/ge/communication commission-transparency gaps>

IDFI, „X მოწვევის პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო პრობლემური „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონი“, 2021 წლის 11 ივნისი, https://idfi.ge/en/the_parliament_of_the_10_convocation_adopted_the_problematic_draft_law_on_information_security.

IDFI, „პრემიერ-მინისტრი ანტიკორუფციულ ბიუროს იყენებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ თავდასხმისთვის“, 2024 წლის 24 სექტემბერი, https://idfi.ge/en/acb_an_instrument_of_the_gd.

IDFI, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის მკვეთრი შემცირება https://idfi.ge/en/sharp_decline_in_access_to_public_information?fbclid=IwAR32zuu5eQ7FM6ZW2WPd4i_ihcLa4IbE3NCa25que4Py8nUptWaWR9eYvt8

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), „საქართველო: საერთაშორისო სოლიდარობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან“, 2024 წლის 6 მაისი, <https://www.fidh.org/en/region/europe-central-asia/georgia/georgia-international-solidarity-with-georgian-civil-society>.

მედიის თავისუფლების რუკა, „პარლამენტის სპიკერი დისკრედიტაციას უწევს გამოჩენილ ჟურნალისტს“, 2024 წლის 20 თებერვალი, <https://www.mapmf.org/alert/31223>.

მედიის თავისუფლების რუკა, „საქართველოს პრემიერ-მინისტრი ცდილობს ფაქტების შემმოწმებლების დისკრედიტაციას“, 2024 წლის 8 აპრილი, <https://www.mapmf.org/alert/31414>.

მედიის თავისუფლების რუკა, „თბილისის მერი შეურაცხყოფს Formula TV-ის რეპორტიორს“, 2024 წლის 2 მაისი, <https://www.mapmf.org/alert/31493>.

მედიის ადვოკატირების კოალიცია, „კოალიცია რეაგირებს ჟურნალისტების პარლამენტში არშეშვებაზე“, 2024 წლის 10 აპრილი <https://mediacoalition.ge/koalicia-parlamentshi-djurnalistebis-arsheshvebas-ekhmianeba/>.

მედიის ადვოკატირების კოალიცია, კოალიცია პარლამენტში ჟურნალისტების არშეშვებას ეხმიანება“, 2024 წლის 3 ოქტომბერი, <https://mediacoalition.ge/en/interim-monitoring-report-of-comcom-activities/>.

საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი, 2013 წლის 12 დეკემბერი, <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5d6/92c/744/5d692c7445d4e962122596.pdf>.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „მოსახლეობა“, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ოჯახებში: ინტერნეტზე წვდომის მქონე ოჯახების წილი“, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/106/information-and-communication-technologies-usage-in-households>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)“, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ზომის მიხედვით“, <https://www.geostat.ge/en/modules/categories/67/by-legal-status>.

OC-Media, ტატა შოშიაშვილი, „რუსმა ჰაკერებმა“ ქართული მედიისა და პრეზიდენტის ვებსაიტები გათიშეს“, 2024 წლის 26 იანვარი, <https://oc-media.org/russian-hackers-take-down-websites-of-georgian-media-and-president/>.

ღია მმართველობის პარტნიორობა, „საქართველო დროებით შეჩერებულია ღია მმართველობის პარტნიორობიდან“, 2024 წლის 16 ოქტომბერი, <https://www.opengovpartnership.org/news/georgia-temporarily-suspended-from-the-open-government-partnership/>.

დია პარლამენტის საქართველოს სამოქმედო გეგმა 2015-2016,
[https://idfi.ge/public/upload/Open%20Parliament%20Georgia%20Action%20Plan%20\(2015-2016\).pdf](https://idfi.ge/public/upload/Open%20Parliament%20Georgia%20Action%20Plan%20(2015-2016).pdf).

საქართველოს პარლამენტი, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, რომელიც განიხილავს საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშებს, 2021 წლის 29 ივნისი, <https://www.parliament.ge/en/media/news/sakartvelos-parlamentis-adamianis-uflebata-datsvisa-da-samokalako-integratsiis-komiteti-sajaro-informatsiis-shesakheb-angarishebis-gankhilvas-itsqebis>.

საქართველოს პარლამენტი, რეგისტრირებული ლობისტების სია და მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშები, https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/OGP/lobistta_reestri.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), „სახალხო დამცველი მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, არ გამოიყენოს სპეციალური აღჭურვილობა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების წინააღმდეგ“, 2 დეკემბერი, 2024, <https://ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-moutsodebs-shss-s-ar-gamoiqenos-spetsialuri-sashualebebi-mshvidobiani-shekrebis-monatsileta-mimart>.

„პუბლიკა“, ქართული მედია „რუსული კანონის“ ქვეშ და არჩევნების წინ“, 25 ივლისი, 2024, <https://publika.ge/article/qartuli-media-rusuli-kanonis-qvesh-da-archevnebis-win/>.

„პუბლიკა“, „პოლიციისა და მომიტინგეების შეტაკება ჭავჭავაძის გამზირზე“, 2024 წლის 9 მაისი, <https://www.facebook.com/watch/?v=905554984678827>;
შენიშვნა: კადრებში ჩანს, თუ როგორ ექაჩება სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომელი ბავშვს და ცდილობს მის სხვა სამართალდამცავებთან მიყვანას. იხილეთ: <https://www.facebook.com/publika.ge/videos/905554984678827/>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო: ჩვენ, როგორც ორგანიზაციას, აღარ შეგვიძლია არჩევნების დაკვირვება, მაგრამ ინდივიდუალური ბრძოლა ხმების დასაცავად გრძელდება“, 2024 წლის 30 სექტემბერი, <https://transparency.ge/en/post/ti-georgia-we-are-no-longer-able-observe-elections-organization-individual-struggle-protect>.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „მედიის წინააღმდეგ გამართული მოსმენებისას სამი ტენდენცია გამოვლინდა“, 2023 წლის 27 ივნისი, <https://transparency.ge/en/blog/three-trends-revealed-hearings-against-media>.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „რატომ არ უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება“, 2019 წლის 6 ივნისი, <https://www.transparency.ge/en/blog/why-freedom-expression-must-not-be-restricted>.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნები“ წყვეტენ ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს“, 2021 წლის 8 აგვისტო, <https://www.transparency.ge/en/post/ti-georgia-and-isfed-are-leaving-process-staffing-cec-advisory-group>.

TV პირველის Facebook გვერდი, „სპეცრაზმელები აქციის მონაწილეს ლანძღავენ და ემუქრებიან“, <https://www.facebook.com/reel/458302933544634>.

TV პირველის Facebook გვერდი, „სპეცრაზმელებმა სასტიკად სცემეს მომიტინგეებს“, 2024 წლის 30 აპრილი, <https://www.facebook.com/watch/?v=1146153023242337&ref=sharing>.

